



## გამოცემის წელი გეგვი

# თანამედროვე გელიცინა

ყოველთვით სამკურნალო სამუცნირო ქედზალი

ဖြစ်ပေးခဲ့သူများအတွက် အမြန်ဆုံး အမြန်ဆုံး အမြန်ဆုံး

III - IV

## მარტი—აპრილი

სარედაქციო კოლეგია: პროფ. ა. ნათიშვილი, პროფ. ვ. უღენტი, პროფ. შ. მიქელაძე, პრ.-დოკტორი გ. გვალობელი; ასისტენტები: გ. მაისურაძე, გ. ქავთარაძე, ი. ასლანიშვილი (რედაქციის პასუხისმგებელი მდიდარი).



## გამოცემის წელი გევადე

ეძღვნის 36.-დობ. 8 კ. ციხესიმაგრების სამართლის

# თანამედროვე მეზობელი

ყოველთვისი სამუშაოს სამუშაო ქურნალი

ဖြစ်ပေါ်ခဲ့သော မြန်မာရှိသူများ အတွက် မြန်မာရှိသူများ အတွက် မြန်မာရှိသူများ အတွက်

—IV

## ମାର୍ଗତିବ—ଅପରିଲିଙ୍ଗ

სარედაქციო კოლეგია: პროფ. ა. ნათეშვილი, პროფ. გ. ჭლენტი, პროფ. შ. მიქელაძე, პრ.-დოცენტი მ. მგალობელი; ასისტენტები: ზ. მარსურაძე, პ. ქავთარაძე, ი. ასლანიშვილი (რედაქციის პასუ- ხის-მეცნიერებლი მდივანი).

U. S. S.

ବୁଦ୍ଧାପତ୍ର କାନ୍ତିମାଲା  
କାନ୍ତିମାଲା

କେବଳ କାନ୍ତିର ଅଧିକାରୀ  
ପ୍ରଦୀପ ପାତ୍ର ଏବଂ ମହାନ୍ତିର  
ପାତ୍ର ପାତ୍ର

ଓଡ଼ିଆ—1930.

14 - VII 308  
N 308

## 3. Geographie

ყოველთვის სამუშაოზე სამკუნძულო მუნიციპალიტეტი

## თანამედროვე მედიცინა

ფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკუნძულო ფაკულტეტის  
მეცნიერ გუბაკთა მიზანი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კამოს ქ. 47ა. პათოლოგ-ანატომიური ინსტიტუტის შენობა;  
ელემენტი 11-69

### Ежемесячн. научно-врачебн. журнал ТАНАМЕДРОВЕ МЕДИЦИНА

Орган научных работников Медицинского факультета Тифлисского Государственного университета

№ 3-4 1930 г. мартъ-апрель.

Редакционная коллегия: Проф. А. Н. Натишвили, проф. В. К. Жгенти, проф. Ш. А. Микеладзе; пр-доц. М. Ф. Мгалобели, ассистенты: З. Майсурадзе, П. П. Кавтарадзе, И. А. Асланишвили (ответственный секр. редакции).

Адрес редакции: С. С. Р. Г. Тифлис, ул. Камо, № 47. Патолого-анатомический институт, телефон 11-69.

THANAMEDROVÉ MÉDICINA

Journal médical géorgien.

№ 3-4.

1930. Mars-Avril.

Comité de Rédaction: A. Nathichvili, prof., V. Jghenti, prof. Sch. Mikéladzé, prof. agrégé Mgalobélli, dr. Z. Maissouradzé, P. Kavtharadzé, J. Aslanichvili (Secrétaire de la Rédaction).

Adresse de la Rédaction: 47, rue Kamo.

Institut anatomo-pathologique

Tiflis (Céorgie), U. S. S. R.

1. Priv.-doc. W. Tzetzkladzé (Necrologue) . . . . .	136
2. Prof. A. Nathichvili. La question de limite entre anomalie ou variation du gros intestin. . . . .	137
3. Priv.-doc. W. Tzetzkladzé. Die Bedeutung der anthropometrischen untersuchungsmethoden für die Frage der physischen Entwicklung des organismus. . . . .	149
4. B. Kakozichvili. Casus venae umbilicalis suprahepaticae . . . . .	157
5. E. Nemsadze. La microleucocytoculture et sa valeur pratique pour le diagnostic de la fièvre typhoïde . . . . .	163
6. D. Djavakhishvili. Deux cas de polyarthrite endocrinienne en rapport avec le gynecomastie . . . . .	169
7. P. Kavtaradzé. Deux cas de kyste hydatique du cerveau . . . . .	176
8. M. Zehakaya. Die operation nach Ruggi-Reiche bei Hernia femoralis . . . . .	182
9. S. Tschauchunaschvili. Ueber Tröndkörper in der peritonealhöhle . . . . .	188
10. Prof. I. Abakelia. La tuberculose parmi les écoliers de Titlis . . . . .	194
11. Analyses . . . . .	215
12. Correspondances . . . . .	
13. Chronique . . . . .	135
1. Прив.-доц. В. К. Цецхладзе (некролог) . . . . .	137
2. Проф. Ал. Натишвили - К вопросу о разграничении аномальных форм полых, толстых кишок от форм вариантических . . . . .	149
3. Прив.-доц. Вл. Цецхладзе. Роль антропометрических методов последования при выяснении вопроса о физическом развитии организма . . . . .	157
4. В. Какишвили. Casus venae umbilicalis suprahepaticae . . . . .	163
5. Немсадзе Е. Микро-лейкоцито-культура и ее практическое значение при брюшном тифе . . . . .	169
6. Д. Джавахишвили. Два случая ендокринного полиартрита в связи с гинекомастией . . . . .	176
7. П. Кавтарадзе. Два случая эхинококка головного мозга . . . . .	182
8. М. Чхакая. Операция Ruggi-Reih-a при бедренных грыжах . . . . .	188
9. С. Чахунашвили. Инородные тела в перitoneальной полости . . . . .	194
10. Проф. И. Абакелия. Туберкулез среди школьников г. Тифлиса . . . . .	215
11. Рефераты . . . . .	
12. Корреспонденции . . . . .	
13. Хроника . . . . .	

## გ ი ნ ა ს ი

1.	პრივ.-დოც. ვლადიმერ ცეცხლაძე (ნეკროლოგი) . . . . .	135
2.	პროფ. ალ. ნატო შვილი.—მსხვილი ნაწლავების ანომალური და გარიანტული მდებარეობის საზღვრების შესახებ . . . . .	137
3.	პრივ.-დოც. ვ. ცეცხლაძე. — ანტროპომეტრიული მეთოდების დღე-ვანდელი როლი სხეულის ფიზიური განვითარების საკითხში . . . . .	149
4.	ვ. კაკოიშვილი.—ჭიბის ვენის ანომალიის იშვიათი შემთხვევა . . . . .	157
5.	ე. ნემსაძე,—Fiessinger-ს მიქრო-ლევკოციტო-კულტურა და მისი მნიშვნელობა მუცელის ტიფის დიაგნოსტიკისათვის . . . . .	163
6.	დ. ჯავახიშვილი.—ენდოკრინული პოლიატრიტის ორი შემთხვევა ე. წ. „გინეკომასტია“—სთან დაკავშირებით . . . . .	169
7.	პ. ქავთარაძე.—თავის ტენის ეხინოკოკის ორი შემთხვევა . . . . .	176
8.	მ. ცხაკარია.—Rueqai—Reieh-ის წესი თიაქარკვეთისა, როგორც არჩევანი მეთოდი ბარძაყის თიაქრის ოპერატიულ მკურნალობისა . . . . .	182
9.	ს. ჩახუნაშვილი.—გარეშე სხეულები პერიტონეუმის ღრუში . . . . .	188
10.	დოც. ი. აბაკელია.—ტუბერკულოზი ქ. ტფილისის მოწაფეთა შორის . . . . .	194
11.	რეფერატები . . . . .	215
12.	კორესპონდენცია . . . . .	—
13.	ქრონიკა . . . . .	—

## შურნალი თანამედროვეობის სურვილი განაცხადეს:

აბაკელია ი. დოც., ალადაშვილი ალ. პროფ., ამირეჯიბი ს. პროფ., ასათიანი მ. დოც., ასპისოვი ნ. დოც., ბურგსდორფი ვ. პროფ., ვარაზი ვ. პროფ., თიკანაძე ი. პროფ., ელიავა გ., ელიავა-შვილი ივ., ერისთავი კ. პრ.-დოც., მახვილაძე ნ. პრ.-დოც., მაჭავა-რიანი ა. პროფ., მგალობელი მ. პრ.-დოც., მიქელაძე შ. პროფ., მო-სეშვილი ვ. პროფ., მუსხელიშვილი ვ., მუხაძე გ. პროფ., ნათი-შვილი ალ. პროფ., ქლენტი ვ. პროფ., საყვარელიძე ს. პრ.-დოც., ქუთათელაძე ი. პროფ., ჩახნიანი კ. პროფ. (ნიენი ნოვგოროდი), უგ-რელიძე მ., ღამბარაშვილი გ. პროფ., ღოღობერიძე ბ. დოც., ყი-ფშიე ს. პროფ., წინამძღვრიშვილი მ. პროფ., წულუკიძე ალ. დოც., ჯანელიძე ი. პროფ. (ლენინგრადი).

## შურნალ „თანამედროვე ველიცინა“-ს ხელის მომზადების საურნადღებოდ

შურნალის საქმეების გამო და რედაქტიასთან ახლო კავშირის დასაჭრად ამსანაგებმა უნდა მიმართონ ჩვენს შემდეგ წარმომადგენლებს — ექიმებს:

ტფილის ში ს. მდივანს (ქალაქის 1 კლინიკური ინსტიტუტი), გ. ლი-დებულიძეს (ქალაქის პირველი საავადმყოფო), ა. უსტიაშვილს (სამეცნ-გინეკოლოგიური ინსტიტუტი), ი. ტატიაშვილს (პათოლოგ-ანატომიური ინ-სტიტუტი), ს. ანდერევისას (ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტი-ტუტი), ლ. ანთაძეს (ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი), ა. გოცირიძეს (საქ. ჯანსახეომისარიატი), კ. ტუშელაშვილს (რკინის გზის საავადმყო-ფო), ი. გაჩეჩილაძეს (სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი), ა. ელენტს (საქართველოს ექიმთა სააზოგადოება), ა. ძირაძეს (საქართველოს წითელი ჯვარი), მ. ჭილიძეს (ა. კ. ოკინის გზის სამმართველო), მ. ტეგმალიძეს (ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტი), ს. ჯანყარაშვილს (ქა-ლაქის ჯანმრთელობის განყოფილება), მ. გეგელაშვილს (ქართული სამხე-დრო ნაწილები), პ. მგალობლიშვილს (დერმატოლოგიური და ვენერო-ლოგიური ინსტიტუტი), ა. რუხაძეს (ცენტრალური კლინიკური ინსტიტუ-ტი), ვ. ოთხმეზურს (საქ. წითელი ჯვრის საავადმყოფო, სანაპირო ქ. 5).

ტფილისის გარეშე: დ. ჩეჩელაშვილს (ქუთაისი, ქავჭაბის ქ. 4), გ. კახიძეს (ზესტატონი, საავადმყოფო), ვ. მაქაცარიას (ბათომი, ჯაფარიძის ქ. 23), შ. მირიანაშვილს (გურჯაანი), შ. მთვარელიძეს (გორი, აკ. წერეთლის ქ. მამინოვის სახლი), ლ. დუნდუას (ახალსენაკი), ი. ასათიანის (ახალციხე), მ. ვაჩნაძეს (სიღნაღი), ვ. ჯაფარიძეს (სოხუმი), ვ. კვერენჩიალაძეს (ს. ნიკორწმინდა—ქვემო რაჭი), ს. საკანდელიძე (ს. ლეგი—მთის რაჭი).

საგაზითო გამომცემლობის სტამბა „კოლექტივი“.  
კამრს ქ. № 68.

## პრიზ-დოც. ვლადიმერ ცეცხლაძე

(ნეკროლოგი)

პრივატ-დოცენტი მედიცინის დოქტორი ვლადიმერ ყარამანის ძე ცეცხლაძე დაიბადა 1880 წ. სოფ. შემოქმედში (ოზურგეთის მ.ზრა). 1888 წელს შევიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1-ლი ხარისხით 1894 წელს. ამავე წელს ის შევიდა ქ. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ გადავიდა ქალაქ სიმფეროპოლის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1900 წელს. ორი წლის შემდეგ ვლადიმერი შევიდა ხარკოვის სავარერინარო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1907 წელს სავარერინარო ექიმის სახელწოდებით. 1909 წელს ის შევიდა ქ. ხარკოვის საექიმო ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1912 წელს cum eximia lauble. ამავე წელს მიღებულ იქმნა იმავე უნივერსიტეტის ჰისპიტალურ კლინიკაში შტატ გარეშე ორდინატორად, სადაც დაპყო 1913 წლის დამლევაშდე. შემდეგ ბრუნდება ცოტა ხნით თავის ქვეყანაში და მსახურობს ოზურგეთის ქალაქის ექიმად 1914 წ. 1 იანვრიდან აგვისტომდე. ამდროს მას მოუსწრო მსოფლიო ომშა, რის გამო გაწვეულ იქნა და დაინიშნა ქ. ხარკოვის სამხედრო ჰისპიტალის ქირურგიული განყოფილების შტატის ორდინატორად. ამავე ხანებში 1914—1917 წლ. მუშაობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ტოპოგრაფიულ და ოპერატორულ ქირურგიის კათედრასთან ასისტენტის თანამდებობაზე. 1918 წლის დასწყისში ვლადიმერი ხელახლა ბრუნდება ოზურგეთში, სადაც დაინიშნა ლაზარეთის უფროს ექიმად.

1919 წ. 20 აგვისტოს არჩეულ იყო ტფ. უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასისტენტად, რა თანამდებობასაც ასრულებდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ამავე ხანებში ის მოწვეული იყო ტფ. დრამატიულ და საპერო სტუდიებში ანატომიის და ფიზიოლოგიის კურსის წასაკითხავად, რომელსაც ეწეოდა 1924—1927 წლ. 1926 წლიდან დღემდე პედაგოგიური ფაკულტეტის დადგენილებით კითხულობდა იმავე ფაკულტეტზე კურსს „შესავალი პედოლოგიაში“.

გარდა ამისა 1928 წლ. 19 ვლ. ცეცხლაძე მუშაობდა ა.-კ. რკინის გზის პედოლოგიურ ლაბორატორიაში—ანტროპომეტრიულ კაბინეთის გამგის თანამდებობაზე. გარდა ჩვეულებრივი მუშაობისა, ვლადიმერი მეცნიერულადაც მიიწევდა წინ, რაც გამოიხატა ჯერ კიდევ 1925 წელში სადოქტორო გამოცდების ჩაბარებაში, და შემდეგ წარადგინა ფაკულტეტში საცისერტაციო შრომა: „ადამიანის დიდი ბალეჭინის მორფოლოგიური თავისებურობანი და მათი მნიშვნელობა ამ ორგანოს ფუნქციების გასამუქებლად“—დოქტორის ხარისხის მოსაპოებლად. 1927 წ. 29 მაისს სამკურნალო ფაკულტეტში თავის საჯარო სხდო-

გაზე პაექტობის შემდეგ ექიმ კლადიმერ ცეცხლაძეს მიანიჭა ანატომიის დოქტორის ხარისხი. 1929 წ. 2 სანიმუშო ლექციის წაკითხვის შემდეგ ფაკულტეტი მიანიჭა მას პრივატ-დოკუნტის სახელწოდება. ვლ. ცეცხლაძეს დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა შემდეგი შრომები:

1. განვითარების ანომალიები — „ნაღისებრ თირკმელი“, დაბეჭდილია უნიკერსიტეტის მოამბეში 1925 წ. № 5,
  2. შემთხვევა ადამიანის დიდი ბადექინის ანატომიური თავისებურობისა. უურნალ „თანამედროვე მედიცინაში“ -ში— 1925 წ. № 10—11,
  3. „რამოდენიმე ცდა ცხოველების დიდ ბადექინზე“ უურნ. „თანამედროვე მედიცინა“ -ში 1926 წ. № 6—7,
  4. „ადამიანის დიდი ბადექინის მორფოლოგიური თავისებურობანი და მათი მნიშვნელობა ამ ორგანოს ფუნქციების გასაშუქრებლად“ (სადისერტაციო შრომა),
  5. ანტროპომეტრიული მასალა ტფ. რკინის გზის თანამშრომელთა ბავშვების და მოზარდების შესახებ (ხელნაწერი),
  6. „სიცოცხლე და სიკვდილი“. სახელგამის გამოცემა. ცალკე წიგნად 1922 წ.,
  7. უჯრედი და ცოცხალი ნივთიერების ერთეული თანამედროვე ბიოლოგიის თვალსაზრისით. უურნ. „ჩვენი მეცნიერება“ ში 1924 წ. № 2,
  8. კონსულ ჟაციის გავლენა ადამიანის ორგანოების ტოპოგრაფიაზე. უურნ. „თანამედროვე მედიცინა“ -ში 1928 წ. № 1—2,
  - ჰქონდა აგრძელებული დაბეჭდილი სახელმძღვანელოც „ადამიანის ფიზიოლოგია“, რომელიც ორჯერ გამოვიდა, 1925 წ. და 1928 წ.

ვლადიმერ ცეცხლაძეს სტუდენტობიდანვე ერყობლიდა ღრმა სიყვარული  
მეცნიერულ მოღვაწეობისადმი. როგორც მეცნიერი-მუშაქი იგი ჩამოყალიბდა  
ქართულ უნივერსიტეტში. იგი იყო ლინჯი და ფრთხილი მკვლევარი, რომე-  
ლიც მტკიცედ დაუკავშირდა ბიოლოგიას და სიცოცხლის კანონების საიდემ-  
ლოების გამოაშარავებას ეძებდა ორგანიზმის მორფოლოგიური ცვალებადობის  
დინამიკაში. თავის ძრავალ მსმენელებში მან მოიპოვა პატივისცემა, ნდობა და  
სიყვარული, როგორც წყნარმა, კეთილმა და ჰუმანიურმა ადამიანმა. იგი ფაქი-  
ზად და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ყოველ თავის მოწაფეს და უყურებდა  
მას, როგორც თავის მომავალ ამხანაგს საზოგადოებრივ მოლვაწეობაში. ვლადი-  
მერი იყო მშენებელი ლექტორი, უყავრდა მარტივი, მაგრამ მეაფიო და სწორი  
აზროვნება, უეჭველად უდავო ფაქტებზედ დამყარებული. ბიოლოგიის იდეები,  
პრობლემები და ჰიპოთეზები მას ძალიან ჰქიბლავდა, მაგრამ იგი იყო  
ძალიან მორცხვი და ფრთხილი მოაზროვნე და ყოველგვარი შეცდომების ასაკ-  
დენად არ ბედავდა დასკვნების გამოტანას, თუ უდავო დასაყრდნობი არ ჰქონ-  
და ნაკოვნი. ვლადიმერის სიკვდილი სრულიად მოულონელი იყო და მისმა  
დაკარგვამ ერთბაშად დაამბლა ჩვენი სამურნალო მეცნიერების თეორეტიკოს-  
თა ისეც პატარა ოჯახი.

# თეორიული და კლინიკური გეზიცინა

პროფ. ალ. ნათეშვილი

## მსხვილი ნაწლავების ანოეალიური და ვარიანტული გდებარეობის საზღვრების შესახებ.

მსხვილი ნაწლავების სხვადასხვა ანატომ-ტოპოგრაფიული მდებარეობის შესახებ არსებობს დიდი ლიტერატურა მონოგრაფიების, დისერტაციების და ცალკე გამოკვლევების სახით; ყველა დიდ სახელმძღვანელოში მსხვილ ნაწლავებს მიძღვნილი აქვს მრავალგვერდიანი თავი და მორფოლოგია ამ ორგანოს თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს ბევრ თავის ნაწილებში.

საქმარისათ გამორკვეულია ის ფაქტორები, რომელიც მოქმედობენ მსხვილი ნაწლავების ნაწილების დალაგებაზე. გამორკვეულია ისიც, რომ ონტოგნეტიური ხანა მსხვილი ნაწლავის განვითარებისა მეტად ხანგრძლივია და უდრის დაახლოებით 12—15 წელს. ცხადია, რომ ასეთ ხანგრძლივ პერიოდში განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც მეყვითობითი ფაქტორები, ისე ჩანასახის ცხოვრების სხვადასხვა უაღრესად ცვალებადი პირობები, როგორც მექანიური, ისე ქიმიური ხასიათისა, ნაწლავების შეხაცავის ფიზიკური მდგომარეობა და ბოლოს ის უაღრესად მნიშვნელოვანი დინამიური ძალები, რომელიც საერთოა სხეულში და კერძოდ მსხვილ ნაწლავებში არის ბუნების მიერ ჩანერგილი.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შეუძლებელი ხდება ნაწლავების დალაგების ურიცხვ სხვადასხვაობაში ტიპიური დალაგების გამოძებნა. ასეთ პირობებში ადვილი ასახსნელი ხდება ერთი გარემოება: როგორც ძეველად, ისე დღესაც არაა გამორკვეული ის თუ, რომელი არაჩვეულებრივი მდებარეობა ნაწლავებისა უნდა გაისინჯოს, როგორც ვარიანტი და როგორი მდებარეობა მიეკუთხნება ან ომალიას.

ამ 15—20 წლის წინად მსხვილი ნაწლავების მდებარეობის ყოველივე ფორმა, რომელიც არ შექაბამებოდა კლასიკურ ანატომიაში მიღებულ ნორმას, აღიწერებოდა სპეციალურად ლიტერატურაში, როგორც განვითარების ანომალიის საყურადღებო მაგალითი. მხოლოდ ქრისტეფორე აღისონის საუცხოვ შრომის შედეგ, რომელშიაც ივტორმა მსხვილი ნაწლავების მდებარეობის მრავალფეროვანების საკითხი თითქმის სავსებით ამოსტურა და მთელი თავისი მასალა ვარიანტების სახით წარმოადგინა, თითქმის ყოველი შემთხვევა კოლინჯის მდებარეობისა აიწერებოდა ხოლმე, როგორც ვარიანტის მაგალითი.

ცხადია, რომ როგორც პირველ, ისე შეორე შემთხვევაში ცალმხრივობას და გატაცებას აქვს ადგილი.

ანომალია, როგორც მცნება, გარკვეულიდ მიგვითითებს ჩინასახოვან განვითარების ნორმალური ხაზის დარღვევაზედ; ასეთი ანომალია ხასიათდება მოცემულ შემთხვევისათვის გარკვეული ცვლილების სიმტკიცით და მუდმივობით, რომლის გამოსწორება უკვე შეუძლებელია და რომელიც ცხირად სიცოცხლისათვის მიუღებულია. ვარიანტი კი, როგორც მცნება, მხოლოდ სიცოცხლის მრავალფეროვნების მოვლენას გვიყარახებს; პომეტებულ შემთხვევაში იგი გამოწვეულია მექანიური ფაქტორების ზეგავლენით, რომლის აცილების შემდეგ მოვლენის სხვა ფორმაზე გადაყენაც აღვილი შესაძლებელი ხდება; ვარიანტი სრულიათ არ უარყოფს ორგანიზმის ნორმალურ არსებობას. ასეთი გაშუქებით ანომალია—არის ნორმის განმტკიცებული დარღვევა, ვარიანტი კი ნორმის დროებითი შეცვლა.

თუ ანოშნულ დებულებებს მივიღებთ, როგორც მსჯელობისა და დასკვნის გამოსავალ საფუძველს, ჩვენ დაგვჭირდება გამოძებნა სერიოზული, მორფოლოგიური ფაქტორისა, რომელიც მოგვცემს საშუალებას ყოველთვის ვარიანტული ფორმა ანომალიის ფორმისაგან მკაფიოთ გამოყოფთ.

მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ წამოყენებულ საკითხის გადაწყვეტისათვის ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პერიტონეუმის წარმოქმნებს და მათ შორის პირველ რიგში ჯორჯლების მდგომარეობას.

ჩვენ ვიცით, რომ ნორმალურად განვითარებულ მსხვილ ნაწლავს ჰქელა შემთხვევებში უნდა ჰქონდეს; თავი—coecum, ბოლო—rectum, მათ შორის მოთავსებული კოლინჯის სამი ნაჭერი—col. ascend., col. transv., col. descend. და სამი ნაკეცი—flex. col. dext., flex. coli sin. და flex. sigmoidea. ანოშნულ ნაწილებს შორის მხოლოდ ოთხ ნაწილს აქვს ჯორჯლები, (კნობილი mesoappendix, mesocolon transversum და mesorectum-ის სახელწოდებით. დანარჩენი ნაწილები ფიქსაციის მდგომარეობაში იმყოფებიან და ამიტომ მდებარეობის მუდმივობის თვისებებიც გაცილებით უფრო მეტად აქვთ გამოხატული. ასეთი საბოლოო სახე მსხვილი ნაწლავების ნაწილების დალაგებისა ვითარდება თანდათანობით და ვიხაიდან ნაწლავის სივრცე, მასი სანაოურის ოდენობა, მისი დანართი ორგანოების მორფოლოგია, შენაცავის ფიზიკური თვისებები, გაზების რაოდენობა, სხეულის საერთო მდიბარეობა და მეზობელ ორგანოების განვითარება უაღრისად ინდივიდუალური და ცვალებადია, ამიტომ ნაწლავების მდებარეობის ვარიანტების ფარგლებიც მეტად ფართოვდება.

მხოლოდ მიუხედავათ ყოველისა ანომალური ფორმის გამოყოფა სუყიველთვის ადვილი ხდება, თუ ნაწლავების პერიტონეალურ საფარველს, ჯორჯლებს და იოგოვან აბარატს დეტალურად გაქვსინჯავთ.

მიხედვით ზემონათქვამისა ჩვენი აზრით საკითხი საქართველოს გაშუქებული იქნება, თუ ჩვენ წარმოვადგენთ მოკლეთ ანომალიის რამდენიმე უდაოფორმას:

1. mesoappendix არ არსებობს სრულებით და ჭიანაწლავი მიწებებულია ან კოლინჯთან, ან წვრილი ნაწლავის ჯორჯალზე, ან რეტროპერიტონეალურ შემართებელ ქსოვილშია ჩართული.

2. დიდი ბადექონის დუბლიკატურები არ არის შეწებებული, განივ კოლინჯს ფიქსაცია აკლია კუტის დიდ სიმრუდესთან, რის გამო განივი კოლინჯის ნაწილები სრულიად არაჩვეულებრივ დაკლანისა და დალაგებას განიცდიან.

3. ასწვრივი კოლინჯი არ არის შეწებებული მუცლის უკანა კედელთან, mesenterium-ის და mesocolon transversum-ის ნაწილები გაერთიანებულ არიან და მსხვილი ნაწლავის პირველი ნახევარი განუწყვეტლივი წარმოქმნა არის, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ჩანასახოვან ცხოვრების პირველ თვეებში.

4. დასწვრივი კოლინჯი მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შეწებებულ მუცლის უკანა კედელთან, mesenterium commune-ს ნაწილების ნაშთების შერჩენის გამო.

5. mesosigmaideum-ი სრულებით არ არსებობს, შესატყვისი კოლინჯი მიერებულია თეძოს ფოსოსთან.

6. mesenterium და mesosigmaideum შეწებებული არიან ერთი მეორესთან სხვაღასხვა ხარისხით, რის გამო კოლინჯის და წვრილი ნაწლავების ნაწილები საერთო ჯორჯლში არიან მოქცეული.

7. mesenterium-ის ძირი შემოკლებულია თავის ქვემო ნაწილში, წვრილი ნაწლავის მეტი ან ნაჟლები უჯორჯლო ნაჭერი მოქცეულია რეტროპერიტონეალურ არეში და უძრავია.

8. ასწვრივი კოლინჯი არ არსებობს, რადგან ბრმა ნაწლავი ღვიძლის ქვეშ, თირკმელზედ ძევს, მასთან მჭიდროთ შეზრდილი, მსხვილი ნაწლავის განვითარების შეწერების გამო. ამ ფორმას ეკუთვნის ყველა შემთხვევა, როდესაც ბრმა ნაწლავი თეძოს ფოსოში არ არის ჩაწებული და ამავე დროს მის გარეშე ფიქსაციის მდგომარეობაშია.

ყველა დანარჩენი შემთხვევები მსხვილი ნაწლავების მდებარეობისა, მიუხედავათ მათი ზოგიერთ შემთხვევაში მეკეთრი ანატომიური დალაგების ცვლილებებისა, გასინჯულ უნდა იყოს როგორიც ვარიაციის მდებარეობის ერთ-ერთი მაგალითი.


დასასრულ მომყავის სამი შემთხვევა მსხვილი ნაწლავების არა ჩვეულებრივი მდებარეობისა, გამოწვეული პერიტონეუმის განვითარების ნორმალური გეზის დარღვევით, რის შედეგათ განვითარდა უდავო ანომალიის ფორმები.

### შემთხვევა I. სურ. 1.

ახალშობილი 3 თვისა. ვაჟი. სიკედილის მიზეზი: Erisipelas.—Sectio. Colon ascend. mobile (7 სანტ.). თავისუფალი და მოძრავი, ძევს მუცლის ღრუში ჰორიზონტალურათ მარჯვენა თირკმლის შუა ნაწილიდან დაწყებული და გადადის შუა ხაზის მარცნივ 2 სანტ.-რით (სურითხე ეს ნაჭერი გაღაწეულია მარჯვნივ).—Col. ascend. fixum (4<sup>1</sup>/<sub>2</sub> სანტ.). პირველთან კუთხესა ჰქმნის, ძევს მის ჯვნივ).—Col. ascend. mobile (7 სანტ.). თირკმელთან და 12-გოჯა უკან აგრეთვე ჰორიზონტალურათ და შეზრდილია თირკმელთან და გადადის შუა ხაზის მარცნივ ნაწილს უმაგრდება პერიტონეუმის ნაოჭი—lig. cysto-pyloro—duodenum.—Coecum, განიერი და მოზრდილი, ძევს მარცხენა თეძოს ფოსოში.—Appendix (6<sup>1</sup>/<sub>2</sub> სანტ.), თავისუფალი, მოძრავი, დაკლანილი ძევს col. mobile-ს გასწვრივ.—Col. transversum (25 სანტ.) იწყება 12-გოჯა ნაწ-

140. მსხვილი ნაწლ. ანომალ. და ვარიანტ. მდებარ. საზღვრ. შესახები მიზანთის

ლავთან, თავისუფალი და მოძრავია, საშუალოთ გაგანიერებული, რკალისებუ-  
რათ მოდრეკილი და თავდება ელენთის ქვემო ბოლოს ქვევით მკვეთრი შევიწ-  
სურ. № 1.



1) intest. ilium, 2) mesenterium—გადაჭრილი, 3) coēcum, 4) col. ascend.  
mob., 5) Flexura coli dextr., 6) col. transv., 7) Col. transv. δოლო, შევიწ-  
როებული, 8) Col. sigmoideum.

როებით მე-11 ნეკნის დონეზე.—Col. descend. არ არის გამოხატული.—Flex. sigmoidea (20 სანტ.) მეტათ ორიგინალურ მდგომარეობაშია: იგი ღრმათა ძევს, მისი შუა ნაწილი შეზრდილია მუკლის უკანა კედელთან, და ახლო მეზობლათ ძევს col. asc. fixum-თან; კოლინჯის ამ ნაწილის დასაწყისი და საბოლოვო ნა-კრებს ძცირე და ვიწრო ჯორჯლები შერჩენიათ და ცოტაოდენ მოძრაობაც შეუძლიანთ; მისი საბოლოვო ნაწილი მიმაგრებულია პერიტონეუმის იოგით მარჯვება თეძოს ფოსოსთან, საიდანაც იგი შემდეგ პუპარტის იოგსა, და მუც-ლის წინა კედელს მიჰყვება და შუა ხაზზე გადადის სიღრმეში კონცხისაკენ.

ამ შემთხვევის არაჩევულებრივ თავისებურებებს ამრიგათ შეაღენენ: 1) სიგმოიდურ კოლინჯის შუა ნაწილის სრული ფიქსაცია, 2) ამავე ნაწილის მეზობ-ლობა ასტერივ კოლინჯის უძრავ ნაწილთან, 3) სიგმოიდურ კოლინჯის ჯორჯ-ლის უარსებობა, 4) მარჯვენა თეძოს ფოსოში სამუდამოთ სიგმოიდურ კოლინჯის მოთავსება, 5) საზოგადოთ მთელი სიგმოიდური კოლინჯის ანორმალურ მდება-რების მუდმივობა, 6) ბრამა ნაწლავის მკეთრი მიგრაცია და მისი მარჯვენა თეძოს ფოსოში მოთავსების შეუძლებლობა.


## შემთხვევა II, სურათი № 2.

ახალშობილი, 2 თვისა, ქალი. სიკვდილის მიზეზი: თანდაყოლილი სისუსტე.

Col. asc. mob. (3 სნტ.). თავისეუფალი და გადაბრუნებულია ზევით და მედი-ალურათ და შეხება ღვიძლს.—Col. asc. fix. (2½ სნტ.) ძევს ირიბათ, თირკმელ-ზედ, ღვიძლის ქვედა კიდის გასწვრივ და შეზრდილია 12-გოჯა ნაწლავთან.—Appendix (4 სნტ.), მისი თითქმის ნახევარი შეზრდილია კოლინჯთან; დანარ-ჩენი ნაწილი, მოკლებულია ჯორჯალს და მოკლებულია უძრავათ mesenter-rium-ის მარცხენა ფურცლის ქვეშ.—Col. transvers.-ის მარჯვენა ნაწილი ჰქმნის გადაგრეხილ კვანძოვან მარყუშს, მოთავსებულს ღრმათ, ღვიძლის ქვეშ, პილო-რუსის მარჯვენივ და ქვემოთ. განივ კოლინჯის შუა ნაწილს უფრო ზერელე მდე-ბარეობა აქვს, შევიწროვებულია და უხვად დანაოჭებული კუჭკოლინჯის იოგით მიმაგრებულია კუჭის დიდ სიმრუდესთან. განივ კოლინჯის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს ნაწლავის ორ ერთი მეორეზე დაკეცილ მარყუშს; ასეთი მარყუშის სახით იგი ჩამოეშვება ქვევით და ძევს სიღრმეში თირკმლის მარცხნივ. უკანა ასწვრივი ნაჭერი ამ მარყუშისა, 12-გოჯამლივ ნაკეცის მეზობლათ მჴიდროთ არის მიმაგრებული მარცხენა თირკმლის ზემო ბოლოსთან.—აქედან კოლინჯის ნაწილი, რომელიც უნდა ესაბამებოდეს col. descendens წვება მარცხენა თირ-კმლის კარზედ, 12-გოჯას ასწვრივ ნაწილის მეზობლათ, უვლის მას მარცხნიდან და ქვეიდან, შედის წვრილ ნაწლავების ჯორჯლის დუბლიკატურაში და 4 სნტ. და ქვეიდან, შედის წვრილ ნაწლავების ჯორჯლის დუბლიკატურაში და 4 სნტ. მანძილზედ მლივი ნაწლავის მეზობლათ ძევს; წელის მესამე მალის დონეზედ იგი mesosigmoideum-ის თავისეუფალ ნაპირზე თავსდება და ჰქმნის ორ მკვეთრათ მოდრეებილ მარყუშს: მათ შორის პორქსიმალური ძევს ზერელეთ მუცლის წინა კედლის უკან, სიმფიზის ზემოთ, პროქსიმალური კი მარჯვენა თეძოს ფოსოს ნა-პირზედ. ამავე ფოსოში ძევს საკვერცხე თავის ლულით ჩამოკიდებულ ჯორჯა-ლზედ—lig. genito-mesentericum-ის საშუალებით.—ღვიძლი გადიდებულია, მეტადრე მისი მარცხენა ნაწილი თითქმის ისეთივე ოდენობისაა, როგორც მარ-

ჯვენა. გადიდებულია აგრეთვე ელენთაც. მარჯვენა საკვერცხე ჯერ მცირე შენჯზი  
არ ჩაშეებულა.

სურ. № 2.



- 1) Coecum, 2) int. ilium, 3) Mesenterium გადაჭრილი, 4) Flex. duodenajejunalis, 5) Col. transv.-ის მარჯვენა სპირალური მარყუში, 6) მისი შუა ნაწილი, 7) Col. transv.-ის მარცხენა, დაკეცილი მარყუში, 8) კუჭი, 9) Col. descend., 10) პერიტონეუმის ნაოჭები, რომელთაც შეკავებული აქვთ ჭიანაწლავი, 11) მარჯვენა საკვერცხე თემის ფოსოში, 12) Flex. sigmoidea.

სრული ანომალიური მდებარეობა მსხვილი ნაწლავებისა ამ შემთხვევაში აშკარად შეკავშირებულია პერიტონეუმის წარმოქმნების ანორმალობასთან და სწორეთ ეს უკანასკნელი ფაქტი შეუძლებლათ ჰქმნის ნაწლავების ასეთი მდებარეობის შეცვლას. ამ შემთხვევის პერიტონეუმის ანორმალობას შეაღენს: 1) ჭია ნაწლავის ჯორჯლის არ ყოფნა, 2) წვრილი ნაწლავის ჯორჯლის ძირის პორიზონტალური მიმაგრება მუცლის უკანა კედელთან, 3) განივ კოლინჯის მარცხენა ნაწილის ორ ნაჭრათ შეწებება mesocolon transversum-ის განუვითარებლობის გამო, 4) დასწვრივ კოლინჯის სრული გადაწევა მარჯვნივ პერიტონიუმის ნაოჭების ზედმეტ განვითარების და გამსხვილების გამო, 5) mesosigmoideum-ის არამთლიანობა და არაჩეულებრივი მიმაგრება მუცლის უკანა კედელთან.

### შემთხვევა III სურ. № 3. და № 4.


ახალშობილი, ქალი. 3 კვირისა სიკვდილის მიზეზი — თანდაყოლილი სისუსტე. — ამ შემთხვევის ანომალია მდგომარეობს იმაში, რომ ბრმა ნაწლავი, ასწვრივ კოლინჯის მოძრავი ნაწილი და სიგმოიდურ კოლინჯის თთქმის ნახევარი ჩართულ არიან წვრილი ნაწლავების ჯორჯალში და მასთან ერთად მოძრაობენ. ამიტომ მუცლის გაკვეთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ Col. asc. და ბრმა ნაწლავი გადაბრუნებულან ზევით და ეხებიან ღვიძლის ქვემო ზედაპირს; ასწვრივ კოლინჯის დისტალური ნაწილი ღრმათა ძევს და შეზრდილა მარჯვენა თირკმელთან. ჭიანაწლავი (7 სნტ.) ვიწრო ჯორჯლიანია, ცოტათ მოძრავი, ძევს სიღრმეში ღვიძლის უკანა კიდესა და თირკმელ შორის.

Col. transv. შედარებით ნორმალი მდებარეობისაა Col. desc. მარცხენა თირკმლის გვერდით ძევს, შეზრდილია მუცლის უკანა კედელთან.

Flex. sigmoidea თეძმს ქედიდან მიღის მარჯვნივ, ირიბათ, ზევით, თორმეტ-გოჯა-შლივ ნაკეცმდე, პერიტონეუმის უკან ძევს და უძრავი რჩება. შემდეგ იგი შეიჭრება წვრილ ნაწლავის ჯორჯალში და 6 სანტიმეტრის მანძილზედ ძევს მლივ ნაწლავთან ერთად ჯორჯლის თავისუფალ კიდეში. იგი გადასჭრის ბრმა ნაწლავს და ამის შემდეგ უკვე მეზოსიგმოიდუმის თავისუფალ კიდეში წვება; მარჯვენა თეძმს ფოსოში იგი ჰქმნის მარყუშს, რომლის ასწვრივი მუხლი წვება ასწვრივ კოლინჯის გვერდით და ილწევს ღვიძლის ქვემო ზედაპირს. აედან სიგმოიდური კოლინჯი ჩამოდის უკან თეძმს ფოსოში და მცირე მენჯის ღრუში ეშვება.


ამრიგათ წვრილი ნაწლავების ჯორჯლის (mesenterium) დისტალური ნაწილი შეწებებულია სიგმოიდურ კოლინჯის ჯორჯალთან (mesosigmoideum), რის გამო შექმნილა ანომალური ურთიერთობა და კოლინჯის დასაწყისი და საბოლოო ნაწილების ასეთი მტკიცე გაერთიანება მუდმივ მოვლენათ გადაქცეულა.

სურ. № 3.



- 1) 1 და 2 Col. ascend mob., 3). Col. asc. fix., 4) Flex. coli dextra
- 5) Flex. duodeno-jejun., 6) Mesenterium გადაჭრილი, 7 და 8) Col. transv.,
- 9) პერიტონეულის ნაოჭები, რომლებითაც ასწვრივი კოლინჯი მჭიდროთ არის მიმაგრებული მუცლის უკანა კედელთან, 10) პერიტონეულის ნაოჭები, რომლებითაც მტკიცეთ არიან გამაგრებული ასწვრივ კოლინჯისა და სიგმოიდურ კოლინჯის ნაწილები, 11, 12 და 13—Col. descend. და Col. Sigmoid. 14) Appendix.

სურ. № 4.



1 და 2) Col. ascend, 3) Flex. Coli dextra, 4) Flex. duodeno-jejunal.,  
5) Col. desc., 6 და 7) Col. sigmoideum, 8) Mesenterium, გადაჭრილი 9) Me-  
sosigmoideum და Mesenterium შეწებებული.



Проф. А. Н. Натишвили.

**К вопросу о разграничении аномальных форм положения толстых кишек от форм вариантических.**

Вопрос о многообразии положений толстых кишок в брюшной полости с давних пор занимал исследователей; этот вопрос имеет большую литературу и в настоящее время морфологически в достаточной степени освещен. Однако, где кончаются аномальные формы положения кишек и где начинаются формы вариантические—до сих пор остается открытым. В весьма обильной по этому вопросу литературе, различные авторы не всегда основательно трактуют то или иное отклонение от обще-принятых норм, то как аномальный, то как вариантический случай. И таким образом довольно часто, особенно при массовых исследованиях, формы, которые являются примерами варианта, описываются, как аномалии, а под формой вариантов—случаи, которые безусловно должны быть отнесены к аномалиям.

По мнению автора в каждом отдельном случае, при выяснении этого вопроса нужно руководствоваться не особенностями положения отрезков кишок, а отношением к ним брюшинного покрова и особенно его дериватов—брыйжек. Если принять во внимание именно эту сторону, вопрос об отнесении того или иного отклонения к аномалии или к варианту, может быть решен безошибочно.

Такая разгруппировка материала особенно важна при статистических подсчетах т. к. она ограждает от путаницы и неточных выводов.

По мнению автора, аномалия положения толстой кишки, как морфологическое понятие, обязательно предполагает нарушение нормального процесса развития, характеризуется стойкостью образованной формы, устранение которой в последующие периоды

PROF. A. NATICHVILI.

La question de limite entre anomalie ou variation de situation du gros intestin.

La question de différentes situations du gros intestin dans la cavité abdominale depuis longtemps fut l'occupation des chercheurs; cette question a maintenant une littérature médicale riche et au point de vue morphologique elle est suffisamment éclairée.

Cependant la question de limite, là où finissent les anomalies et commencent les variations jusqu'à présent reste encore ouverte.

Des auteurs différents ne sont pas toujours objectifs et traitent telle ou autre inclination de l'état normal comme anomalie, ou bien comme une simple variation. Ainsi très souvent et surtout pendant des recherches en masse, la forme qui constitue comme un type de variation, de l'état normal est considéré injustement comme une anomalie, d'autre part bien souvent on décrira comme un type de variation ce qui n'est qu'une anomalie typique. D'après l'auteur dans chaque cas différent pour éclairer la question, d'anomalie ou de variation, il faut se guider non pas de la situation spéciale du G. I. mais des rapports du péritoine au dernier et surtout du mésentère.

Si l'on prend en considération ce principe, la gestion des anomalies ou des variations peut-être résolue sans faute.

Un tel groupement du matériel de recherche est important surtout au point de vue de statistique, parce qu'il nous dispense de faire des fautes et par conséquent des conclusions fausses.

D'après l'auteur la situation anormale du G. I. au point de vue morphologique est intimement liée avec le vice du processus de développement normal du péritoine et qui se caractérise par la fixité de la forme en considération dont la correction dans les périodes ultérieures n'est pas toujours possible et dont l'existence n'est pas toujours compatible avec la vie.

Alors que une variation n'est qu'une différence de forme, comme suite d'action mécanique et dynamique. Cette dernière se

ды не всегда возможно и наличие которой для жизни не всегда приемлемо. Вариант же есть выявление жизненного многообразия форм, является следствием механических и динамических воздействий, характеризуется не постоянством и изменчивостью и вполне совместимо с нормальными функциями данного органа.

Исходя из вышеуказанной предпосылки автор конкретно перечисляет те формы уклонения в положении толстых кишок, которые должны быть отнесены к случаям аномальным и тем самым разрешает вопрос о группе вариантов форм.

И так к аномалиям должны быть относимы:

1) Mesoappendix отсутствует и придаток припаян или к стенке полости, или к colon ascendens или к брыжейке тонкой кишки или лежит в ретроперитонеальной клетчатке.

2) Дубликатуры большого сальника остались неспаянными, colon transv. лишен фиксации с кривизной желудка и bursa omentalis непрерывно продолжается вниз в большой сальник.

3) Colon ascend. не спаяна с задней стенкой живота, mesenterium непрерывно продолжается в mesocolon transversum и первая половина толстых кишок подвешена на общей брыжейке как в первые месяцы утробной жизни.

4) Colon descend. на всем протяжении или частично не спаяна с задней стенкой живота и подвешена на брыжейке, которая непрерывно продолжается в Mesosygoideum.

5) Mesosygoideum отсутствует совершенно и соответственная ей кишка припаяна к подвздошной яме.

6) Mesenterium и mesosygoideum слияны между собой на различном протяжении благодаря чему отрезки толстых и тонких кишок подвешены на одной брыжейке и двигаются совместно.

7) Корень mesenterium укорочен в нижней части, конец тонкой кишки

caracterise par l'absence d'une fixité de forme et de variabilité et est pleinement compatible avec la fonction normale de l'organe.

D'après ce que l'on vient de dire, l'auteur expose concrètement toutes les formes dont la différence de l'état normal constitue une véritable anomalie et ainsi en même temps il délimite les cas, qui rentrent dans le groupement de variation de formes différentes.

Et ainsi au groupement d'anomalie l'on doit considerer:

1. Absence du meso-appendix, l'appendix est fixé ou bien à la paroi de la cavité abdominale ou bien au colon ascendent ou au mésentère ou encore se trouve dans le tissu retro-péritonéal.

2. Le dédoublement du grand épiploon reste à l'état embrionnaire et les différents feuillets ne seoudent pas, le colon transverse ne présente aucun point de fixation avec la grande courbure de l'estomac et l'arrière cavité se prolonge en bas dans le grand épiploon.

3. Le colon ascendant ne se soude pas avec la paroi postérieure de la cavité abdominale et le mésentère se continue directement avec le mésocolon transverse et ainsi à première moitié du gros intestin est suspendue au mésentère commun comme pendant les premiers mois de la vie intra utérine.

4. Le colon descendant dans toute sa longueur ou en partie seulement, n'est pas fixé à la paroi postérieure de la cavité abdominale et trouve suspendu à son méso qui se prolonge directement dans le mésosygoïde.

5. Le méso-sygmoïde est complètement absent et son intestin correspondant est fixé dans la fausse iliaque gauche.

6. Le mésentère et le méso-sygmoïde sont soudés entre eux à des points différents grâce auquel des parties du G. I. et intestin grêle sont suspendues à un seul mésentère.

7. La racine du mésentère est raccourcie à sa partie inférieure, la fin de l'intestin

шишен брыжжейки и лежит неподвижно в забрюшинном пространстве.

8) Coecum лежит высоко под печенью, спаян с почкой благодаря чему colon ascend. отсутствует; сюда же надо отнести все случаи более или менее высокого положения слепой кишки, если она в это же время фиксирована в sinus mesentericus dextet.

В заключение автор в виде иллюстрации приводит описание трех случаев аномального положения толстых кишек у детей первого года жизни.

grèle est dépourvue de mésentére libre et se couche fixée à la paroi péritonéale postérieure.

8. Le coécum se trouve fixé haut sous le foie et adhère au rein droit et grâce à cette situation le colon ascendant est absent. Dans cette catégorie d'anomalie il faut classer les situations plus ou moins hautes dès que le coécum si en même temps il est fixé au sinus mésenterique droit.

Comme conclusion l'auteur rapporte la description de 3 cas d'anomalie de développement de situation de G. J. chez des enfants des premières années de la vie.

36. ლՐԸ. 3. ՅԵՐԵՎԱՆԻ

ანტიკულტურული გეორგების დღევანდელი როლი<sup>\*)</sup>

აღამიანის ფიზიკური განვითარების საკითხის გამოსარკვევად დღევანდველ ანტროპომეტრიულ მეთოდებს უდიდესი შიშვნელობა აქვს. ანტროპომეტრია შეადგენს ანტროპოლოგიურ მეცნიერების მთავარ დარგს, რომელიც განსაკუთრებით უკანასკნელ დროს განვითარდა და ფართოდ იქმნა გამოყენებული ადამიანის მრავალი ფიზიკური ხასიათის თვისებების გაშუქების საქმეში.

როგორც თვითონ სიტყვა „ანტროპომეტრია“ (*anthropos*—კაცი, *metron*—ზომა) აღნიშნავს, იგი ეხება ადამიანის სხეულის და მისი ორგანოების ზომებს იმ მიზნით, რომ ასეთ მასალაზედ დამყაროს დასკვნა ადამიანის ფიზიკური განვითარების შესახებ და აკრეთვე გაარკვიოს პირობები, რომლებიც საჭიროა მომავალი თაობის ფიზიკურად გაჯანსაღებისათვის. როგორც სჩანს, ანტროპომეტრიას აქვს არა მარტო თეორეტიული, არამედ აგრეთვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ისე, როგორც მეცნიერების სხვა დარგებს, ანტროპოლოგიულ მეთოდებაც თავისი წარსული და წინასწარი ცისციპლინები ჰქონდა და მის დასაწყისს ჩენებუძველეს დროში კედავთ. ასე, მაგალითად, ეგვიპტეში 3000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, როცა იქ ხელოვნება შედარებით მაღლა იდგა, ადამიანის სხეულის და მისი სხვადასხვა მიღმოების ზომვა უკვე ხმარებაში იყო. ეგვიპტის მაშინდელ სამარტ აღილებში იპოვნენ ქაზედ ამოჭრილი ხაზები, რომლებიც იმდროის მხატვრებისათვის წარმოადგენდნ ადამიანის სხეულის საზომერთეულს. ასეთ ერთეულად ეგვიპტელებს აღებული ჰქონდათ ხელის შუა თითის სიგრძე, რომლის საშუალებით იმათ უკვე გამოჰყავდათ ადამიანის სიმაღლე (21 $\frac{1}{4}$  ერთ.) და სხეულის სხვა ნაწილების სიგრძე, მაგ., თავის (4 ერ.) თავის მორთულობის (2 $\frac{1}{2}$  ერთეული) და სხვა. ბოქვენის სიმფიზს აქ უჭირია ცენტრი, კვირისთავა ძვლამდის აღებულია 4 ხაზი, ჭიპი მოთავსებულია მე-11 ხაზზე, მე-14 და 15 ხაზებს შორის მდებარეობენ სარძეო ჯირვლები, მე-17 ხაზზე—(ახვირის მწვერვალი და მე-18-ზე—შუბლის ბორცვები.

ზომების საშუალებით მხატვრობა ეგვიპტელებიდან გაღმოიღეს და კიდევ უფრო განვითარეს — ძერძნებმა. უკანასკნელებმა თითის მაგიერ საზომ ერთეულად ჯერ აიღეს ხელის გულის ზედაპირის სიგანე და ამ საზომის საშუალებით

\*) სანიმუშო ლექცია, ჭავი გხული ფაგილტეტის საბჭოს სხდომაზე 1928 წლის დეკემბრში პრივატლოცვანის წილების მისაღებად.

გამოიკვლიეს, რომ ადამიანის პირისახე შეადგენს მისი სხეულის  $\frac{1}{10}$ , თავი —  $\frac{1}{8}$ , თავი და კისერი ერთად აღებული —  $\frac{1}{6}$ . შემდეგ, დაახლოებით ძე-IV საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ბერძნებმა საზომ ერთეულად თავი მიიჩნიეს და სისწორით აღნიშნეს, რომ უკანასკნელი შეადგენდა მოზრდილი ადამიანის სხეულის  $\frac{1}{8}$ . ბერძნების ეს დებულება თავის და სხეულის სიგრძის შესახებ ანტროპოლოგიურ მეცნიერებაში დღესაც უცვლელად არის მიღებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბერძნეთში ადამიანის სხეულის ზომვის შემოღებას ხელს უწყობდა ბერძნებს შორის განვითარებული გიმნასტიური ვარჯიშობა, რომელსაც მცხოვრებლები ეწეოდენ ოლიმპიის სითამაშოებში. ამ დროს მხატვრებს ეძლეოდათ საშუალება ენახათ ტანხე გახდილი ატლეტები, რომლებიც თამაშობაში მონაწილეობას იღებდენ და სისწორით შესწავლათ ადამიანის სხეულის ნაწილები.

საშუალო საუკუნეებში რელიგიური მოძრაობის ზეგავლენით რამოდენიმედ ფერხდება ანტროპომეტრიულ მეთოდზე დამყარებული მხატვრობა. ქრისტიანული, ყურანის და იუდელების რელიგია ხელს უშლიდა მხატვრებს, რომ მათ ისე თავისუფლად ენახათ ცოცხალი ადამიანის შიშველი ტანი, როგორც ეს საბერძნეთში შეიძლებოდა. ამიტომ საშუალო საუკუნეების გამოჩენილი მხატვრები ხელოვნების განსახორციელებლად მაღლულად ათვალიერებდეს გვამებს და ანატომიურად მათი შესწავლის შემდეგ ქმნიდენ მხატვრულ ნაწარმოებს. მაგ., გამოჩენილი მიქელ ანჯელო 12 წლის განმავლობაში გვამებზე ანატომიას სწავლობდა. აგრეთვე ცნობილი მხატვარი ლეონარდო დე ვინჩიმა, სანამ თავის გენიალურ ნაწარმოებს გამოაქვეყნებდა, გვამებზე შეისწავლა ანატომია, მოკლე სახელმძღვანელოც კი შეადგინა ამ დარგში და მხოლოდ შემდეგ შესძლო თავისი უკდავი ნაწარმოების შექმნა.

სისტემატიური გამოკვლევები ამ მიმართულებით იწყება უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ჯერ განსაკუთრებული ყურადღება ამ დროს მიაქციეს თავის მოყვანილობას. 1764 წელს დობანტონმა გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევები კეფის დიდი ხერელის შედარებითი მდებარეობის შესახებ. ბლუმენბახმა და კამპერმა ყურადღება მიაქციეს ქალის ფორმას.

ლეილენის პროფესორმა პეტრე კამპერმა გამოიკვლია პირისახის კუთხე და იგი მან ციფრებით გამოხატა, როგორც ადამიანებისათვის, ისე ცხოველებისათვის. ამ კუთხეს შემდეგში კამპერის კუთხე დაარქვეს. კამპერის მიერ ნაჩვენები პირისახის კუთხე ნათლად გვისურათებს ქალის იმ ნაწილის განვითარებას, რომელშიაც ტვინი არის მოთავსებული. შემდეგ, ქალის მოყვანილობის მიხედვით, ბლუმენბახმა ხეთ რასად დაჰყო კაცობრიობა, რომლებსაც (რსები) ეკუთვნიან: 1) მონლოლების, 2) კავკასიის, 3) მალაის, 4) ეფიონიის და 5) ამერიკელების რასა.

თავის ქალის უფრო დაწვრილებითი შესწავლამ საშუალება მისცა Retrius-ს თავის სიგრძის და სიგანის დამოკიდებულების მიხედვით კაცობრიობა ორ ჯგუფზე გაეყო: გრძელ და მოკლე თავისანებზე. ამ ორ ფორმას ბროკამ შემდეგ დაუმატა კიდევ ერთი ფორმა: შუათავისანების.

ამნაირად თავის ქალას ანტროპომეტრიულმა გამოკვლევამ მოგვცა საყურადღებო მასალა თავის ფორმის შესახებ და ამიტომ ბუნებრივია, რომ ადრე დაიბადა საჭიროება ასეთი გაზომვით შესწავლილიყო ადამიანის სხეულის სხვა ნაწილებიც. და აი მე-19 საუკუნიდან იწყება გამოკვლევების მთელი რიგი, რომელიც აღნიშნავს ადამიანის სხეულის სხვადასხვა მიმართულებით გაზომვას. ასეთ მუშაობას აწარმოებდენ: კეტლე, ტოაინარი, სერდექტი და სხვები. თანდათან გაფართოვდა ანტროპომეტრიული მეთოდების ხმარება. მათი საშუალებით იკვლევენ ადამიანის ორგანიზმის ცვლილებებს დაწყებული დაბადებიდან მთელი სიცოცხლის განვითარებაში და ასეთ გამოკვლევებს მიეცა არა მარტო თეორეტიული ხასიათი, არამედ მათ ფართოდ იყენებენ პტაქტიკული მიზნებისთვის.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა წლებში კეტლემ ანტროპომეტრიის საშუალებით დაამუშავა ევროპის მცხოვრებლების ფიზიკური თვისებების საშუალო ნორმა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ანტროპომეტრიული გაზომვით ევროპაში სინჯავენ ჯარში მისაღებ პირებს და ასეთი საშუალებით იკვლევენ მათ ფიზიკურ განვითარების მდგრადარიგობას. შემდეგ ამისა, ანტროპომეტრიის გამოყენება თანდათან ვითარდება: ისინჯებიან მცხოვრებლები პროფელაქტიური მიზნით, რომ გაიგონ უკანასკნელების ფიზიკური განვითარების დონე და გამოარკვიონ ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხის სიკეთლიანობას, გადაგვარებას და სხვა, — ერთი სიტყვით ყველა იმ პირობებს, რომლებიც ეხებიან სოციალურ ჰიგიენურ მხარეს. ანტროპომეტრია აგრეთვე უეხს იყიდებს სასამართლო მედიცინის პრაქტიკაში, რომ გაზომვის საშუალებით გამოარკვიოს დამნაშავის პიროვნება.

მაგრამ შედარებით მეტად ანტროპომეტრიის გამოყენება უკანასკნელ ხაში დაიწყეს მოზარდ თაობის შორის, რაც გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ წადილს, რომ ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება სასურველ პირობებში იყოს ჩაყენებული. ვინაიდან ანტროპომეტრიის დარგით სარგებლობას მომზადების ფიზიკური სტატიკის და დინამიკის გასაშუქებლად დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მე მივსცემ ჩემ თავს ნებას უფრო დაწვრილებით შევეხო ამ მხარეს.

1894 წელს ამერიკაში ოსკარ ხრისმანმა დაარსა ჟურნალი პედოლოგია, რომელშიაც დიდი ყურადღება ექცევლა ბიომეტრიულ დისკიპლინებს. ამის შემდეგ ამ იდეამ ფეხი მოიკიდა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ევროპის სახელმწიფოებში ჩვენ უკვე ვხედავთ დაწესებულებებს და პერიოდულ გამოცემებს, სადაც ანტროპომეტრიული მასალების საშუალებით ფართოდ ირკვევა ბავშების განვითარების პირობები.

ასეთივე მიზნის დაწესებულება 1906 წელს რუსეთშიც გაიხსნა. მას ერქვა „ბავშის შესასწავლი ინსტიტუტი პირები დღიდან დაწყებული“. ამ ინსტიტუტს მოჰყვა რამოდენიმე სხვა ინსტიტუტების გახსნა პეტროგრადში და მოსკოვში. 1921 წელს მოსკოვში არსდება ცენტრალური პედოლოგიური ინსტიტუტი, სადაც დაიწყო ნორმალური ბავშების სისტემატიური შესწავლა. ასეთივე დანი-

შნულების ინსტიტუტები შემდეგ იხსნება საბჭოთა რუსეთის სხვა ქალაქებშიც: ხარკოვში, ყაზანში, ოდესაში და სხვაგან.

საბჭოთა რუსეთს მოჰყვა ამიერ კავკასიაშიც. 1927 წელს დეკემბერის 19-  
რიცხვს ტფილისშიაც გაიხსნა აკ. რკინის გზის პედოლოგიური ლაბორატო-  
რია. ძირითად კაბინეტებს შორის, რომლებიც ამ უკანასკნელ ლაბორატორიაში  
მუშაობენ, მთავარი ადგილი უჭირავს ანტროპომეტრიულ კაბინეტს. განხრახუ-  
ლია, რომ ასეთი კონსტრუქციის ლაბორატორიუმი ამიერ კავკასიის სხვა ადგი-  
ლებშიც იყოს გახსნილი.

აქედან სჩანს, რომ ანტროპოლოგიურიამ ფეხი მოიკიდა ბავშების ფიზიკურად და ფსიქიურად აღზრდის საქმეში და დღეს მისი მითითებებით სარგებლობენ პროთილაქტიკური პირობების მეცნიერულად შესწავლისათვის,

ახლა ვიკითხოთ, რას უნდა ვუწოდოთ ჩვენ აღამიანის ფიზიკურად განვი-  
უარების პირობების შესწავლა?

ეს არის ერთის მხრივ, ადამიანის სხეულის ფორმის და მისი (სხეულის) ფიზიოლოგიური ფუნქციების შესწავლა და, მეორეს მხრივ, გაცნობა იმ მიღამოს პირობებთან, რომლებიც აკრავს ადამიანს და მოქმედობენ მისი სხეულის აგებულობაზე. როგორც გერბერტ სპენსერმა განსაზღვრა, სიცოცხლე წარმოადგენს ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობის განუწყვეტლივ შეგუებას გარემოცულ პირობებთან და ამიტომ პირველის დამკიდებულება უკანასკნელებთან თხოულობს იმ ცვლილებების ცოდნას; რომლებიც სხეულში ხდება, ეს კი შესაძლებელია ანტროპომეტრიის მეთოდების საშუალებით.

რომ გარემოცული მიდამოს ფაქტორები ერთნაირად მოქმედებდენ ყველა  
აღამიანებზე, ცხადია, შეღეგიც ერთნაირი იქნებოდა, რაც სინამდვილეში არ  
არის, ვინაიდან ყოველი კერძო პიროვნება იძულებულია სხეულის ორგანიზა-  
ციის მიხედვით თავისისტურად შეეგულს გარემოცულ პირობებს, რომელშიც,  
თავის მხრივ, მასში იწვევენ ინდივიდუალურ ცვლილებებს.

კერძოთ, ანტროპომეტრიული მეთოდების მნიშვნელობის საილიუსტრაციოდ  
ნებას მიყცემ ჩემ თავს მოვიყვან ზემონახსენებ პედოლოგიის ანტროპომეტრი-  
ული კაბინეტის მიერ დამუშავებული ზოგიერთი სტატისტიკური მასალა, რო-  
მელიც ტფილისში მცხოვრებ ქართველ ბავშების ფიზიკურ განვითარებას შეე-  
ხება. ცნობილია, მაგალითად, რომ სიმაღლე ადამიანის ფიზიკური განვითარე-  
ბის მთავარი მაჩვენებელია. ანტროპომეტრიულ მასალის დამუშავების შემდეგ  
ტფილისის რკინის გზის სხვადასხვა წლოვანების და სქესის ბავშებზე ჩვენ მივი-  
ღეთ შემდეგი ციფრები:

ქართველი ბავშების სიმაღლე უდრის საშუალო არითმეტიკული რიცხვის  
მიხედვით;

წლის	სასამართლო	ვაჭის	ქალის
წლის	სასამართლო	ვაჭის	ქალის
6	50	109,93	სანტიმეტრი
7	50	113,62	"
8	50	119,27	"
9	50	125,23	"
10	50	132,13	"
11	50	132, 4	"
12	50	137,31	"

მოყვანილი ციფრებიდან, რომელიც ქართველი ბავშების მხოლოდ სიმაღლეს შეეხება, ჩვენ შეგვიძლია მრავალი საგულისხმო დასკვნები გამოვიყვანოთ.

პირველად, ჩვენ უკვე წარმოდგენას ვარდგენთ აღებული წლების ბავშების ზრდის სტატისტიკაზე და დინამიკაზე.

მეორედ, აქვე ნათლად მოსჩანს სიმაღლის მოძრაობა და მისი განვითარება ბავშების სხვადასხვა სქესთა შორის. მაგალითად, რომ ჯერ 6—11 წლამდის სიმაღლით ვაჟი მაღლა სდგას ქალზე, ხოლო 11 წლიდან კი, პირიქით ამ მხრივ ქალი ეწევა ვაჟს და 12 წელში კიდევაც უსტრებს მას.

მესამედ, ჩვენ შეგვიძლია ქართველი ბავშების სიმაღლე შევადაროთ სხვა ერების ბავშების სიმაღლეს და ვავიგოთ, თუ რა ადგილი უჭირავს ამ შემთხვევაში ქართველ ბავშებს. მოყვანილი მასალა გვიმტკიცებს, რომ ქართველი ბავშები 6—13 წლამდის უფრო მაღალი ტანის არიან, ვინემ ბელგიელები და რუსები, ხოლო უფრო დაბალი, ვინემ ფრანგები და გერმანელები.

მეოთხედ, როგორ მოქმედობენ კერძოთ ქართველი ბავშების ზრდაზე სხვადასხვა ენდოგენური და ექტოგენური ხასიათის ფაქტორები, როგორიც არიან, მაგალითად ერთის მხრივ მექვიდრეობა, კონსტიტუცია, ეროვნება, შიგნითა სეკრეციის ჯირკვლები (ენდოგენური ფაქტორები) და, მეორეს მხრივ, გარემოცული მიღამო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (ექტოგენური ფაქტორი). რომელი ფაქტორი ხელს უწყობს სქესის და წლოვანების მიხედვით ბავშების ზრდას, რომელი ხელს უშლის და სხვა. ცხადია, ყველა ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენ შეგვიძლია მაშინ, როცა ხელთ გვაქს ანტროპომეტრიული მეთოდებით შეგროვილი მასალა ბავშების ფიზიკური მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ, აქ ჩვენ შევეხეთ მხოლოდ ბავშების სიმაღლეს და დროს უქონლობის გამო ვერ მოგვყავს მაგალითები ფიზიკური მდგომარეობის სხვა ნიშნებიდან, როგორიც არის, ვთქათ, წონა, გულმკერდის გარშემოწერილობა, თავის ფორმა, სპირალეტრია, და სხეულის დანარჩენი ორგანოების მრავალი ფიზიკური თვისებები. თვითეულ ი ასეთი ნიშნის ანტროპომეტრიულად შესწავლა გვაძლევს მდიდარ მასალას სხეულის განვითარების და მისი პროფილაქტიკის შესახებ დასკვნებისათვის. ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ ლენინ-

გრადის სამედიცინო აკადემიის ოპერატიული და ტოკოგრაფიული ანატომიის კათედრიდან ამ უკანასკნელი 15—20 წლის განმავლობაში პროფესორი შევჭ-ნენჯოს ხელმძღვანელობით გამოვიდა 160 მეტი შრომა, რომელიც ადამიანის სხე-ულის ორგანოების ფორმის და მაკროსკოპიული აგებულობის სხვადასხვაობას ეკუთვნის. აღნიშნული შრომების მასალა უმთავრესად ანტროპომეტრიული ხა-სიათის ცნობებზეა დამყარებული. ამას შეიძლება ისიც დაუმატოთ, რომ 1925 წელს ქ. ოდესაში შესდგა ტერაპევტების ყრილობა, სადაც საკითხი ადამიანის კონსტიტუციის შესახებ იდგა საპროგრამო საკითხად მრავალ ნაწარმოებთა შორის. ამ საგანზე ხარჯოვის პროფესორმა მელნიკოვმა ყრილობას წარმოუდგი-ნა მოხსენება კონსტიტუციის ტიპების შესახებ, სადაც იგი აღნიშნავს 25 აგტო-რის სხვადასხვა შეხედულობას ადამიანის კონსტიტუციაზე და ტიპების კლასიფი-კაციაზე<sup>1)</sup> დაწყებული ჰიპოკრატის მოძღვრებით და დამთავრებული თანამედრო-ვე ავტორებით, როგორიც არიან Sigvund, Kretshmer-ი, Beane და სხვები. აქაც მელნიკოვების დასკნები აღამიანის კონსტიტუციის შესახებ უმთავრესად ანტრო-პომეტრიულ მასალაზეა აშენებული. მაშასადამე გაშუქება ისეთი როტული საკი-თხისა, როგორიც არის ადამიანის კონსტიტუცია და მისი ტიპიური სხვადასხვა-ობა, შეიძლება უპირველესად ანტროპომეტრიის დახმარებით. მაგრამ სხეულის აგებულობასთან შეკავშირებულია ორგანოების ფიზიოლოგიური ფუნქციებიც და ამიტომ ამ უკანასკნელ სფეროშიც ვხედავთ ანტროპომეტრიის მნიშვნელობას<sup>2)</sup>. ბენეკე (1898) მუშაობდა გვამებზე და ისიც მივიღა იმ დასკნაზე, რომ არსე-ბობს განსაზღვრული დამოკიდებულება ორგანოებსა და მათ ღრუებს შორის. ამიტომ ბენეკე უკავშირებს ფიზიოლოგიურ ფუნქციებს ორგანოების ფორმას. ორგანოების ფორმა კი ანტროპომეტრიის საშუალებით შეიძლება გამოვიკვლი-ოთ. დელაკამპი მუშაობდა ასეთივე გზით და ადამიანის კონსტიტუციის შესახებ მან გამოიყენა შემდეგი ფორმულა:  $K = \frac{d^2}{u \cdot th}$ , სადაც  $K$  აღნიშნავს კონსტიტუ-ციას,  $d^2$  სიმაღლის კვადრატს, რომელიც უნდა გაიყოს გულის განივ მანძილზე გამრავლებულ გულმექერდის გარშემოწერილობაზე. როგორც ვხედავთ, აქაც პი-რველი ადგილი უჭირავს ანტროპომეტრიულად შეკრებილ მასალებს. ამიტომ გა-საგებია, რომ უკანასკნელ დროს ანტროპომეტრია ფეხს იყიდებს აგრეთვე პი-რველ მედიცინაში და ადამიანის პსიქიური კონსტიტუციის გამორჩევის საკი-ოხებზი<sup>3)</sup>.

<sup>1)</sup> ჯერ კიდევ საფრანგეთის მეცნიერმა Halle-მ 1798 წელს გამოუშვა ნაწარმოები ადა-მიანის მორფოლოგიის შესახებ, სადაც იგი ებება მემკვიდრეობის და მიღამოს გაელენის ტიპე-ბის განვითარებაზე. ამანარაც სხეულის ფიზიოლოგია სან მორფოლოგიას დაუკავშირა. მე-19 საუკუნის ბოლოს თითქმის ერთდამატებ დროს ფოთარდებოდა ორი სკოლა, რომელიც ადამია-ნის მორფოლოგიას სწავლობდა. იტალიური სკოლა, რომლის წარმომადგენელი იყო QioYannii და საფრანგეთის სკოლა Jigvund ხელმძღვანელობით. თუმცა ეს ორი სკოლა ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად მუშაობდენ, მაგრამ ორთავე ერთდამატებ დასკვნაზე მივიღენ: ადამიანებს შო-რის არსებობენ მორფოლოგიური ტაქტი, რომელიც ეესაბამე იან განსაზღვრულ ფუნქციო-ნალურ ტაქტს და იწევენ მათში ამა რუ იმ ავადმყოფობისადმი მაღრევილებას.

<sup>2)</sup> ცნობილია გეოგრაფიული მეზოეკონომიკური კრება ადამიანის ხასათის და, ავშირე-ბის შესახებ ტიპიურ აგებულებათან.

<sup>3)</sup> გარიაციული სტატისტიკის მეთოდით ანტროპომეტრიული მასალის დამუშავებას სა-ფუნქციელი ჩაუყარა ინგლისის მეცნიერმა პირს თომ რომა, რომელმაც ამ მეთოდს მისცა ბიომეტ-რიული ხასათი, უკანასკნელი შესდგება ტიპების და გარიაციების ღრმად შესწავლაში სასტი-კად დამუშავებული სტატისტიკური მასალის გამოყენებით.

დაბოლოს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ანტროპომეტრიული მასალის ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით დამუშავება, რომელიც გვიჩვენებს რომელიმე ფიზიკური ნიშნის 1) ქახაობას 2) მის საშუალო კვადრატიულ განხრას ან ვარიაციის სიფართოვეს და 3) ცვალებადობის კოეფიციენტს. ასეთი ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით დამუშავებული მასალა ჩვენ გვაძლევს სრულ წარმოდგენას როგორც კერძოდ სხეულის სხვადასხვა ნიშნებზე, ისე მთლიანად თვით სხეულის ფაზიურ განვითარებაზე.

ყველა ზემოხსენებულიდან ჩვენ შემდეგი დასკვნების გამოყენანა შეგვიძლია.

ანტროპომეტრია თამაშობს უდიდეს როლს ადამიანის ფიზიკურად განვითარების გამორჩევის საკითხში. იგი გვაძლევს ჩვენ მასალას გავიგოთ სხეულის ფიზიკური მდგომარეობა აწყობით და სისწორით გავეცნათ იმ ენდოგენურ და ექტოგენურ ხასიათის პირობებს, რომლებიც დადგებითად ან უარყოფითად მოქმედებენ ორგანიზმის აგებულებაზე. ანტროპომეტრიული მასალით ხელმძღვანელობენ, როცა იყვლევენ ადამიანის კონსტიტუციის საკითხებს. პრაქტიკული მედიცინის დარგები აგრეთვე საჭიროებენ ანტროპომეტრიულ მასალაში; შემდეგ, ანტროპომეტრიულმა გამოკვლევებამ დიდი ადგილი დაიკირა პედოლოგიურ სფეროში, ვინაიდან ბავშვების ფიზიკურად განვითარების პირობები და უკანასკნელებთან დაკავშირებული სრული ფიზიოლოგიური და პსიქიური მხარეები პირველ ყოვლისა შეიძლება გავაშუქროთ ანტროპომეტრიულ მეთოდების საშუალებით. ამას უნდა მიუმატოთ ანტროპომეტრიის კანტროლი ფიზიკულტურის და პროფესიონალურ შერჩევის საქმეზი და აგრეთვე ახალგაზრდობის ფიზიკური მდგომარეობის გამოკვლევა ჯარში მიღების დროს. ამიტომ ჩვენ უფლება გვაძეს დავასკვნათ, რომ ანტროპომეტრიული მეთოდების საშუალებით შეიძლება განხორციელდეს ევგენიური საზოგადოების მიზნები, რომ აწყოს შესწავლით მოხერხდეს კაცობრიობის მომავალი თაობის გაუმჯობესება.

Прив. доц. В. Цецхладзе.

**Роль антропометрических методов исследования при выяснении вопроса о физическом развитии организма.**

Антрапометрия играет огромную роль при решении вопросов, касающихся физического развития организма. Она дает нам ценный материал, с помощью которого мы можем выяснить физическое состояние организма в настоящем и отсюда знакомит с эндо и экзагенным факторами, влияющими на динамику и статику человеческого организма. С помощью антропометрических методов исследования определяется морфологическая конституция организма. В последнее время практическая медицина начинает широко пользоваться антропометрическими свидетельствами

PR. DOZ. TZETZCHLADZE.

Die Bedeutung der anthropometrischen untersuchungsmethoden für die Frage der physischen Entwicklung des Organismus.

Die Anthropometrie ist von liner grossen Bedeutung für die Entscheidung der Fragen, welche die physische Entwicklung des Organismus betreffen. Sie bietet uns wertvolles Material, mit dessen Hilfe wir den gegenwärtigen Zustand des Organismus verstehen und daraus die endound exogenen Factoren kennen lernen, welche Statik und Dynamik des menschlichen Organismus beeinflussen. Ander Hand antropometrischer Untersuchungsmethoden wird die morphologische Konstitution des Organismus festgestellt. Neuerdings beginnt die praktische Heilkunde in

ниями. Но особенно видное место антропометрия заняла в области педологии, т. к. физическое развитие подрастающего поколения и стало быть его психические особенности прежде всего можно выяснить данными антропометрии. Автор приводит выводы из разработанного им материала по системе вариационной статистики относительно роста грузин детей в связи с эндогенными и язогенными факторами, влияющими на эти признаки. Далее, антропометрия контролирует методы и применение физкультуры, рациональную постановку дела при фотбора, а также проверку физического состояния лиц, призываемых на военную службу. Поэтому, заключает автор, естественно, что цели, которые преследует евгеническое общество об улучшении физического и в связи с ним психического статуса будущего поколения, могут быть достигнуты прежде всего путем обширного использования антропометрических методов над выяснением причин особенностей физического состояния настоящего поколения.

immer steigendem untang anthropometrischec Material zu verwerten. Aber eine besondere hohe Bedeutung gewann die Anthropometrie im Gebiete der Pa'dologie, da die physische Entwickelung der heranwachsenden Generationen, und also auch seine physichen Eigentümlichkeiten am besten durch die Anthropometrie festgestellt werden können.

Der tutor berichtet die Resultate einiger untersuchungen, nach dem System der Wariationstatistik, betretend Wuchs georgischer Kinder und Verbindung endogener und exogener Factoren, welche diese Merkmale beeinflussen. Weiter Kontrolliert die Anthropometrie Methoden und Anwendung der Physkultur, die rationelle Durchführung der professionellen (Absonderung) Auswahl, auch die Revision des physischen Zustandes zum Militär dienstverpflichteter.

Deshalb, schliesst der Autor, ist es natürlich, dassdie Ziele, vogleiche die Eugenciscle gesellschaft des Vervollkommen des physischen und psychischen Status Jukünftiger generationen, verfolgt, am besten auf dem Wege weitgehender Anwendung antropometristicher Methoden zur Erklärung der Ursachen des physischen Zustandes der gewörtia Generation, erreicht werden gen.

## 8. კაკოიშვილი

ასისტენტი

### ჭიკის ვენის ანოგალის იუპიათი შემთხვევა

ნორმალური ანატომიის კათედრიდან. გამგე პროფ. ა. ნათიშვილი.

ჩვენი შემთხვევა შეეხება ჭიკის ვინის ისეთ ანომალიას, რომელიც იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ანატომიურ ლიტერატურაში. ეს შემთხვევა აღმოჩნდა ანატომიურ ინსტიტუტში.

გვმი უდროოდ დაბადებულ ბავშვისა, მამრობითი სქესის, სიგრძით 34 სანტ., წონით 1,635 გრ.; განკვეთის დროს აღმოჩნდა შემდეგი: ყველა ორგანოები, გარდა ლვიძლისა, ნორმას ესაბამებიან. თვით ლვიძლი შედარებით პატარაა. მისი წონა 70 გრ. უდრის. მის ქვემო ზედაპირზე მარცხენა გასწვრივი ლარი არ ასეყბობს. ლვიძლის ზემო ზედაპირზე საგიტალურად მოთავსებულია მკაფიოდ გამოხატული ლარი, რომელშიაც ძევს სისხლის ძარღვი. უკანასკერლი მიიმართება ლვიძლის უკანა კიდისაკენ, გამოყოფს ამ მიდამოში ორ წერტილ ტოტს, რომელიც ლვიძლის ქსოვილში იმაღებიან, თითონ კი ქვემო ლრუ ვენაში იხსნება. ასეთივე თავისებურება ეტყობა აგრეთვე ლვიძლის არტერიების მოწყობილობას.

Ar. hepatica ლვიძლის კარის ქვეშ არა ჩვეულებრივად მრავალტოტებად იყოფა, რომელიც უკვე კარშივე იყარგებიან ლვიძლის მარჯვენა წილში. ლვიძლის არტერიის პირველი ტოტი არის Ar. gastrica dextra, რომელიც ლვიძლის კარის ქვეშ რკალივით იდრიკება და კუჭის მცირე სიმრუდეზე წვება. თავის რიგად ეს არტერია იძლევა სამ ტოტს: პირველი — Ar. gastro-duodenalis და შემდეგი ორი ტოტი ზემოაღწერილი რკალიდან პირდაპირ ზევით ლვიძლის კარისაკენ მიდის და ლვიძლის მარცხენა წილში იკარგება. გარდა ზემოთ დასახელებულ არტერიებისა, რომელიც თავის დანაწილებით ნორმას არ ესაბამება, ლვიძლს ძევს კიდევ დამატებითი მსხვილ-კალიბრიანი არტერია. იგი იწყება არა ფაშვის, არამედ ჯორჯლის ზემო არტერიიდან, მიიმართება ლვიძლის კარისაკენ და მთლიანად მარჯვენა წილში შედის.

ამ შემთხვევის თავისებურებანი შეიძლება მოკლეთ შემდეგნაირად გამოვხატოთ:

1. ლვიძლის ზემო ზედაპირი მკაფიოდ გაყოფილია ორ ნაწილად არაჩვეულებრივი ლრმა და ფართვე ლარით, რომელშიც ძევს Vena umbilicalis.

2. ლვიძლს ქვემო ზედაპირზე არა აქვს რც მარცხენა ნაჭდევი, არც მარცხენა გასწვრივი ლარი და ამრიგად ლვიძლის ქვემო ზედაპირის დანაწილება ჩვეულებრივ ნორმას არ ემორჩილება.

3. Vena umbilicalis ჭიბიდან ღვიძლის ზემო ზედაპირზე გადადის და Ligamentum sacciforme-ს უკანა კიდე ანორმალურ ჭიბის ვენის ღარის კიდეებს მიჰყვება ღვიძლის ბლაგვ კიდემდე. Ductus venosus Arantii არ არსებობს.

4. ღვიძლის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები თითქმის ერთიდაგივე ოდენობისა არის და წონით მეტად მცირე— 70 გრ. ღვიძლის მარჯვენა ღარი მეტად ღრმა და ვიწროა და ნაღვლის ბუშტი სრულიად ჩამალულია.

5. წმინდა არტერიულ სისხლს ღვიძლი იღებს მხოლოდ ორი მოკლე და წვრილი ტოტით, რომელიც ჭიბის ვენას სცილდება ქვემო ღრუ ვენასთან შეერთების წინ. ამ ტოტების ასეთი გამოსვლაც ხორმის დარღვევა არის.

ეჭვ გარეშე, რომ ჩვენი შემთხვევა ფრიად საინტერესო მორფოლოგიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოთ სისხლ-ძარღვთა გარიანტების და ანომალიების შესახებ მორფოლოგიურ მეცნიერებაში ორი შეხედულება არსებობს: კლასიკური ანატომიის ავტორების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ვენებს აქვთ მრავალი მსხვილი შემაკავშირებელი ანასტომოზები, რომელთა უკიდურესი სიუხვე ზოგ იდგილს ქმნის მშვენიერად განვითარებულ ვენურ წნულებს. ამისდამიხედვით ვენებ შორის ვარიანტების განვითარება უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე არტერიებ შორის. მაგრამ ახალი დროის გამოჩერილი ანატომი Meccel-ი ამტკიცებს, რომ არტერიებში ვარიანტობა გაცილებით უფრო ხშირი მოვლენაა ვიდრე ვენებში. როგორც პირველს, ისე მეორე შეხედულებას თავისი საბუთები აქვს: თუ ვენების ვარიანტებს ავილებთ, როგორც ასეთს, და მიუღებით მათ მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ უმრავლესობის შეხედულება მართალია—ვენები უფრო მეტ ვარიანტებს იძლევიან არტერიებზე, მაგრამ საკმარისია მსხვილ კალიბრის არტერიულ ძარღვების ვარიანტობას გადახედით, რომ დავეთანხმოთ აგრეთვე Meccel-ის აზრს. მაგალითად ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აორტის რკალიდან ამომავალ მსხვილ ტოტებს გაცილებით უფრო ხშირი ვარიანტობა ახალიათებს, ვიდრე უსახელო ვენებს. ხშირად ღვიძლის არტერია წარმოდგენილია ამა თუ იმ ვარიანტის სახით, რასაც ღვიძლის ვენები უფრო ნაკლებად განიცდიან და სხვა. არა ნაკლებ ცვლილებებს განიცდის ჭიბის ვენები. ემბრიონისთვის პირველ ხანებში მომყოლის ხორიონის ხაოვებიდან არტერიული სისხლი მოაქვს Vena umbilicalis impar-ს. ეს უკანასკნელი იყოფა ორ ტოტად— V. umbilic. Dextra et sinistra, რომლებიც იხსნებიან პირდაპირ ვენურ სინუსში. აქვე ამ უკანასკნელს ერთვის წყვილი ვენები V. V. omphalomesentericae, რომლებსაც მოაქვს სისხლი ყვითრის პარკის და ნაწლოვების კედლებიდან. ემბრიონალურ ცხოვრების პირველ თვეშივე ღვიძლის და ნაწლოვების განვითარება იწვევს (კვლილებებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ V. V. omphalomesent. და V. V. umbilicales წყვეტები პირდაპირ კაშირს გულთან, რაღაც ამ ძარღვებში ხდება ჩარდა ღვიძლის პარენქიმის ხარისხშისა. ამრიგად განვითარებულ ღვიძლის ქსოვილში ახალი ვენები ვითარდება, რომელიც ამყარებენ კაშირს ვენურ სინუსთან, უკეთესად, რომ ვსთქვად, შეიქმნება პირტალური სისხლის მიმოქცევის წრე, რომელიც ყვითრის პარკიდან და ხორიონის ხაოვებიდან მომავალ სისხლს გაატარებს გულში ჭიბის და ყვითრ-ნაწლავე-

ბის ვენების საშუალებით. ამ უკანასკნელთა პროქსიმალური ბოლოები, ღვიძლთან შეერთებამდის, ერთმანეთს უკავშირდებიან სამი განივი ანასტომოზით, რომელიც მომავალ თორმეტგოჯა ნაწლავის ირგვლივ წარმოქმნიან 8-ის მაგვარ ორ წრიულ ფიგურას. შემდეგში ეს ძარღვები ნაწილობრივ განიცდიან ობლიტერაციას შემდეგი სახით: ზედა წრის შარცხენა და ქვედა წრის მარჯვენა მუხლი სრულებით ისპობა. თორმეტგოჯა ნაწლავის ირგვლივ შეიქმნება ერთი მარყუში, რომელიც წარმოადგენს ორივე ყვითელ-ნაწლავების გაერთიანებულ ოროს. ეს უკანასკნელი არის უკვე Vena porta. იგი მიემართება ღვიძლის კარისკენ, სადაც იყოფა მარჯვენა და მარცხენა ტოტებათ ღვიძლის სათანადო წილებისათვის. რაც შეეხება ჭიბის ვენებს, მათ შორის მარჯვენა ჭიბის ვენა ემბრიონალურ ცხოვრების პირველ ხანაში ჩრდილქვეციას განიცდის, ძარცხენა კი უფრო ვითარდება და კარის ვენის მარცხენა ტოტს უკავშირდება. ზემოთაღნიშვნული პორტალური სისტემა ღვიძლის ქსოვილის თანდათანობითი განვითარების გამო, საკმარისი აღარ არის. საჭიროა ახალი პირდაპირი გზა პლაცენტასა და ქვემო ღრუ ვენას შორის: ამ ნაკლის შეესტისათვის ღვიძლის ქვემო ზედაპირზე ვითარდება ახალი ანასტომოზი Ductus venos Aranti, რომელიც ჭიბის ვენის სისხლს პირდაპირ უშუალოდ უკავშირებს Sinus Venosus-ს. ასეთი წესით შეიქმნება ის დამახასიათებელი სურათი ღვიძლის სისხლის მიმოქცევისა, რომელსაც ჩვენ შევხედებით ახალშობილის სხეულში, როდესაც იწყება უკანასკნელი ფაზა სისხლის ძარღვების პრეფორმაციისა.

ლიტერატურაში ორი შემთხვევაა აღწერილი Hochstetter-ის მაერ ჭიბის ვენის ანორმალობის, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ პორტალურ სისხლის შიმოქცევის ემბრიონალურ განვითარების უკანასკნელ ფაზაში უპირატესობას იჩენს ჭიბის მარჯვენა ვენა და არა მარცხენა, როგორც ეს ნორმალურად ხდება.


ზემოდ აღწერილი სისხლის მიმოქცევის განვითარების ფაზები გვაძლევს საშუალებას განვმარტოთ ის საუცხოვო ანატომიური ფაქტით, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენ მიერ წარმოდგენილ შემთხვევაში.

ღვიძლის სისხლის მიმოქცევის მე-4-ე ფაზაში განივი ანასტომოზი ჭიბის მარცხენა ვენასა და ღვიძლის კარის ვენის მარცხენა ტოტს შორის არ განვითარდა. ამის მაგივრათ პირდაპირი გზა ჭიბის მარცხენა ვენიდან ქვემო ღრუ ვენაში შეიქმნა ღვიძლის ზემოდან იმ დროს, როდესაც ღვიძლის ქსოვილი იყო ჯერ კიდევ მცირე თავის რაოდენობით და უკიდურესათ ნაზი თავის სიმაგრისა და სიმყრივის მხრივ, ამით აისწება ღვიძლის ზემო ზედაპირზე ის ღრმა ღარი, რომელშიაც ჩაწლობილი და თითქმის ჩაბალული იყო ჭიბის ვენის ანორმალური ნაწილი (იხ. სურათი № 9).

ჭიბის ვენიდან ღვიძლში მიმავალი ორი პატარა ტოტი (იხ. სურ. № 12), რომლებიც ღვიძლის ქსოვილში შედიან უკანა კიდესთან, უნდა გაისინჯოს როგორც ჩეკველებრივი ტოტები ამ ვენისა, ჩანასახის ცხოვრების დროისთვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ტოტები ნორმალურ პირობებში არსებობს ხოლმე ღვიძლის წინა, და არა უკანა კიდესთან.

ასეთი განმარტება საშუალებას გვაძლევს ავხსნათ მეორე ფრიად სინტერესო მომენტი წარმოდგენილ ანორმალიისა, სახელდობრ, ღვიძლის უკიდურესი

სიმცირე, სიმჩატე და მცირე წონა. როგორც სჩანს ზემო ნათქვამიდან, ღვიძლს ჩანასახოვან განვითარების მესამე ფაზაში მოაქლდა არტერიული სისხლი, რადგანაც არ განვითარდა ანასტომოზი ჭიპის მარცხენა ვენასა და კარის ვენის მარცხენა ტოტს შორის და მისი კვება-განვითარებისათვის დარჩა მხოლოდ ყვითრ-ნაწლავის ძარღვი, რომელიც, როგორც ცნობილია, საკმარისია განვითარების მხოლოდ პირველ ხანებში.



1. Art. coe liaca.
2. » gastr. sin.
3. » lienalis.
4. » hepatisa.
5. » gastero-duodenal.
6. » gasterisa dextr.
7. » mesent. sup.
8. » hepatica accessoria.
9. » Vena umbilicalis—მოთავსებული იყო ღვიძლის ზემო ზედაპირზე სათანადო ღარში.—სურათზე იგი აწეულია და ჩანს ღვიძლსა და შუა საძგიდ შორის.
10. Vena cava int.
11. შუა საძგიდ.
12. ორი ტოტი v. umbil.—ღვიძლისთვის.

ადგილი ასახსნელია ის გარემოება, რომ ზემოდ დასახელებულმა ანომალიამ, გამოიწვია როგორც Ar. hepatica-ს არა ჩვეულებრივად მრავლად დატო-

ტიანუბა, აგრეთვე დაზატებითი მსხვილ კალიბრიან არტერიის წარმოშობა, რომელიც, როგორც ზემოდ არის აღნიშნული, იწყება არა ფაშვის არამედ ჯორჯლის ზემთ არტერიიდან, თუმცა ღვიძლის ქვევილის განვითარება მაინც შეჩერდა.

სრულიად ცხადია, რომ სისხლის ძარღვების ასეთმა განვითარებამ გამოიწვია ღვიძლის განვითარების ების შეჩერება და ნაყოფს მთავრო სიცოცხლის უნარი უგვე დაბადებამდევე.

## B. ჩაიშვილი

### Casus venae umbilicalis supra heretical

Автором описан редкий случай аномалии пупочной вены, который был обнаружен при вскрытии трупа недоношенного младенца мужского пола—34 сан. длины и весом 1,635 граммов.

На верхней поверхности печени в хорошо выраженной, глубокой, сагиттально-идущей борозде лежала аномальная часть *vena umbilicalis*, которая шла к заднему краю печени и открывалась в нижнюю полую вену, отдавая перед этим две маленькие веточки в паренхиму ея.

На нижней поверхности печени совершенно отсутствовали левая продольная борозда и *Ductus venosus Arantii*.

Аномалия касалась не только *v. umbilicalis*, но и артериальных сосудов печени, а именно: кроме обычной *Ar. hepatica*, разветвление, которой совершенно не соответствовало норме, существовала хорошо развитая, крупнокалиберная артерия, берущая начало от *Ar. mesenterica sup.*, а не от *coeliaca* и направляющаяся к воротам печени, погружаясь в правую долю ея.

Сама печень мала—70 грам весом.

Происхождение такой редкой аномалии *v. umbilicalis* автор объясняет эмбриональными данными:

В последней стадии развития печеночной системы кровообращения по-перечный анастомоз между *v. umbilicalis* и левой портальной ветвью не развился; в место этого между *v. umbilicalis* и *v. cava inferior* установилось прямое сообщение над верхней поверхностью печени в то время, когда печеночной ткани было еще мало и красне нежна по своей консистенции.

## B. KACOICHVILI.

### Casus venae umbilicalis supra heretical

Vom Autor ist ein seltener Fall anomaliie der Nabelvene beschrieben, welcher bei Secierung der Leiche eines nicht ausgetragenen Kindes männlichen geschlechts. 34 cm. laug u. 1635 gr. schwer nachgewiesen war.

An der oberen Leberoberfläche lag in der gut ausgedrückten tiefen, sagittal laufenden Furche der anomale Teil der Vena umbilicalis, welcher zum hinteren Rand der Leber hinzog und sich in der unteren hohlen Vene zeigte, davor zwei kleine Aestlein in ihr Parenchym abgebend. An der unteren Leberobeetfläche fehlten ganz, die linke durchgehende Furche und der Ductus venosus Arantii.

Die Anomalie betraf nicht nur die *V. umbilicalis*, sondern auch die arteriellen Gefässe der Leber und zwar, außer der üblichen *Ar. hepatica*, deren Verästelung der Norm durchaus nicht entsprach, gab eine gut entwickelte Arterie vom grossen Kaliber, welche der *Ar. mesenterica Sup.* und nicht der *coeliaca* entsprang und zum Lebertor zog, in ihren rechten Lappen untertauchend. Die Leber selbst warklein, von 70 gr. gewicht.

Die Herkunft solcher seltenen Anomalie der *V. umbilicalis* erklärt der Autor durch embryonale Bedingungen. Im letzten Entwicklungsstadium des Lebersystems der Lebersystem der Blutzirkulation entwickelte sich zwischen der *V. umbilicalis* u. dem linken Portalzweige die querlaufende Anastomose nicht; anstatt derselben stellte sich zwischen der *V. umbilicalis* u. *V. cava inter.* direkte Verbindung über der oberen Leberoberfläche der Leber ein, als es von Lebergewebe noch wenig gab und dasselbe seiner Konstitution nach höchst zart war.

Этим объясняется присутствие на верхней поверхности печени глубокой и широкой борозды, в которой почти была скрыта аномальная часть v. umbilicalis.

По мнению автора, крайнее недоразвитие печени, весившая только 70 гр. объясняется тем, что она была лишена достаточного количества артериальной крови вследствие отсутствия апостомоза между vena umbilicalis cin. и левой ветвью v. porte. Автор предполагает также, что недостаток крови и послужил толчком к необычному разветвлению Ar. hepatica и к развитию добавочной крупно-калиберной артерии печени, хотя последняя не восполнила образовавшийся дефект. Автор думает, что такое развитие кровеносных сосудов вызвало приостановку развития печени в начале эмбриональной жизни и сделало плод не жизнеспособным.

Dadurch wird das Vorhandensein der tiefe und breite Furche an der oberen Leberoberfläche erklärt, in welcher der anomale Teil der V. umbilicalis fest versteckt war. Nach Autors Meinung erklärt sich die äusserst entwickelte Leber, die nur 70 gr. wog. dadurch, dass sie geügen des Onantum des arterieblutes infolge des festlanden Ductus v. Arantii entbehrt. Er vermutet auch, dass eben der Blutmangel die ungewöhnliche Entwicklung der Ar. hepatica hervorrief und die der ergäuzenden weilen Leberarterie beforderte, wenn diese auch die entstandenen Defekte nicht vervollständigte. Der Autor meint, dass derartige Entwicklung der Blutgefäße im aufenge des embryonalen Lebeus die Leberentwicklung hemmte und die Trucht lebeusunfähig machte.

## მ. ნებსაძე

ჯან. საჩ. კომის. ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის დაბორანტი.

## Fiessinger-ს მიკრო-ლევკოციტო-კულტურა და მისი მნიშვნელობა მუცელის ტივის დიაგნოსტიკისათვის \*)

(ტფილ. უნივ. პროფესიული თერაპიული კლინიკიდან. გამგე—პროფ. შ. მიქელაძე).

ყველასათვის აშკარაა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუცელის ტიფის ნა-  
ადრევი დიაგნოსტიკისთვის ჰემოკულტურის მიღებას. მართალია, ჩვენ ფართოდ  
გსარგებლობთ ამ სნეულების გამოსარკვევად სხვა კლინიკურ სიმპტომებთან ერ-  
თად Widal-ის რეაქციით, მაგრამ, ვინაიდან ეს უკახასგნელი ხდება დადებითი  
მხოლოდ სნეულების მეორე კვირაში (8—10 დღე), მას ეკარგება დიაგნოსტი-  
კური მნიშვნელობა სნეულების დასაწყის პერიოდში. აქ კი ჩვენ მეტად დიდ  
დახმარებას გვიწევთ ჰემოკულტურის მიღება. მე არ შეუდები იმ საშუალებე-  
ბის ჩამოთვლას, რომლებიც არსებობენ მის მისალებად. დღევანდელ ჩემს თემას  
შეადგენს გაგაცნოთ ერთ-ერთი მეთოდი მისი მიღებისა, ავტორების აზრი მის  
შესახებ და ჩვენი შეხედულება მისი პრაქტიკული ღირებულების შესახებ. ეს  
არის ე. წ. მიკრო-ლევკოციტო-კულტურა, მოწოდებული N. Fiessinger-სა და  
R. Cattan-ის მიერ (Société médicale des Hôpitaux 1928). ამ შრომის არსი  
დაყარებულია მათ წინა შრომაზე, რომელიც შეეხებოდა შრატის და პლაზმის  
ბაქტერიულ ძალას Eberth-ის ჩხირის მიმართ (La presse médicale |1929|  
ჯერ კიდევ Nuttal-ი (1888 წ.) და Buchner-ი 1889 წ.) ორნიშნავდენ შრატის  
ცოცხალ თვისებას და ძალას ყოველგვარ მიკრობების მიმართ. Besredka აღ-  
ნიშნავს, რომ Emmerich-ი და Tsuboi ამბობდენ შრატის ქიმიურ თვისებაზე,  
რომ გათბობისას 55°, შრატი იშლება და კარგავს თავის ძალას, და მხოლოდ  
ძლიერ მომქმედი შრატის მიმატებით ხდება ისევ აქტიური.

რაც შეეხება კერძოთ მუცელის ტიფის გამომწვევ Eberth-ის ჩხირს, გამოკ-  
ვლევებს აწარმოებდენ Korte და Sternberg-ი, Tovser-ი და Jaffe და აგრეთვე  
Widal-ი. ეს უანასკნელი ცდებს ახდენდა ვაქცინაცია ქმნილი ადამიანების შრა-  
ტებზე და ამბობდა, რომ მათი შრატი განხავებაში  $1|_{20^{\circ}0^{\prime}}|_{10000}$  Eberth-ის  
ჩხირთან იჩენს ბაქტერიულ ძალას. ეს ბაქტერიულ ძალა უფრო გამო-  
ხატულია მუცელის ტიფის ჩხირის მიმართ, შემდეგ პარატიფ A-სა და თითქმის  
უმნიშვნელოდ პარატიფ B-ს მიმართ.

\*) მოხსენება პროპედევტიკული თერაპიული კლინიკის ექიმთა კონფერენციაზე 2) პა-  
რილს 1930 წ.

ამ მოვლენას Widal-ი არ ხსნის იმუნიზაციის შედეგით. პირიქით, ტიფიან ავადმყოფთა შრატში, გამორჩენის პერიოდში, როდესაც მასში იმუნსხეულების რაოდენობა მაქსიმალურია.—ბაქტერიციდული ოვისებები ნაკლებად არის გამოხატული; ეს ორი მოვლენა არ არის თანამგზავრები. Widal-ის ცდებმა დიდი როლი ითამაშეს ამ საკითხის გაშუქებაში, განსაკუთრებით ნორმალური შრატის ბაქტერიციდული ოვისებების შესახებ.

Fiessinger-სა და Cattan-ის აზრით, არა თუ მუცლის ტიფით ავადმყოფთ და გამორჩენილთა, არამედ სრულიად ჯანმრთელ ადამიანთა შრატს აქვს ბაქტერიციდული ძალა Eberth-ის ჩხირის მიმართ. შრატი იჩენს ბაქტერიციდულ ძალას თერმოსტატში 4 საათის ყოფნისას, როდესაც ბაქტერიების კონცენტრაცია უდრის 100,000 ერთ კუბ. სანტ. შრატი იჩენს თავის ბაქტერიციდულ ძალას Eberth-ის ჩხირების მეტ კონცენტრაციაზე, ვიღრე სხვა სეპტიკურ მიკრობებზე.

როგორც წინა ავტორები ამბობდენ, ისე Fiessinger და Cattan-იც აღნიშნავენ, რომ შრატი ან პლაზმა გათბობისას 55°-დე კარგავს ბაქტერიციდულ ძალას, რომელიც აღსდგება, თუ მიმატებული იქმნა კომპლემენტი. აღსანიშნავია აქ აზრი Fiessinger-ს ისე, როგორც P. Hébert-ის და M. Rloch-ის, რომ განუზავებელ, განუყოფელ, მთლიან სისხლში ბაქტერიციდულ ძალას შრატი ვერ იჩენს. ამის დასამტკიცებლად ისინი იღებდენ 5 კუბიკურ სანტიმეტრ მეტაუნ-მეტავე-ნატრიუმით მიმატებულ სისხლს, რომლის ერთი კუბიკური სანტიმეტრი შეიცავდა 6 Eberth-ის ჩხირს, დგამდენ მას თერმოსტატში 32°—72 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ზრდა არ შეფერხებულა. აქედან ავტორები დაასკვნიან, რომ მთლიან სისხლში ასესებოდენ რაღაც ნივთიერებები, რომლებიც სპონგებ და აბათილებენ შრატის ბაქტერიციდულ ოვისებებს. იგივე ავტორები დაინტერესდენ, თუ როგორ გავლენას ახდენს Eberth-ის ჩხირის ზრდაზე ლევკოციტები და ერითროციტები. ამ მიზნით ისინი იღებდენ ლევკოციტების და ერითროციტების ფენებს, უმატებდენ მათ ცალ-ცალკე შრატს ან პლაზმას 1/10 განზავებულს, და ბაქტერიების ემულსიას, რომლის კონცენტრაცია უდრიდა 1000 ერთ კუბ. სანტ.

აღმოჩნდა, რომ შრატთან შერეული მიკრობები სრულიად არ იძლეოდენ ზრდას, ერითროციტებთან შერეული,—იძლეოდა ზრდას მცირედს და ისიც 145 საათის შემდეგ, ლევკოციტებთან შერეული კი, რომლის ზედაპირზე ილექტაფელაზე მეტი რიცხვი მიკრობების, —იძლეოდა ზრდას 24 და 60 საათის შემდეგ. აი ამ შილებულ შედეგებზე არის დამყარებული მიკრო-ლევკოციტოკულტურა.

ტეხნიკა, რომელსაც ხმარობდენ ავტორები, მდგომარეობდა შემდეგში: 30 პროც. ლიმონ-მეტავე-ნატრიუმის ხსნარის 2—3 წვეთს ასხამდენ ცენტრიფუგის სტერილურ სინჯარში, და უმატებდენ მას სტერილურად აღებულ 2 კუბ. სანტ. ავადმყოფის სისხლს, ლექავდნენ მას ილექტრონის ცენტრიფუგაზე ზომიერი სიჩქარით (3 წუთი პირველ კონტაქთა), სანამ არ მიიღებდენ გამსჭვირვალე სითხეს. ან პირველად ლექავდნენ 1 წუთით, ამოიღებდენ მიღებულ პლაზმას და შემდეგ ისევ ლექავდენ 2 წუთის განმავლობაში. ასე თუ ისე ისინი

იღებდენ სინჯარში 3 შრეს: ზევით იყო მოთავსებული პლაზმა, სულ ქვეით ერითროციტები და მათ შორის კი მოთავსებული იყო ხავერდოვანი შრე ლევ-კოციტებისა. ამ საშუალო შრიდან იღებდენ პიპეტით ან მარყუშით რამდენიმე წვეთს და გადაქონდათ ბულიონიან სინჯარში და მეორე დღეს იღებდენ სათანადო ზრდას იმისდა მიხედვით, თუ რა კულტურასთან ქონდათ საქმე. მათ ამგარად გაუტარებით მუცლის ტიფის 6 შემთხვევა და 4 სხვა სეპტიკური დაავადებანი. რომ ლევკოციტების შრე იძლევა ყველაზე კარგ ზრდას, ისინი ხსნიდენ ჯერ ერთი მით, რომ ბაქტერიები, როგორც შრატზე უფრო მძიმე და უფრო მჩატე ერითროციტებზე, ილექტებიან ლევკოციტების შრეზე, და მეორე მით, რომ ბაქტერიებს ლევკოციტები იცავენ შრატის ბაქტერიული მოქმედებიდან. გარდა ამისა ლევკოციტები ამუშავებენ თავიანთ უჯრედში ფერმენტებს, რომლებსაც აქვთ პეპტონის დამშლელი თვისებები, და ამით ქმნიან მეტალ ხელსაყრელ პირობებს ბაქტერიებისათვის. აქ იბადება საკითხი ფაგოციტოზის შესახებ. და მართლაც, როდესაც ნორმალური ლევკოციტები იყო შერეული მუცლის ტიფის ჩხირებთან და ბაქტერიული და ლევკოციტები. ტიფი ამაზე და ლევკოციტების ბაქტერიული მოქმედებისგან. ეს ცდები სრულიად ეთანხმება ძველ ცდებს Russel-ს და Ionas-ის, რომლებიც ატარებდენ ცდას შემდეგნაირად: იღებდენ მუცლის ტიფის ჩხირის ემულსიას, უბატებდენ ლევკოციტებს და ზღვის გოჭის ან ბატის ბაქტერიულ შრატს. შედეგად მიიღეს, რომ ლევკოციტები იცავდენ ბაქტერიებს შრატის ბაქტერიული მოქმედებისგან.

ეს დაცვა ლევკოციტების მიერ არ არის მუდმივი, ის კარგავს ძალის, თუმცა არც ისე მალე: რამდენიმე სინჯარში მოთავსებული სეპტიკური სისხლი გაჩერებული 1—3 საათამდე თერმოსტატში—იძლევა შეუფერებელ ზრდას. ყოველ შემთხვევაში, მათი დაცვის უნარი არ იკარგება იმ დროის განმავლობაში, რაც საჭიროა ამ მეთოდისათვის,

Fiessinger და Cattani-ი მეტად კმაყოფილნი არიან მიღებული შედეგებით. მათ ყველან, სადაც კი მიუღიათ ჩევეულებრივი ჰემოკულტურა, მიუღიათ აგრეთვე მიკრო-ლევკოციტო-კულტურაც და ძალიან მოკლე დროს განმავლობაში: მაგალითად, ლრმა დათესვა უელატინაზე იძლეოდა ზრდას 12 საათის შემდეგ, როცა რომ ჩევეულებრივი ჰემოკულტურა კი იძლეოდა ზრდას 24 საათის შემდეგ. მათ გამოყავთ მეცნიერული და პრაქტიკული მოსაზრებანი მისი უპირატესობით. მეცნიერული ის, რომ ლევკოციტები იცავენ ბაქტერიებს პლაზმის ბაქტერიული და თვისებიბილან, პრაკტიკულ უპირატესობას კი წარმოადგენს. ის, რომ საჭიროა 2 გრამიანი შვრიცი, მცირე ოდენობის სინჯარი, მცირე რომდენობა ბულბონისა და დაბინძურების სიიშვიათე.

ჩვენ მეტად დაინტერესებული მიღებული შედეგებით გადავწყვიტეთ გაგვეტარებია ეს მიკრო-ლევკოციტო-კულტურის მეთოდი ჩვენ მასალაზე. ვისარგებლეთ 1929 წ. შემოდგომის ტფილისში არსებულ მუცლის ტიფის ეპიდემიით. მუშაობის დაწყებისას ჩვენ ვფიქრობდით, რომ მასალა იქნებოდა გაცილებით მეტი, ვიდრე აღმოჩნდა. ეს ძოვლენა აიხსნებოდა მით, რომ კლინიკაში შემოდიოდენ ავადმყოფები დაგვიანებით, უმეტეს შემთხვევებში მეორე კვირის ბოლო-

ში და კიდევ უფრო გვიან, როდესაც ჰემოკულტურის მიღება, თითქმის შე-  
უძლებელია.

ჩვენ გვატარეთ 25 შემთხვევა. ჩვენი მუშაობის ტეხნიკა იყო ისეთივე, რო-  
გორსაც ხმარობდეთ ავტორები და რომელიც იყო ზემოდ აღნიშნული. თესვას  
სისხლისას ვაწარმოებდით ავადმყოფობის მე 12 დღემდე. მხოლოდ ორი შემ-  
თხვევა წარმოადგენს გამონაჯლისს, სადაც ჩვენ მიერ სისხლი იყო დათესილი  
მე-15 და მე-17 დღეს, ვინაიდან მათ მეტად მკაფიოდ ქონდათ გამოხატული  
სეპტიმური მოვლენები; და ბართლაც ორივე შემთხვევებში ჩვენ მივიღეთ ჰე-  
მოკულტურა.

პარალელურად მიკრო-ლევკოციტო-ქულტურასთან ვაწარმოებდით ჩვეუ-  
ლებრივ წესს თესვისას ნალველზე და უბრალო ბულიონზე. როგორც ჩვენი ცხრი-  
ლიდან სჩანს,\* პირველ 24 საათის განმავლობაში ყველაზე მეტი დადებითი შე-  
დეგები მოგვცა ნალველმა—48 პროც. ბულიონმა მოგვცა—24 პროც. და მიკ-  
რო-ლევკოციტო-ქულტურა კი—8 პროცენტში.

შემდეგი 48 საათის განმავლობაში ნალველი იძლევა ზრდას 56 პროც.,  
ბულიონი—60 პროც. და მიკრო-ლევკოციტო-ქულტურა—56 პროც. 48 საა-  
თის შემდეგ ერთ შემთხვევაში ბულიონზე დამატებით მივიღეთ ზრდა, ამდაგ-  
გარად ბულიონზე ზრდა მივიღეთ 64 პროც.

ჩვენ მიერ მიღებული შედეგებიდან ნათლად სჩანს, რომ პირველი 24 სა-  
ათის განმავლობაში ნალველი იძლევა გაცილებით მეტი დადებით შემთხვევებს.  
48 საათის განმავლობაში ორივე, ე. ი. ნალველი და მიკრო-ლევკოციტო-ქულ-  
ტურა, იძლევა ერთნაირ რიცხვს დადებითი შემთხვევებისას. ის, რომ ბულიონმა  
მოგვცა მეტი დადგინთი შედეგები არ შეიძლება ავსენათ მით, რომ ის უკეთე-  
სი საკვები ნიადაგი იყოს Eberth-ის ჩხირისათვის, ვიდრე ნალველი. მას აქვს  
სრულიად შემთხვევითი ხასიათი, და გამოწვეული ჩვენ მიერ წარმოებული ტეხ-  
ნიკიდან.

ჩვენ სისხლის თესვას ვაწარმოებდით 10 გრამიანი შპრიცით, რომლის სა-  
შუალებით შეიძლებოდა სისხლის აღება 12—13 გრამმდე. აქედან ნალველში  
ვთესავდით 2—3 გრამს. ბულიონში—5—6 გრამს, მიკრო-ლევკოციტო-ქულტუ-  
რისათვის 2 გრამს, დანარჩენ სისხლს 2 გრამმდე ვინახავდით შრატისათვის.  
ამრიგად ბულიონში ხვდებოდა თითქმის ორჯერ მეტი სისხლი რაოდენობით,  
ვიდრე ნალველში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი ტეხნიკის გამო მვიღეთ შთაბეჭდილება,  
თითქოს ნალველი უფრო ნაკლებ ნიადაგს წარმოადგენს, ვიდრე ბუ-  
ლიონი.

ასეთი შთაბეჭდილების წინააღმდეგ ლაპარაკობს ის, რომ პირველ 24 სა-  
ათის განმავლობაში ნალველი იძლეოდა ჰემოკულტურას ორჯერ მეტ შემთხვე-  
ვებში, ვიდრე ბულიონში, თუმცა მასში იყო სისხლის ორჯერ ნაკლებ რაოდე-  
ნობასთან, ნაკლები რაცხვი მიკრობებისა.

\*) ცრილი არ იძეჭდება ტეხნიკური პირობების გამო.

ეხლა გადავიდეთ ამ მეთოდის მეცნიერულ და პრაკტიკულ უპირატესობაზე. როგორც თითონ ავტორები აღნიშნავენ, შრატი ვერ იჩენს ბაქტერიციდულ ძალას მთლიან სისხლში, რაც დამტკიცებულია ცდებზე. Fiessinger-ს და Cattan-ის ყოველგან, სადაც კი მიუღიათ მიკრო-ლევკოციტო-კულტურა, მიუღიათ აგრეთვე ჩვეულებრივი ჰემოკულტურაც. ჩვენ შემთხვევებშიც არ შეგვიმჩნევია შეფერხება ან მოსპობა ზრდის, წინააღმდეგ, უფრო მეტი დადებითი შედეგები მიკრობის ზრდის სახით მივიღეთ ნაღველზე და ბულიონზე, ვიდრე მიკრო-ლევკოციტო-კულტურის საშუალებით.

რაც შეეხება დროს კულტურის მიღების, აქაც ვერ დავრჩით კმაყოფილი მიღებული შედეგებით; ნაღველი ჩვენ შემთხვევებში უმეტესად უსწრობდა მიკრო-ლევკოციტო-კულტურას. იმ პრაქტიკულ ფაქტორატესობებს, რომლებზედაც ლაპარაკობენ ავტორები, არ უნდა ქონდეთ, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა. 2 კუბ. სანტ. სისხლს გამოვიღეთ, თუ 8—10 კ. ს., ამას არც ავალმყოფისთვის აქვს არსებითი მნიშვნელობა და არც ექიმისათვის. ასეთივე მნიშვნელობა აქვს 2 გრამიან შპრიცს, ბულიონის მცირე რაოდენობას და მცირე ოდენობის სინჯარს.

ერთ უპირატესობას კი უნდა მიექცეს ყურადღება—მის ძნელად გაბინძურებას. ამიტომ მისი ხმარება მეტად სასურველია, როდესაც შორ მანძილზე გვიხდება გადმოტანა დათვესილი სისხლისა, რაც არა იშვიათად გვაძლევს გაბინძურებას; ამ მეთოდის საშუალებით კი მეტად მოხერხებულია პატარა სინჯარი.

ამიტომ ჩვენის აზრით:

1. მარტო მიკრო-ლევკოციტო-კულტურის მეთოდი არ არის საკმარისი ჰემოკულტურის მისაღებად.
2. მას არ აქვს უპირატესობა დროის და რაოდენობის მიხედვით ჩვეულებრივ ჰემოკულტურასთან.
3. მიხანშეწონილია მისი წარმოება პარალელურად სხვა ჩვეულებრივ პემოკულტურის მეთოდებთან.
4. აუცილებლად საჭიროა მისი ხმარება შორ მანძილზე გაბინძურების ასაცილებლად.

## Е. НЕМСАДЗЕ

Микро-лейкоцито-культура и ее практическое значение при брюшном тифе.

Автор произвел проверку способа получения гемокультуры, предложенного французами—Fiessinger и Cattani на 25 случаях брюшного тифа.

Последние, базируясь на бактерицидных свойствах сыворотка по отношению полочек Эберта и на свойствах питратной крови при центрифугирова-

## E. NEMSADZÉ.

La microleucocytoculture et sa valeur pratique pour le diagnostic de la fièvre typhoïde.

Dans 25 cas de la fièvre typhoïde l'auteur vérifiait la méthode préconisée par Fiessinger et Cattani pour l'obtention de l'hémocultre.

Fiessinger et Cattani, se basant sur la propriété bactéricide du sérum pour la bactérie éberienne et sur la propriété du sang citraté de donner après centrifugation 3

ния давать при елоя, из которых средний-лейкоцитовый наиболее богат микробами, предложили метод микро-лейкоцито-культуры, имеющий по их наблюдениям, много преимуществ перед обычным способом получения гемокультуры.

Паралельно с микро-лейкоцито-культурой автором применены обычные методы получения гемокультуры (посевы на желчи, простой бульон).

Сравнивая результаты, полученные этими методами, автор делает свои выводы:

1. Один только метод микро-лейкоцито-культуры не является достаточным для получения гемокультуры.

2. Метод не имеет преимуществ перед обычной гемокультурой ни в смысле раннего получения роста, ни в смысле количества положительных результатов.

3. Желательно пользоваться этим методом паралельно с обычными способами получения гемокультуры.

4. Метод микро-лейкоцито-культуры имеет безусловные преимущества при перевозке материала на далекие расстояния во избежание загрязнений.

couches, parmi lesquelles la couche moyenne-leucocytaire est la plus riche en microbes, ont préconnisé la microleucocytoculture, qui, d'après eux, a beaucoup des avantages vis-à-vis des méthodes ordinaires.

Parallèlement avec la microleucocytoculture l'auteur utilisait les méthodes ordinaires de l'hémoculture (ensemissement sur la bile, bouillon simple).

D'après les résultats l'auteur conclut:

1) La méthode de microleucocytoculture, elle—seule, ne suffit pas pour l'obtention de l'hémocultute.

2) La méthode n'a pas des avantages sur les méthodes ordinaires de l'hémoculture ni au sens de la poussée plus précoce du microbe, ni au sens de la quantité des résultats positifs.

3) Il serait à désirer d'utiliser cette méthode parallèlement avec les méthodes ordinaires d'hémoculture.

4) La méthode de microleucocytoculture a un avantage indiscutable dans les cas quand on transport le sang à examiner à une distance éloignée.

დ. ჯავახიშვილი

**ედოპრინცული კოლიბტრიტის ორი ჟემთხვევა ე. ჭ. „გი-  
ნეროვასტია“-სთან დაკავშირებით\*)**

სახსრების სხვადასხვა ქრონიკული დაავადება და მისი მრავალგვარი კლინიკური ფორმები ეტიოლოგიის მხრივ ხშირად საბუთდება საერთო ცნებით, „რ ე ვ მა ტი ზ მი“-თ, თუმცა თვით ეს ცნება აქამდისაც არსებითად ჯერ კიდევ სრულიად გამოურკვეველია, რაღაც ჩენ არ ვიცით მისი გამომწვევი ნაძვილი მიზეზი. ამ სნეულებათა თანამედროვე კლასიფიკაციებიც საცემით ვერ აკაციოფილებს საქურნალო მეცნიერების მოთხოვნილებებს და ვერ პქმნის ერთ მთლიან აზროვნებას ამ საკითხის გარშემო, რადგან სახსრების სნეულებას საფუძლად უდევს სულ სხვადასხვა მომენტები, რომელნიც ზოგჯერ ავადმყოფობის მართალ მიზეზად ითვლებიან და ხან მხოლოდ მისი ონამზავრნი არიან.

ჩენ არ შევუდგებით ამეამად არსებული მრავალნაირი კლასიფიკაციების ჩამოთვლას, მით უმეტეს, რომ ყოველ ამ საკითხის მკვლევარ ავტორიტეტს სახსრების ქრონიკულ სნეულებათა დალაგების დროს შეაქვს თავისი სუბიექტური ელემენტიც იმისღავარად, თუ როგორია მისი მსოფლმხედველობა ზემოხსენებული ძირითადი მოძრნების შესახებ, რომლებითაც ხასიათდება სახსრების სნეულებათა კლინიკური ფორმები.

ამ დაავადებათა ეტიოლოგიურ მომენტებში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ენდოკრინულ მიზეზს უნდა ეჭიროს ალბად. Вельяминов-ი, მაგალითად, თირეოპარკიულ არტრიტებს ცალკე ჯგუფად გამოჰყოფს, რაღაც იგი დიდ მნიშვნელობას აწერს ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციას. Бек-ის ავადმყოფობას, რომელიც გამოიხატება სახსრების სიმეტრიული დამახინჯებით და რომელმაც ენდემიურად ზავი იჩინა ზაბაიკალის ოლქში, მხოლოდ ენდოკრინულ მიზეზს აწერენ, ხშირია აგრეთვე პოლიატრიტი, რომელიც ქალის სასქესო ჯირკვლების კორელაციის დარღვევისაგან არის წარმომდგარი. Altred Garrod-ს აქვს აწერილი ასეთი ფორმები.

1928 წ. ბადენში შემდგარ ბალნეოლოგიურ კონგრესზედ F. Pineles-ი ამბობს, რომ ინფექციურ არტრიტების დროს ხშირია ენდოკრინული მოვლენები, რომელთაც გარკენელი დამოკიდებულება აქვთ ამ ავადმყოფობის პათოგენულთან. ე. წ. ქრონიკულ-პროგრესიულ არტრიტების დროს უფრო მკაფიოდ ემჩნევა ეს ენოდოკრინული ფაქტორი, რადგან 80%-ს ამგვარ ავადმყოფებისას

\*) მოხსენებულია ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში 10/12-28 წ.

შეადგენენ ქალები, რომელთაც ავალმყოფობის პირველი ნიშნები ეწყობათ მენ-სტრუაციის პირველ პერიოდში და ინ მისი დათავების ხანაში.

მეორე მომსხენებელი ამავე კონკრეტულ Wiesel-ი აგრეთვე ქალების სახ-სრების დაგვადებაში დიდ ბრალსა სდებს სწორედ ამ ენდოკრინულ ფორმულას; მისი აზრით ყოველ პერიოდს, სასქესო ჯირკვლების ფუნქციის დაგვარად ეთა-ნაბრება სხვადასხვა სახსრების დაავადებანი.

Uusmber-სა და Munk-ს შეუმჩნევიათ სიმბეტრიული ცვლილებანი სხვადა-სხვა სახსრებში, როგორც მენსტრუაციის უწესოების, ისე მენოპაუზის სხვადა-სხვა პერიოდებში. მაგრამ კლინიკური მდგომარეობის ზუსტი აწერის დროს ამ ავტორების მიერ ნაჩვენები ერთმანეთს არ ეთანხმებიან.

პროფ. გ. ა. ღამბარაშვილი მა ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწ. ინსტიტუტში და გინეკოლოგიურ კლინიკაში აწარმოვა დაკვირვებანი 21 ავალმყოფზე, რომელთაც, მისი აზრით, სხეულება ჰქონდათ წარმოშობილი საკვერცხების შინაგან სეკრეციის დარღვევისაგან და clymax-თან დაკავშირებით, მაგრამ მას ხელშესახები რაიმე დიდი ცვლილებები დაავადებულ სახ-სრებში ვერ აღმოჩენია. მიუხედავად მრავალი გამოკვლევა-დაკვირვებებისა, ჯერ მაინც ტიპიური კლინიკური სურათი ენდოკრინულ ნიაღაზედ აღმოცენებული სახსრების დაავადებისა არ არის ჩამოყალიბებული, ცნობები ჯერ მხოლოდ ზოგადია.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ ჩვენ გვინდა შევეხოთ აგრეთვე ენდოკრი-ნულ პოლიატრიტებს მხოლოდ მამაკაცების სასქესო ჯირკვლების შინაგანი სექ-რეციის დარღვევებათან დაკავშირებით წარმოშობილებს; აქვე უნდა ვსოდეთ, რომ ლიტერატურაში ასეთი ფორმები უფრო ნაკლებად გახვდება, ვიდრე დე-დაკაცების შესახებ, და შესაძლებელია ამას თავისი ბიოლოგიური კანონზომიე-რება ჰქონდეს საფუძვლად.

თავისთვის ჩვენ მიერ წარმოდგენილი ეს ტიპები ეკუთვნიან ენდოკრი-ნულ ნიაღაზედ წარმოშობილ ანომალიებს, რომელიც სათანადო ლიტერატუ-რაში ბლომად არის აწერილი; ეს არის განვითარების სტადიაში მომხდარი დარღვევები, მეორადი სასქესო ნიშნების ინვერსია, რომელიც გამოიწვევს ხოლმე სქესის დამახასიათებელი ფორმების შეცვლას, სქესის საწინააღმდეგო მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებას, ვირილიზმი, ფემინიზმი, კერძოდ გი-ნექომასტია და სხვა.

გვხვდება ორი ტიპი ფემინიზმისა: ერთი სქესობრივი სიმჭიდვის ხანისა, რო-მელიც ვითარდება ადვილად, სწრაფად და მოქლე ხანს არსებობს; მეორე სულ სხვა მნიშვნელობისაა და უფრო მკვიდრი და ხანგრძლივი მდგომარეობა აქვს— ეს მოხრდილთა ფემინიზმია.

Brouardel-ი ამტკიცებს, რომ ზოგიერთ ახალგაზრდა ვაჟებს სიჭაბუქის ხანაში, სწორედ სქესობრივი ტრანსფორმაციის დროს ევოლუციისაგან გამო-წვეული თავისებურებანი ისეთი ექმნებათ, რომ ისინი ემსგავსებიან ქალებს; ხმა რჩება ისევ ბავშური, კანი თხელი და ნაზი, სასქესო ორგანოები არ ეზრდებათ, ბოქვენზედ და ილლიის ქვეშა ფოსოებში თმით შემოსვა ძლიერ სუსტია; ბორ- ჩონჩხი ძლიერ ნელა ილებს მამაკაცის ფორმას და მენჭი კი უგინიერდებით, ვი-

თარღება სარძეო ჯირკულები, ბარძაყები მსხვილდება და დუნდულებიც საკმაოდ გამოერჩევიან, ისე რომ მთელს ტანს ქალური სისრულე და სახეობა ეძლევა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზემო აწერილი მოვლენის დროს სარძეო ჯირკულები შედარებით ძლიერ ვითარდებიან, ჩვენ ვიღებთ ე. წ. ჭაბუკობის გინეკომასტიას.

თუ რამდენად ხშირია ეს ანონალიები, ამის შესახებ არ არის ჯერ შემდგარი ზუსტი სტატისტიკა.

Берლაპკია-ს ანგარიშით თვითეულ 20.000 ახალწვეულ ჯარის კაცზედ მოდის ერთი შემთხვევა; საფრანგეთის სტატისტიკით 1 შემთხვევა მოდის 13.000 კაცზედ.

რუსეთის და უკრაინის ლიტერატურაში 1888 წლიდან დღემდე გოლდენ-ნერგ-ს (ხარჯვი) შეუკრებია 70 შემთხვევა, რომელიც აწერილი ყოფილი 38 სხვადასხვა ავტორის მიერ. მას მოჰყავს 3 შემთხვევა გინეკომასტიისა უკრაინის ფსიქიატრიულ ინსტიტუტიდან და სამიერე დიაგნოზით: *Debilitas*.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი შემთხვევები იმითაა საგულისხმიერო, რომ აქ სქესობრივი ეგოლუციის დარღვევასთან თანამგზავრად, როგორც ერთგვარი გართულება, განვითარდა პოლიატრიუ, ვფიქრობთ ენდოკრინული ნიადაგისა. ამასთან ჩვენ არ ვამტკიცებთ, ვითომც ეს ავადმყოფობა უთუოდ უნდა იყოს მიზეზნბრივ კავშირში, როგორც ამ ანომალური მოვლენის შედეგი, მხოლოდ შესაძლებელია დაუშვათ ის, რომ ამ შემთხვევაში ორგანიზმი, ენდოკრინული დისფუნქციის მიერ გამოწვეული წონასწორობის დარღვევის გამო, იმყოფება ლაბილურ მდგომარეობაში, როდესაც საქმარისია მცირელენი გარეშე მავნე ფაქტორი (გაცივება და სხვა), რომ მან შემნას ავადმყოფობის განვითარებისათვის (*locus minoris resistentiae*), და მართლაც ჩვენს შემთხვევაში, ავადმყოფის ანამნეზიდან სჩანს, რომ მას მოუხდა ხანგრძლივად წყალში დგომა, რომლის შემდეგ ასტკივდა სახსრები: ეს გაცივება არის ხოლმე ხშირად ის გამოსავალი მომენტი, რომელიც ჰქმის დაძაბუნებული ორგანოების დასნეულებისათვეს სათანადო იმპულსს.

შემოხსენებულის შემდეგ მოვიყვანთ ავადმყოფობის მოკლე ისტორიას.

პირველი შემთხვევა ავადმყოფი ბ—ე ერმოლონი, 18 წ. რაჭიდან მოვიდა აპტალაზედ 18/VII 1928 წ. 3 წელშიდა ავად არის. დაიბადა 1910 წ. სრულიად ნორმალური და საღი. ბავშვობა იყო მისი საერთოდ ჩევლებრივი, რაიმ მკვეთრ გადახრებს ადგილი არ ჰქონია მის ფიზიკურ და ფსიქიურ სფეროში. ბავშვი იყო მეტად წყარი, იშვიათად თამაშობდა ამასანა-გებში; 8 წლისა მიაბარეს სკოლაში, სადაც საქმაო ნიკი ემჩნევდა სწავლაში, მაგრამ რაღაც გამოუჩეველი მიზეზის გამო რარი წლის შემდეგ მან მთლად მიატოვა სასწავლებელი.


სქესობრივი მომწიფების ნიშნები დაეტყო მეთხუთმეტე წელზედ და ამავე დროს განვითარდა ასესებული დაავადება.

სწორედ სამი წლის წინათ რიცმში ნარიყის კრეფის დროს გაცივდა და მის შემდეგ დაწყო სახსრების ტკივილი მუხლების და თეძოების მიდამოში; პირველად ტკივილს ჰქონდა სუსტი ხასიათი, შემდგა შუალა და ცვალებადი გახდა, მხოლოდ მატულობდა სიცივის და ცუდი ამინდის დროს; ასე გასტანა 1927 წლ. ნოემბრში ტკივილებმა იმდენად იმატა, რომ ავადმყოფის მოარაობა და სიარული სრულიად შეუძლებელი შეიქმნა. ტკივილს თან და-

ერთო სახსრების შესიება; პირველად შესივდა მარჯვენა წვივ-ტერფის სახსარი და შემდეგ გადავიდა სხვებზედ. სიცეი ავადმყოფს არ უგრძენია.

შემოდ აწერილ დავადებასთან ერთად ავადმყოფმა შეამჩნია, რომ სარძეო ჯირკვლებმა არაჩვეულებრივად იწყეს ზრდა და განვითარება და მოკლე ხნის განმავლობაში მიაღწიეს არსებულ სიდიდემდე; ამავე დროს სასქესთ თრგანოების განვითარება შეუტერდა; თესლის გადმონ-თხება ავადმყოფს პირველად ჰქონდა ამ სამ ნახევარ წლის წინეთ დამით. პოლიუციის დროს ადგილი არ ჰქონდა ეროტიულ სიზმარს და არც კვლავ როდისმე დასიზმრებია ან ცხადლივ უგრძენია ასეთი რამე. ერექციაც ძალიან იშვიათად აქვს ავადმყოფს, მისი სიტყვით სამ-ოთხ თვეში ერთხელ; ამჟამად ქალისადმი ძალიან ნაკლები მისწრაფება აქვს. სქესობრივი კავშირი არასოდეს ამ ქონია და სრულიადაც არ აქვს ასეთის სურვილი.

პირველი შემთხვევა



ბ-ე ერმოლოზი 18 წ., რაჭილან.

ძუძუს დვრილების გალიზიანება ან მექანიკური მოქმედება არავითარ გრძნობას არ იწვევს. შთამომავლობის მხრივ Lues და ალკაზლოლიშმ უარყოფს. ავადმყოფის მშობლებს 8 შვილი ჰყოლია, მათ შორის სამი მოკვდომიათ; დედმამა სრულიად ჯანმრთელი არიან;

ავადმყოფი ასთენიური კონსტიტუციისაა, საშუალო ტანისა, გამხდარი, კანი და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი სუსტად განვითარებული, თმიანობა მცირდება გამოხატული, მამკაცის ტი-

პისა, რამე ნაწიბურები ან და პარტაზტი კაზხედ არ ემჩნევა. ლავოჭქვეშა და ლავოჭქვედა ფოსვები კარგად გამოხატული; ლიმფ. ჯირკვლები საზარდულის იღლისა და კისრისა ოდნავ ისინჯება.

ძვალ-კუნთოვანი სისტემა საშუალოდ განვითარებული, სარტყო ჯირკვლების არანორმა-ლური განვითარება—ტიპიური ჯირკვლოვანი ქსოვილით (დედაკაცის ტიპისა), სასქესო ასოს ინფანტილური მდგომარეობა, სათესლე ჯირკვლებიც შემცირებულია.

კისრის, მხრის, იდაყვის, მაჯის ნებფალანგების სახსრებში მოძრაობა თავისუფალია, ხერხემლის მოძრაობა ღდნავ შეფერხებული, განსაკუთრებული ხერხემლის ქვედა ნაწილებში, ხელის კუნთების ძალა რაოდენიმედ შესუსტებული; მოძრაობა მეზჯბარძაყის სახსარში როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ ზედმეტად შეზღუდულია, უფრო მეტად ბარძაყის განშიდვა და მოზიდვა, პასიური მოძრაობის ძროს მწვავე ტავილი ემჩნევა; კუნთები ბარძაყის m. m. sartorius და gracilis ზედმეტად დაჭიმული.

მუხლის სახსრების მტკიფანობა და ხრაჭუნი; მასში მოძრაობა ღდნავ შეფერხებული, აქაც პასიური მოძრაობის ძროს მტკიფანობა.

მხედველობა N; (6) რეაქცია თვალის გუგების სინათლეზედ შენახულია, რქოვანას რეფლექსი არის, მოძრაობა თვალის გაჭირების თავისუფალი, სმენა ნორმალური.

გ ე მ ო ვ ნ ე ბ ა დ ა ყ ნ ი ს ვ ა N (6)-ის ფარგლებში.

გ რ ძ ნ ი ბ ა შ ე ხ ე ბ ი ს, მტკიფანობის და ი<sup>მ</sup> შენახული აქვს კანის მთელ ზედაპირზედ.

დ რ მ ა მ გ რ ძ ნ ი ბ ა შ ე ხ ე ბ ა შ ე ნ ა ხ უ ლ ი.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსები ოდნავ ანემიური, ენა თეთრად შელესილი (ოდნავ).

კუჭის და ნაწლავების მხრივ არავითარი მოვლენები, გარდა იშვიათი სიყაბზისა; ელენთა კარგად ისინჯება.

ლიფილი—არ გამოიდის ნეკნას რკალიდან.

მარჯვენა ფილტვის მწერვალობზედ სუსტად გამოხატული მკერივი სუნთქვა, გულის მხრივ ტონები შშინდა, ოდნავ მოყრუებული.

დაენიშნა 15 ტალაზის აბაზანა 30°—33° 15-20 წ.

მეოთხე აბაზანის შემდეგ ტკიფილებმა უმატა, ათი აბაზანის შემდეგ: სახსრებში ტკიფილი მომატებული, ბარძაყის კუჭითების ოდნავი მოშვება, მაჯა რაოდენიმედ შშირი, გულის ტონები მოყრუებული. 15 აბაზანის შემდეგ ავადმყოფმა დასტოვა კურორტი თითქმის იმავე საერთო მდგომარეობით.

მ ე ა რ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა. საცეცით ჩემი არ არის, იგი გადმომცა ექ. მა მა ლ ა ძ ე მ—ავადმყოფი ქ-ანი ჭიათურიდან შვავი ქვის წარმოებაში მომუშავე. დამზღვევ სალარდან გაგზავნილი წყალტუბისზედ. სამწუხაროთ, ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ შედგენილა, რადგან იგი ორი წლის წინეთ იყო კურორტზედ და მხოლოდ ის აღინიშნება, რომ მასაც სახსრების ტკიფილი დაწყო დაახლოებით სქესობრივი სიმწიფის ხანაში, როდესაც სარძეო ჯირკვლების ზედმეტად განვითარებაც თან მოჰყება; აქაც ავადმყოფმა მიიღო ბალნეო-მკურნალობა შედეგოთ.

ამგვარად, თუ ღრეს დამტკიცებულად ჩაითვლება, რომ არსებობს მთელი რიგი ეწ. ენდოკრინული არტრიტებისა, რომელთა ერთ-ერთ მიზეზბად ხდება შინაგანი სექრეციის ჯირკვლების კორელიაციის დარღვევა, დისფუნქცია, მაშინ შეიძლება ვითიქრონოთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ორი შემთხვევა პოლიატრიტისა, უნდა ეკუთვნოდეს ამ ენდოკრინულ ფორმებს, რადგანაც ანამნეზიდან სჩანს, რომ მათი სნეულება აღმოცენდა სწორედ (Pubertatis) ისეთ ხანაში, როდესაც სასქესო ჯირკვლების ნორძალური ფუნქციის განვითარებას გამოურკვეველი მიზეზის გაძო გადაეღობა პათოლოგიური გაღახრა და შექმნა სურათი ანომალური ტიპებისა (ფემინიზმი, გინეკომასტია) და როგორც თანამგზავრი ამ

მდგომარეობისა წარმოშვა სახსრების დავადების წარმოდგენელი ფორმა. ამა-  
სთან უნდა დავუმატოთ, რომ ენდოკრინული პოლიატრიტები თერაპიის შერივ  
ძლიერ ძუნწად უთმობენ გზას ჩვეულებრივ მედიკამენტოზურ და ფიზიოთერა-  
პიულ საშუალებებს და სწორედ ესეც მოხდა ჩვენს შემთხვევებში, რადგან თი-  
ოქმის უშედეგოთ ჩაიარა მათმა ერთის ახტალაზედ ტალახით მკურნალობამ და  
მეორის წყალტუბოზედ ბალნეოთერაპიამ.

მეორე შემთხვევა



ქ-ანი, ჭიათურიდან

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

Проф. М. Я. Бреитман „Болезни органов внутренней секреции“. Ленинград 1926 г. 2. А. Вейль. „Внутренняя секреция“. Москва 1923 г. з. Проф. В. А. Оппель „Заболевания эндокринных Желез“ Acta Medika Харков 1926 г. вып. десятый. 4. Проф. Н. Ф. Голубов, „Нозология заболеваний суставов“ Acta mediku Харков 1926 г. выпуск XI. 5. Проф. А. А. Богомолец. „Кризис эндокринологии“. Москва 1927 г. 6. А. Luger' E. Maliva, A. Bum, B. Breituer, A. Strasser. Терапия болезней суставов. Ленинград 1928 г. 7. Проф. Г. Гамбаров. „К вопросу о климатических артрозах“. Журн. для усоверш. врачей 1926 г. № 3. 8. 43 Боль- неологический конгрес. Баден. Отчет. журн. для усоверш. врачей 1928 г. № 7—8. 9. პ. ქავთარაძე. „შიგნითა სექრეციის ჯირკვლეთა სხეულებანი“, (ბიმთხილვა) უურბ. „თა- ბამედროვე მედიცინა“ 1928 წ. № 3—4. 10. М. А. Гольденберг (Харков) „К вопросу о гинекомастии“. Врачебное дело 1929 г. № 5.

**Д. Джавахишвили**

**Два случая эндокринного полиартрита в связи с гинекомастией.**

1. В большинстве различных хронических полиартритов этиологическим моментом часто обычно признается общее собирательное название ревматизм, хотя в сущности это понятие вовсе не удовлетворяет современным требованиям научной мысли по данному вопросу.

2. Тем не менее, однако, одним из частых этиологических моментов хрон. заболеваний суставов нужно считать различные расстройства функций эндокринных желез: гипофиза, щитовидной и половых желез.

3. Приведенные два случая полиартрита нужно полагать являются эндокринного происхождения, т. к. развились вместе с расстройством функций мужских половых желез в периоде pubertatis, когда указанные субъекты подвергались уклону в сторону феминизма и в частности гинекомастии.

D. DJAVAKHICHVILI.

Deux cas de polyarthrite endocrinienne en rapport avec la gynecomastie.

1. Comme moment éthiologique de la grande majorité de deverses polyarthrites chroniquel, d' habitude, on fait intervenir, très souvent, un terme d'ensamble „rhumatisme“, bien que ce terme ne satisfait nullement les exigences de la pensee scientifique moderne.

2. Malgré cela, la cause assez fréquente de la polyarshrite ehrönique il faut la observer dans les troubles fonctionels de diverses glandes endocriniennes: l'hypophyse, le glande thyroïde et les glandes génitales.

3. Nous considerons les deux cas de polyarthrite, observés par nous comme provenant d'une éthiologie endocrinien liée par coïncidence avec les troubles fonctionnels des glandes génitales masculines au cours de la puberté. Or, c'est à cette période, que nos malades ont subit une deviation vers le, féminisme et particulierement vers la gynecomastie.

3. କାମତାଳାପି

უფროსი ასისტენტი.

(სახელმწ. უნივერს. ნერვების სნეულებათა კლინიკიდან. გამგე პროფ. სვ. ყიფშიძე).

თავის ტვინის ესინოპოდის ორი უკათხევება\*)

თავის ტვინის ეხინოკუკი ძლიერ იშვიათი დაავადება. Steffen-მა და Goldenberg-მა შესძლეს შეეგროვიბითა სულ 21 შემთხვევა თავის ტვინის ეხინოკუკისა. Vegas ყ Cramvell-ის კი მოყავს 23 შემთხვევა სხვადასხვა ჰასაჟში. Надеждин-ის სტატისტიკით იგი უდრის  $0,9\%$ , ექიმ შონიას მასალების მიხედვით იგი შეადგენს  $0,95\%$ , Ter-Nersessov-ის ცნობით— $0,48\%$ , ხოლო ლისანსკის-სა და ბიბრის-ის სტატისტიკით კიდევ უფრო ნაკლებია.

ეხინოკოკის გავრცელებაში დანაშაული მიუძღვის პირუტყვს და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ძალლსა და ცხვარს, როგორც *Taenia echinococcus*-ის მატარებელს. ექიმი თითოვი აღწერს ადამიანის ორგანიზმში პარაზიტის გავრცელებას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ *Taenia*-ს კვერცხი მოხვდება თუ არა კუჭს, იგი კარგავს თავისი გარსს და ჩანასახი კაუჭის საშუალებით გახეთქას საჭმლის მომნელებელ აპარატს სისხლის მილის კედელს და შედის სისხლის მიმოქცევაში, რის საშუალებითაც მიდის ერთ-ერთ ორგანომდე, საღაც ის განვითარდება. ზოგიერთების აზრით არის მეორე გზაც—ლიმფური, მაგრამ ეს უფრო იშვიათია. თავის ტვინის ეხინოკოკი პირველი გზით ვრცელდება და იძლევა თავის ტვინის სიმსივნის სინდრომს, რომლისგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან არც რენტგენოგრამმა და არც ლაბორატორიული გამოკვლევები დასაყრდნობ ნიშნებს არ გვაძლევენ, ამიტომ დიაგნოზი ხშირად ქიორურგის ან პათალოგო-ანატომის მაგიდაზე ისმება 1906—1926 წ. ცენტრ. კლინიკურ ინსტიტუტში აღნიშნულია 115 ავათმყოფი ეხინოკოკით დაავადებული და მათ შორის 3 შემთხვევა თავის ტვინის ეხინოკოკს ეკუთვნის, ხოლო ნერვულ კლინიკის 9 წლის არსებობის ხანაში გვქონდა თავის ტვინის სიმსივნეების შემთხვევა სულ 45 და მათ შორის ორი აომოჩნდა თავის ტვინის ეხინოკოკი.

შემთ. I ავადმყოფი თანდელოვი გასილი სარქისანძე, 25 წლის, სომხეთი, ცოლაბინი, მიღუბულია კლინიკაში 11/IV-ს 1925 წელს. იგი უჩივის მარჯვენა ხელფეხის სიდამბლეს, მხედველობის დაკლებას, გულის რევას, მუდმივი ხასიათის თავისი ტკივილს და მეხსიერების დაკვირთებას.

ანამნეზი: მამა ცოცხალითა და ჯანსაღი, დედა აღრი მოკვდიმია არ იცის რით. ყავს და-ძმა ჯანსაღი, მექვიდრეობაში ათაშნებს, ჭლექს, სიმისივნეებს და სულით ავადმყოფობს უარ-ყოფს. ავად ყოფილა უწინ მუცლის ტიფთ და ცეიტ-ცელებით. ავადმყოფის მეუღლე, რომლის-განაც იყო შეკრებილი ანამნეზი, აღნიშნავს, რომ იგი ორი წელია ჩვენს ავადმყოფს იცნობს, როგორც სრულიად ნირმალურ ადამიანს, მეხსიერების და საერთო ყოფაცევის მხრივ. ჩვენ

\*) მოხსენებულია ნევროპათოლოგთა და პსიქიატრთა კონფერენციაზე 12/V—29 წელს.

ავადმყოფი მსახურებდა ტრამვაის პარკში, სამსახურს პირნათლად ასრულებდა, ოჯახში ზრუნავდა და ყვაველივე მოვლენებს სათანადო ანგარიშს უწევდა, მხოლოდ ამ სამი თვეს წინეთ ერთ საღამოს სრულიად უეცრივ მოუვიდა მარჯვენა ხელფეხის სიდამბლე მსუბუქი, რის შემდეგ ის თუმცა კაჭლობით და ქნაბობით, მაგრამ მანც უჯოხოთ დადის დღემდე. დამბლის მოსკოვისას გონების დაკარგვას და კრუნჩხვას არ აღნიშვნას. იმ დღიდანვე ავადმყოფს დატყუბისა სიანწელე, უმისხვოთ ჯავრდებოდა, წლისანდებოდოდა, ხნ ძლიერ დაღინდებული გამრიყურებოდა, უფრო მეტ წლად კი იცინდა და მითარულობდა ყოველ მიხეხს გარეშე, ღიმოლი მისი რაღაც ბაგშური იყოვო დასხენს მისი ცოლი. ოჯახის ჭეგრებს ყველა ამ ზემოაღნიშნული მოვლენების შემდეგ თანდათან შეუმჩნევიათ, რომ ავადმყოფს მესსიერება უსუსტდებოდა; ავიწყდებოდა თუ როდის რა ისადილა, ვინ ინახულა ავადმყოფი, რა დღეა დღეს, რამდენი წლის არის, რამდენი ზანია ჯვარდაჭერილია და სხვა. ხშირად ამ მესსიერების შესუსტების ნიადაგშე მონდილა აჯახში უქმაყოფილობა: ხშირად ბრაზდებოდა, ცოლს უჯავრდებოდა, სცემდა და თვითონ ამ დროს კი იცინოდა რაღაც ბაგშური ღიმილით.

ამ ათი დღის წინ ყოველივე ზემო აღნიშნულს დაერთო აგრეთვე თავის ტკივილი, გულის რევა, პირიდან ღებინება და გადაჭარბებული ძილად მივარდნა, დამე წომ ეძნაო, აღინიშნავს მისი ცოლი—დღისითაც ოთხჯერ-ხუთჯერ იძინებდათ. წამლობა ავადმყოფს სახლში სრულიად არ გაუტარებია, არც ექიმისთვისთვის მიუმართავს, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში, როდესაც ავადმყოფს უარესობა დაეტყო იგი მოათავსეს ნერვულ ქლინიკაში.

ობიეკტ ური გამოკვლევა: მარჯვენა ხელ-უქნის მოძრაობა ძალის და სიფართის მხრივ დაკლებულა.

III, IV, V, VI და VII წყვილი თავის ნერვებისა მოშლას არ განიცდის; VII-დე წყვილიდან ქვედა ტოტის სუსტი პარეზი მარჯნივ. IX, X, XI და XII წყვილი მოშლას არ განიცდის.

მარჯვენა ხელ-უქნი ალინიშნება პირამიდიული ხასიათის ჰიპერტონია. უნებლივით მოძრაობა არ აქვს გამოხატული. აქვს სუსტი ნისტაგმი მარჯნივ გახედვისსას თვალებში. ორგებრაციის უნარი ადგილში, დროში და გარემოში დაქვეითებული აქვს. აზოვნება დაქვეითებულია. გუნება ძლიერ ცვალებადი: ხან სუვდიანი და ხან კი ეფთორული.

კუნთებს ატროფია არ ემჩნევა. ელექტრო ალზენებულობა ფიზიოლოგიურ ფარგლებითა. სიარული პარეტიული-სკასტიური ხასიათის. სიარულის დროს მარჯვენა ფეხით სწერს რკალს. სიარულის დროს ავადმყოფი ქანაობს. მარჯნივ იხრება, დგომისას, როგორც თვალითა, ისე თვალებ დახუცული ქანაობს. მუხლ ქუსლის და ცვირ თითის ჩვენებას მარცხენა კიდურებით კარგათ აწარმოებს. მარჯვენაზე კიდურის სისუსტის გამო ვერ აღინიშნება წესიერად. აღიოდობო-კინეზია, პიპერმეტრია არ აღინიშნება. მყესთა რეფლექსები მარჯნივ ორთავას, სამთავას, მუხლის და აქილესის ძლიერ აწეულია, აქვს მარჯნივ ტერფის კლონუსი. მუცელის კანის რეფლექსი მარჯვენა მხარეზე სამივე მესამედში მოსპობილია, კრემასტერის მოსპობილია მარჯვენა მხარეზე. სხივის და იღაყვის ცოცხალითა მარჯვენა მხარეზე, შენახულია მარცხენაზე. ქვედა ყბის შენახულია, მედიოპლანტარული ცოცხალია, კონიუნქტივის ძლიერ დაწეულია მარჯვენა მხარეზე, შენახულია მარცხენა მხარეზე. კორნეის ორთავე მხარეზე თანაბრათ შენახულია. ხახის—რეფლექსი შენახულია. აქვს მარჯვნივ მხარეზე Babinski. მგრძნობელობა ყველასახის შენახულია. ყნოსვა აქვს შენახული ფიზიოლოგიურ ფარგლებში. მხედველობის მხრივ ავადმყოფი გასინჯული იყო. ექ. შატილოვის მიერ. თვალის ფსკერის გასინჯვად აღმოაჩინა შეშუბებული დერილი, უფრო მეტად გამოხატული მარჯნივ, ვიდრე მარცხნივ. სხვა ცვლილებები არ ემჩნევა. თვალის გუგის რეფლექსი სინათლეზე სიცხოველეს მოკლებულია, აკომოდაციაზე

შენახულია, სიმპატიური ცოცხალია, თვალის გუგები თანაბარი და საგრძნობლად გაფართოვებულია. სმენა პარის გატარებით გამოკვლევით ძლიერ დაწეულია.

### V—IX—გემოვნება კარგი აქტების შემთხვევა.

შარდის ბუშტის და სწორნაწლავის ფუნქციების მოშლა არ არის. ტროფიკული მოშლილობანი არ აღინიშნება. შინაგანი ორგანოები ნორმალურ ფარგლებშია.

თავის პერკუსიის დროს ავადმყოფი აღნიშნავს ტკივილებს მარცხენა შუბლის წილის არეში, თვით აღნიშნული არეს პერკუსიაც იძლევა შედარებით მარჯვენასთან მოყრუებულ-ტიმპანიტს. ავადმყოფს თავის ქალას რენტგენოგრამაზ ცვლილება არ მოგვცა. ორჯერ გასინჯული სისხლი WR-ზე—უარყოფითი შედეგით. ათი დღის შემდეგ ავადმყოფი გადავიყვანეთ ქირურგიულ კლინიკაში საოპერაციოთ დიაგნოზით: *Tumor cerebri lobuli frontalis sinistra.* ოპერაცია გააკეთა ექიმ ახმეტელ მა 23/VII-ს საერთო ნარკოზის ქვეშ. განაკვეთი ნაწარმოები იყო მარცხენა თხემის, საფეთქლის და შუბლის ძვლის არეში, ამოტებილია ძვლის ფირფიტა დაახლოებით 12—15 კ. სანტიმეტრი. ფირფიტის ახდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქალას ღრუში სუფევდა გაძლიერებული ზედაწოლა. მაგარი გარსი ფლუგტუაციას არ იძლეოდა და განიცდიდა ძლიერ დაჭიმებას. მაგარი გარსის გაკვეთის შემდეგ ტვინის ნივთიერებისან გამოიბურცვა მოთეთრო სხეული, რომელიც გასკდა და მოიცა გამსჭვირვალე მოყვითალო ფერის სითხე დაახლოვებით ერთი ჩაის ჭიქა. სითხის გამოსვლის შემდეგ ტვინოვან ნივთიერების სიღრმიდან ამოღებულია პარკი. მაგარი გარსი შეეცერა და ჭრილობა დაეხურა ყრუთ. პათოლოგო-ანატომიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა ტვინის ეხინოკოკი.

ავადმყოფი თანდათანობით გამოკვეთდა და 2/VII-ს გასინჯვამ ნერვულ სისტემის მხრივ პათოლოგიური ცვლილება არ მოგვცა. 20/VII-ს გაეწერა კლინიკიდან, განკურნებული. მას შემდეგ განვლო ხუთმა წელმა, იგი მუშაობს განუწყვეტლივ და არავითარი ავადმყოფობა მას არ ქონია ამ ხნის განმავლობაში—თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ის ერთხელ მთვრალი წაიქცა და მხარი იღმო. ამ უამად იგი სრულიად ჯანსაღია და არც ერთი ორგანიული ნიშანი ნერვულ სისტემის დაზიანებისა არ აღინიშნება.

შემთხვევა II ავადმყოფი ჩიტ—ნეი ნინო 19 წლის, შემოვიდა კლინიკაში 3/XI—25 წელ ჩივილით თავის ტკივილისა და პირის დებინებაზე. ობიექტურად: მარჯვენივ გახედვისას ორივე თვალის კავალი რჩება შუა ხაზზე. წინ გამოხდვისას ემჩნევა თვალის კავლების ჰილიზონტალური რჩევა, მარცხენა ცხვირი ტუნის ნაოჭი წაშლილია, შუბლის შეჭმუნენის დროს მარცხენა ნახევარი არ იკვემდება, მარცხენა თვალს კარგათ ვერ ხუჭავს. კორნეალური რეფლექსი მარცხნივ მოსაბობილია. მარცხენა კიდურებში ძალა აღდავ დაქლებულია და ემჩნევა ატაქსია. მუხლისა და აქსილუსის რეფლექსები მოსპობილა, მარცხნივ აღინიშნება Babinski-ს ნიშანი. თვალის ფსკერის გასინჯვამ (ექიმი შატილოვი) გვიჩვენა ორივე მხრივ შეშუბებული დერილი. რენტგენოგრამაში მოგვცა *Sella turcica*-ს გადიდება. ამ რიგათ ავადმყოფს ქონდა თავის ტვინის სიმსიგნის ნიშნები, ჩვენ გვევი შევიტანეთ თავის ტვინის გვინდოვაზე და ამიტომ ვაწარმოვეთ დამატებითი ანალიზები. გაუკვეთო *Weinberg*-ის და ინტრა დერმალური რეაქციები—ორივე უარყოფითი მიკიდეთ. ლევკოციტარული ფორმულა: ნეიტრო ფილები 81,5%, ლიმფოციტები 10%, მონოციტები 9%, ეოზინოფილები 0,5%.

ამ რიგათ ამ მეორე შემთხვევაში თომცა ვიფიქრეთ თავის ტვინის ეზინოკოზე, მაგრამ კლინიკურმა ანალიზებმა ეს ვერ დაგვიმტკიცა და დიაგნოზი იყო დასმული Tumor cerebri ტვინის დანამატის დაინტერესებით და ვინაიდან ოპერაციის გაყეთება შეუძლებელი იყო ავადმყოფს დაგნიშნა hypophysis-ის რენდგენო-თერაპია.

ამ მკურნალობამ თითქოს ერთგვარი გაუმჯობესება მოგვცა თავის ტკივილმა უკლო და პირის ღებანება გაუზიგდათ. კლინიკიდან გაწერილან სამი თვის შემდეგ ავადმყოფს მოსცვლია ხშირი გულყრები და იგი მოუთავსებათ კამის სახელობის სავადმყოფოში, სადაც მედიცინის დოქტორმა დ ე მი დ ო ვ მა, ექიმ პ ა ნ დ ო ე ვ თ ა ნ ერთად, დაწერილებით გამოკვლია ავადმყოფი და დასაცა დაგნოზი Neoplasma in basis cerebri. ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. გულყრა გაუზიგდა და 22/IV-ს 26 წლს გარდაცვალა. აუტოპსიამ გვიჩვენა (გა-კვეთა აწარმოვა ექიმ გ ა მ ბ უ რ გ ე რ მ ა) Echinococcus cerebri et hepatis. Hypertrophy hypophis. cerebri და სხ.

ეს მეორე შემთხვევა მით არის საინტერესო, რომ შიუხედავად ჩვენს შეერწყობა მიერ წარმოებულ თითქოს სპეციფიური ანალიზებისა ეზინოკოზის არსებობა მაინც გამოუწოდი დაორჩა. აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნოთ, რომ ჩვენ იძავე დროს თითხ სიმსივნიან ავადმყოფზე ვაწარმოეთ ინტრა-დერმალური და Weinberg-ის რეაქციები და ორზე მივიღეთ მკაფიოდ გამრხატული რეაქცია, ხოლო ეზინოკოზი კი არ აღმოაჩნდათ.

ეოზინოფილია ეზინოკოზის დროს პირველად Sobragez-ია აღწერა 1899 წ. და მაშინ იგი ზოგიერთებს სპეციფიურ რეაქციათ მიაჩნდათ, მაგრამ შემდეგი დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ იგი მხოლოდ 50%-დი მართლდება. ეზინოკოზის აღმოსაჩენად ნალექ-ს თავის მასალების გამოკვლევის მიხედვით, სისხლის გასინჯვა ეოზინოფილიაზე ძლიერ საეჭვო დიაგნოსტიკურ მეთოდათ მიაჩნია. გილდ-შტეინ-ისა და იქება-ის აზრით ეოზინოფილია არ არის მუდმივი და ერთგული ნიშანი ეზინოკოზისთვის, რაღაც იგი გვხვდება სხვა ავადმყოფობის დროს, როგორც ნიშანი ანაფილაქსისა და უარყოფითია ნამდვილი ეზინოკოზის დროს. პროფესიონალი ვნამენსკის ამბობს, რომ ეოზინოფილიას, როგორც ავადმყოფობის ნიშანს აქვს ძლიერ მცირე დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, მხოლოდ ეოზინოფილია თუ არის მისი მნიშვნელობა იმაში მდგრადირეობს, რომ ოპერაციის შემდეგ თუ არ გაქრა ეს მაჩვენებელია ეზინოკოზის ორგანიზმი და დარჩენისა. ვერც Weinberg-ის რეაქცია შევიდა ფართო ხმარებაში, რაღაც იგი კვალებად შედეგს იძლევა და ტენიკურადაც ძნელია, მიმოტონის ვაკულეკო-ს რემით ეზინოკოზის დიაგნოზი საოპერაციო მაგიდაზე ირკვევა. რაც შეეხება ინტრადერმალური რეაქციას ამჟამად ის არის უფრო საიმედოთ მიჩნეული. გილდ-შტეინ-ი და იქება-ი მას ეზინოკოზის დიფერენციალური დიაგნოზისთვის საუკეთესო საშუალებით აღიარებენ, თუმცა სხვების აზრით ესეც მხოლოდ 50%-ით მართლდება.

რაც შეეხება ჩვენს პირველ შემთხვევას იგი საინტერესოა მით, რომ ოპერაციის შემდეგ მივიღეთ სრული განკურნება და ხუთი წლის განმავლობაში თავს სრულიად ჯანსაღად გრძნობს. ასეთი სრული განკურნება ჩვენ ხელ მისა-წლომ ლიტერატურაში ვერ ვნახეთ. ამის ძაგვარი შემთხვევა, ხოლო უფრო ხანმოკლე დაკვირვებით და არა სრული განკურნებით ქონია Mya და Codivalla-ს, მათ ავადმყოფს 24 წლისას ავადმყოფობა დაეწყო ხელნელა და 4 წლის განმა-

ვლობაში მას განუვითარდა მარჯვენა ჰემიპარეზი — ჰემიანესტეზით, ალექსით და ამუზით. მყენთა რეფლექსები მარჯვივ აწეული, ხოლო კანის დაკლებული. დიაგნოზი იყო დასმული სიმსივნე მარცხენა ჰემისფეროში, ხოლო ეჭვი ქონიათ ებინოკოზე, რაც დამტკიცდა ოპერაციაზე; ოპერაციის შემდეგ განკურნება ჩქარა მოხდა, ერთი თვის შემდეგ მას ცეკვაც კი შეეძლო. მგრძნობლობა კი სავსებით არ დაბრუნებულა. ორი თვის შემდეგ მას მოსვლია ეპილეპტიური შეტევები, რაც გრძელდებოდა ხუთი თვის განმავლობაში ხან ერთხელ და ხან ორჯერ თვეში, შემდეგი დაკვირვება არ ყოფილა.

Egiasarian-ის ავაღმყოფს 55 წლისას ქონია თოხი წლის განმავლობაში მარჯვენა ჰემიპარეზით, შემდეგში მას მომატებია ჰკუის სისუსტე და აფაზია. აუტოპსიამ აღმოაჩინა ტვინის ებინოკოკი.

Mouss eau de gotard et Riche-ს ქონიათ შემთხვევა ერთი ავაღმყოფის, რომელიც მოუყვანიათ საავადმყოფოში კომატოზურ მოგომარეობაში და გარდაცვლილა რამდენიმე საათის შემდეგ. გაკვეთისას აღმოჩნდა ქათმის კვერცხის ოდენა ებინოკოკის პარკი მოთავსებული მარჯვენა ჰემისფეროში. Sambri-ს მოყვავს შემთხვევა თავის ტვინის მრავლობითი ებინოკოკისა, რაც დამთავრულ სიკვდილით. საერთოდ მოელ მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც მოვიხსენიე Steffen და Goldenberg-მა შესძლეს შეეგროვებინათ სულ 21 შემთხვევა თავის ტვინის ებინოკოკისა და მათ შორის არც ერთი არ ყოფილა სრული ხანგრძლივი განკურნებით. ამრიგათ ჩეენი პირველი შემთხვევა სრული განკურნებით უნდა მივიჩნიოთ ძლიერ იშვიათ შემთხვევად.

დასასრულ ჩვენ შევვიძლია კსტევათ, რომ საქართველოში თავის ტვინის ებინოკოკის ½ უფრო დიდია ვიდრე სხვა ქვეყნებში. იგი ჩვენი მასალით უდრის 2,6 ამიტომ თავის ტვინის სიმსივნის დროს უნდა ვიფიქროთ ებინოკოზედაც. და ვაწარმოოთ ლაბორატორიული გაძოვლებები მისი გამოცნობისთვის, თუმცა ამისთვის ჯერ კიდევ უტყუარი საშვალება არა გვაქვს.

#### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა.

- O. Sandri Un cas d'echinocoque multiple du cerveau. რევ. Ner. Neurol. 1906 წ.
- Mousseaux, de gotard et Riche. Contribution à l'étude des kystes parasites du cerveau causes par le cysticerque du Taenia echinococcus. 3. Egulasarians. Un cas de Echinocoque cerebral. რევ. Kev. Reur. 1903 წ.
- Ciuffini. Contribution clinique et Anatomo-pathologique aux Echinocoques de la moelle et de la queue de cheval. R. Neur. 1914 წ.
- Mya et Codivilla. Contribution à l'étude des echinocoques cérébraux. რევ. Chipault-ის.
- Tilmans. Руководство по частной-хирургии.
- Надеждин К вопросу об эхинококковой болезни в России. Рус. Хир. арх. 1895 წ.
- Лисянский. К казуистике эхинококковой болезни. лет. Рус. хир. 1897 წ.
- Карпенченко. Протокол Кавк. Мед. Общест. 1891—1892 № 14.
- Д-р. Алфеев. К Казуистике эхинококка шен. 11. В. М. Баль. К вопросу об эхинококках и их лечение. Каз. Мед. Жур. 1926 წ.
- Д-р. Вакуленко. К вопросу об удалении всей левой доли печени при ольвелярном эхинококке и к казуистике операцией однокамерных эхинококков. Каз. М. Ж. 1924 т. № 10.
- Ольдштейн и Ойфебах. К. вопросу о самопроизвольном излечении эхинококка легкого. 14. Проф. Знаменский. К. вопросу о симптоматологии и диагностике эхинококковой болезни.
- Д.-Мед. Веселовзоров. К. казуистике эхинококков предстательной железы.
- Д-р. Ахметели. случай эхинококка головного мозга. до к. на зак.

ც. ხირ. 18. 9. ქ. ი. ოორთქიფანიძე, ღვიძლის ეხინოკოკის კაზუისტიკისათვის თან. მედ. № 3. 1925 წ. 19. ექიმ. გ. ხეჩინაშვილი. მრავლობითი ეხინოკოკის ერთი შემთხვევა. თან. მედ. № 3. 1924 წ. 19. Dr. Ter-Nersessow. Der Frage Der gegenwärtige stand der Echinokokkenerkrankung undihre operative Behandlung. Dent. Leit. für Chirurgie. 1927 წ.

**Др. П. П. Кавтарадзе.**

### Два случая эхинококка головного мозга.

Ст. ассистент. нервн. клиники.

Автор приводит два случая эхинококка мозга, из которых первый оперирован в 1924 году по поводу tumor cerebri (Hemiparesis dex., с головными болями, застойным соком и моральной тупостью). Во время операции лобнотемпоральной части была вылущена эхинококовая капсула.

После операции все патологические симптомы исчезли и больной чувствует себя по сие время вполне здоровым. Подобный случай с длительным выздоровлением без последствий автор считает редчайшим.

При втором с явлениями опухоли было подозрение на эхинококк мозга, при чем биологическая реакции на эхимококк были отрицательны. Аутопсия — эхинококк основания мозга. Автор на основание случаев эхинококка различных органов (из материала ц. к. и.) и опухолей мозга (материал нервной клиники), отмечает большую заболеваемость эхинококка мозга в (3%) сравнительно с другими странами, а потому при наличии и признаков опухолей мозга советует иметь ввиду эхинококк мозга.

P. KAVTARADZÉ.

Chef de la clinique neurologique.

Deux cas de kyste hydatique du cerveau.

So j'raportés deux cas de kyste hydatique du cerveau. Dans le premier le malade fut opéré en 1924 pour un tumeur cérébral (hemiparésis dextra avec céphalée stase papillaire et stupidité moral) Au cours de l'opération un écocta dans la partie fronto-temporale la capsule hydatique. Après l'opération tous les symptômes pathologiques disparurent et le malade est en pleine santé. Pour l'auteur ce cas avec une logue gérison sans aucun conséquence est fort rare. Dans la deuxième observation avec les symptômes d'un tumeur un soupçonna la kyste hydatique. Les réactions biologiques pour la kyste hydatique étaient négatives. L'autopsie dépista la kyste hydatique de la base du cerveau. Le basaut sur les cas. des kystes hydatique des divers organes et sur les cas de tumeurs cérébraux, l'auteur montre que la kyste hydatique du cerveau est plus fréquente en Géorgie (3%). Ce pourquoi, en cas de présence des symptômes d'une tumeur cérébral je conseille de ne pas oublier la possibilité de la kyste hydatique.

### მ. ცხადათა

უფროსი ასისტენტი.

(პოსპიტ. ქირურგ. კლინიკა ტფილ. უნ—ტის გამზე პროფ. მუხაძე).

## Ruggi—Reich-ის წესი თიაქარკვეთისა, როგორც არჩევანი ეთოდი ბარძაჭის თიაქრის ოკერატიულ მკურნალისა\*)

მუცელის ღრუს თიაქრების ოპერატიული წამლობა გულისხმობს ორი ძირითადი მოთხოვნილების შესრულებას: 1) თიაქრის პარკის სათანადო დამუშავებას და 2) მუცელის კედელში არსებულ თიაქრის ხვრელის დახურვას. თანამედროვე რადიკალურმა თიაქარკვეთამ გააფართოვა როგორც პირველი, ისე მეორე მოთხოვნილება: ის არ სთვლის საქმარისად თიაქრის პარკის მხოლოდ უბრალო გამოყოფა—მოკვეთას, არამედ მოითხოვს თიაქრის ძაბრის (*infundibulum*) მოსპობას და თიაქრის ტაკვის ზევით აწევით თიაქრის შიგნითა ჩგორთან მოდუნებულ პერიტონეუმის დაჭიმვა—გამაგრებას, რომ მუცელის ღრუში წნევის მომატების დროს ნაწლავის მარყუში არ შეჩერდეს ძაბრში და არ გამობეროს იგი ხელახლად (Kocher, Rotter, Hackenbruch, Perthes). ზოგი ავტორი თიაქრიდან განკურნებაში სწორედ ამ მომენტს აკუთხნებს მნიშვნელობას (Kocher, Hoffman და სხვები). რაც შეეხება მეორე მოთხოვნილებას, აქ მუცელის კედლის სუსტი ადგილის დახურვისათვის და გამაგრებისათვის ზოგი მიმართავს ფასციალურ პლასტიკას მუცელის გარეთა კუნთის აპონევროზის გაორკეცებით (Kocher, Stackenbruch და სხვები), უმრავლესობა კი კუნთოვან ელემენტებით სარგებლობს [(*m. obliquus abdom, intern., m. cremaster, m. m. pectineus, Sartorius* და სხვა). (Bassini, Girard, Brenner, Saerbruch.)].

ამნაირად ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მოთხოვნილება, რომელსაც დახმარების რადიკალიზმის მისაღწევათ კლინიკა უყენებს ყოველ თიაქარკვეთის მეთოდს: ერთის მხრივ—თიაქრის პარკის ძაბრის მოსპობა, მეორე მხრივ—თიაქრის არხის სანდოთ დახურვა ფასციალურ კუნთოვან ელემენტებით.

რაც შეეხება საზარდულის თიაქრებს—მოთხოვნილების შესრულება დაცულია ყველა ფართოდ გავრცელებულ თიაქარკვეთის მეთოდებით Bassini, Girard, Kocher, Hackenbruch) ან როგორც თვით მეთოდის ძირითადი მომენტი, ან როგორც სხვადასხვა სახის დამატება მისი (დამატება Barker'ისა—აჭიმვა და მიმაგრება თიაქრის ტაკვის ზემოთ—კუნთებ ქვეშ, დამატება Bruner'ის—დამატებითი პლასტიკა ბაგირაკის კუნთით და სხვა). დღეს საზარდულის თიაქრე-

\*) მოხსენდა ქირურგიის კონფერენციას 1929 წ.

ბის რადიკალური მეურნალობა ზემოთ აღნიშნულ მეთოდებით იძლევა ჭეშმარი-  
ტად განკურნებას  $90 - 97\%$ -ში, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ბარძაყის თიაქრებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის თქმა დღემ-  
დე ჯერ კიდევ შეუძლებელია: აქ უფრო ფართოდ მიღებულია ეგრედშოდებუ-  
ლი „მარტივი მეთოდი“, რომელიც საგრძნობლად მოკოჭლებს ძირითად მოთ-  
ხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ და იძლევა  $13 - 15\%$ -ში რეციდივს  
(Reschke).

როგორც ვიცით, მეთოდები ბარძაყის თიაქარკვეთისა არის მრავალი; არ-  
სებობს ამ მეთოდების როგორი კლასიფიკაციები, მაგ.. პროკუნინ-ის Peubel-ის  
და სხვების; ჩვენ აქ მოყიფანო კრიმოს-ის შედარებით მარტივ კლასიფიკაცი-  
ას, რომლის მიხედვით ისინი იყოფა ორ დიდ ჯგუფად: I—თიაქარკვეთა ინტრა-  
პერიტონეალური გზით, II—თიაქარკვეთა ეკსტრაპერიტონეალური გზით. უკა-  
ნასკნელი ჯგუფი თავის რიგათ იყოფა ორ ქვეჯგუფად: 1) თიაქარკვეთა ბარძაყის  
გზით და 2) თიაქარკვეთა საზარდულის გზით. მეორე ქვეჯგუფიდან უნდა ცალკე  
ჯგუფათ გამოიყოს ის მეთოდები, რომელთა ძირითად მომენტს, წარმოადგენს  
პლასტიკა სხვადასხვა სახით: როგორც აუტო-ფეხიანი ან თავისუფალი, ისე  
გეტერო-ალოპლასტიკის სახით.

ჩვენ აქ ზედმეტად მიგვაჩნია თვითეულ მეთოდის დაწვრილებითი გარჩევა,  
აღვნიშნავთ მხოლოდ მოკლეთ, რომ ინტრაპერიტონეალურ თიაქარკვეთას, მო-  
წოდებულს თავის დროზე Lawson—Tait-ის მიერ (1891 წელში) და ამ უკანას-  
კნელ წლებში (1918 წ.) კვლავ წამოყენებულ Oelecker-ის მიერ, აქვს აზრი და  
მიზანშეწონილობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ბარძაყის თიაქრიან ავად-  
მყოფს უკეთებთ სხვადასხვა მიზეზების გამო (კისტომა, გინეკოლოგიური ოპე-  
რაციები და სხვა) ლაპარატომიას და გზადაგზა კეურავთ აგრედვე მუცელის  
ლრუდან თიაქრის შიგნითა რგოლსაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიზანშეწო-  
ნილობა დამყარებულია მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის მოვლენაზე და ასეთ  
ცემობულების რიცხვი საქონდ დიდი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება პლასტიკურ მეთოდებს, რა თუ ბარძაყის ისინი გაკეთე-  
ბული—საზარდულის თუ ბარძაყის, მათ შესახებაც უნდა აღინიშნოს ის, რაც  
მრავალჯერ იყო დადასტურებული, როგორც ექსპერიმენტალურად, ისე კლინი-  
კურად, რომ უკეთიანი თუ უფეხო ტრანსპლანტაციი ხშირად განიცდის გადაგვა-  
რებას: კუნთოვანი—კუნთის ატროფიას, ფასციოზური—ნაწიბუროვანს, და სი-  
მაგრის მხრივ ველარ ასრულებს თავის დანიშნულებას (Battle, Abramkanov).  
სწორედ ამიტომ ამ ჯგუფის მეთოდები ვერ გახდა თიაქარკვეთის ნორმალურ  
მეთოდათ, ვერ მოიპოვა ფართო ასპარეზი და ჩვენებას მათი გამოყენებისათვის  
წარმოადგენს კერძოთ ამა თუ იმ შემთხვევის განსაკუთრებული პირობები.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, დღემდე ფართოდ მიღებულ მეთოდათ უნდა  
იყოს ცნობილი 2 მეთოდი: ეგრედშოდებული „მარტივი მეთოდი“, როდესაც  
თიაქრის პარკის გამოყოფის და მოკეთის შემდეგ იხურება მხოლოდ ბარძაყის  
არხის გარეთა რგოლი—ერთის მხრივ პუბარტის იოგის—მეორე მხრივ fascia  
pectinea და process-falciformis'ის ერთი მეორესთან მიკერებით. თუ ჩვენ ამ  
მეთოდს შევუფარდებთ საზარდულის თიაქარკვეთას, მეთოდი ანალოგიურია

იმისი, როცა ჩვენ ვხურავთ საზარდულის არხის მხოლოდ გარეთა რგოლი, რაც წარმოადგენს თვით თიაქარკვეთის დროსვე ინტერსტიციალურ თიაქრის წარმოშობის პირობების შექმნას. გარდა ამისა თვით ქსოვილებიც (fascia pectinea, process-falciformis), რომლებითაც იხურება გარეთა რგოლი თიაქრის რეციდიგის საწინააღმდეგოთ არის ნაკლებ უნარიანი (Sudeck).

მეორე მეთოდი დამუშავებულია Bassini-ს მიერ და ატარებს მის სახელს. აქ ბარძაყის ხვრელის დახურვა კეთდება უფრო საიმედოო და უფრო მაგარი ქსოვილებით: ღრმა ნაკერებით ბუბარტის იოგი მიემაგრება Cooper-ის იოგს, ზერელე ნაკერებით კი—ზედა რქა proc. falciformis-ის—fascia pectinea-სთან. მაგრამ ასეთი ღრმა ნაკერების დადება ბარძაყის მხრიდან გასაჭირია ფართო არხიან თიაქრების დროსაც, ჩვეულებრივ ვიწრო არხიან თიაქრების დროს კი—შეუძლებელი. ამიტომაც არის, რომ უფრო ფართოდ გავრცელებულია „მარტივი მეთოდი“, რომელიც, როგორც ზემოდ იყო უკვე აღნიშნული, Pels-Lesden-ის კლინიკის მასალით იძლევა რეციდიგს 13,5%-ში.

გადავლივარ საზარდულის გზით ბარძაყის თიაქარკვეთაზე. ამ გზას უკვე ძველადვე ქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება. ჯერ კიდევ Cooper-მა 1834 წელში და Anaudal-მა 1876 წელში მივითოთხს ამ გზაზე, მაგრამ ანატომიური დასაბუთება და ტეხნიკური დამუშავება მოგვცა Ruggi-მ გვამებზე სათანადო გამოკვლევებით (1892 წელი). სწორედ ეს გამოკვლევები დაედო საფუძვლად აღნიშნულ გზაწესს. შემდეგ დამუშავება ტეხნიკის ხერივ შემოიტანა მეთოდში Ruggi-ს მოწაფემ—Parlavecchio-მ. Parlavecchio-ს ცვლილება დამატებით Ruggi-ს წესმა შედარებით უფრო მეტი მომხრები მოიპოვა, ასე რომ ჩვენ უკვე რუსულ ლიტერატურაშიც ვპოულობთ ამ გზაწესით გაეკთებულ ოპერაციების აწერას. ასე, ძაგ., 1915 წელში დიტერიქს-ი აქვეყნებს Parlavecchio-ს წესით გაკეთებულ ბარძაყის თიაქრის ოპერაციის ერთ შემთხვევას, 1926 წელში კი—ექ. პეტრაშევსკაია რაძოდნიმე ათეულ შემთხვევას. შემდეგი ცვლილება მეთოდში შეიტანეს Tuffier, Lottheisen-მა (1898 წელი), ამ უკანასკნელმა პირველმა ისარგებლა მუცლის შიგნითა კუნთებით ბარძაყის შიგნითა რგოლის კუნთოვან ძგიდეთი დახურვისათვის. დღეს-დღეობით უკანასწელი ჩამოყალიბება ეკუთვნის Reich-ს, რომელმაც ეს წესი საკუთარი ცვლილებების დამატებით გამოაქვეყნა 1911 წელში.

Ruggi-ს მეთოდი Reich-ის ცვლილებებით შესთგება შემდეგ მომენტებისაგან: 1) გაკვეთა კანის საზარდულის იოგის გასწროვ—ერთი სანტიძეტრით მის ზემოთ და გაბსნა საზარდულის არხის, როგორც Bassini-ს წესით საზარდულის თიაქარკვეთის დროს. უნდა გამ აიყოს ანატომიური ერთეულები: გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზის ორივ ნაჭერი და მუცლის ღრმა კუნთები—შიგნითა ირიბი და გარდი-გარდმო — რომელთ გამოყოფა მეტ თავისუფლებას იძლევა კუნთების — Cooper-ის და პუბარტის იოგთან მიახლოვება-მიკერების დროს. ამავე დროს თავისუფლდება გარდ — გარდმო ფასციაც, რომლის გაკვეთა გვაძლევს საშუალებას თავისუ ლად მიუდევთ ბარძაყის თიაქრის ყელს და თვალშინ დავიკაჭოთ თვით ბარძაყის დიდი სისხლძარღვები. მეორე მომენტი: ბარძაყის თი ქრის პარკის ამოღება საზარდულის არხის განაკვეთში და თია-

ქრის პარკის დამუშავება, რომლის ტაკეს ასწევენ ზექოთ—მუცლის კუნთების ქვეშ გატარებით და მიამაგრებენ იქ. ბარძაყის თიაქრის ამოლება საზარდულის არხის განაკვეთში ხდება ადვილად, მაგრამ ოჯ რაიმე მიზეზების გამო (უმთავ-რესალ—ნაწიბურების გამოყოფა გაძნელდა, მაშინ კანს კავით გადასწევენ ბარ-ძაყის ნაკეცის ქვემოთ, გამოყოფენ აქედან თიაქრის პარკს და აადვილებენ ამით საზარდულის მხარეზე მის გატანას. შეიძლება აგრეთვე თვით ბარძაყის მხრიდანაც დამუშავდეს თიაქრის პარკი და მოიკვეთოს—ამ შემთხვევაში ტაკვის გატანა უკვე სრულიად თავისუფლად ხდება. ამ მომენტის დროს უყრადღება უნდა მიეკცეს v. epigastrica inferior-ს, რომლის ლერო გადადის გარედან შიგ-ნით და ზემოთ თიაქრის ყელზე და რომლის ტოტები მრავლათ მოდიან თია-ქრის პარკის კედელში. ჰემოსტაზი უნდა იყოს სრული.

შემდეგ მე-3 მომენტი შედგება ბარძაყის არხის ორმაგ დახურვისაგან აბრეშუმის ძაფის ფანძოვან ნაკერებით. ამისათვის აიწევა ზემოთ სათესლე ბა-გირკი, როგორც ბასინის მეთოდის დროს და პირველი რიგის ნაკერები ტარ-დება მუცლის ლრმა კუნთების, Cooper-ის იოგ-ს და ცუპარტის იოგის ნაპი-რებში. 3—4 კვანძი ასეთ ხაკერისა სრულიად ხურავს ბარძაყის და საზარდულის არხს. უნდა აღინიშნოს, რომ საპასუხისმგებლოა გარეთა კვანძი, რომელიც ბარ-ძაყის კვინის მეზობლათ ტარდება. თვით ვენა ნემსის გატარების დროს უნდა იყოს დაცული მასზე დადებულ თითოთ, ნაკერი უნდა გატარდეს ვენისაგან  $\frac{1}{2}$ — $\frac{3}{4}$  სანტიმეტრის მანძილზე რომ გაკვანძის შემდეგ ერთის მხივ—არ გამო-იშვიოს ბარძაყის კვინის შევიწროება და სისხლის სტაზი, მეორე მხრივ—არ დასტოვოს კვინის და კვანძის შუა თავისუფალი ადგილი და ამით ხელი არ შე-ეწყოს რეციდივის წარმოშობას. ტეხნიკის გასააღვილებლად მიზანშეწონილია ნაკერების დადება შემდეგის რიგით: ძაფების გატარება უნდა მოხდეს გარე-დან (ვენიდან)—შიგნით, ყველა ნაკერის გატარების შემდეგ კი—მათი გაკვან-ძვა ძიგნიდან გარეთ (უკანასკნელად შეიკერება ვენის გვერდზედ მდებარე კვანძი).

მეორე მომენტი: სათესლე ბაგირაკის მოთავსება ახალ კედელზე, მის ზე-მოთ გაკერვა გარეთა ირიბი კუნთის აპინევროზის, როგორც Bassini's-ს წესში და კანის ჭრილობის დახურვა.

თანახმად Reich'-ისა, მეთოდის უპირატესობას შეადგენს: 1) თიაქრის ზეგ-თავის დამუშავების უკეთესი შესაძლებლობა. მაგ., იმ შემთხვევებში, როდე-საც ბადექონი შეხრდილია ზეგნითა რგოლის არეზი, მისი განთავისუფლება ძლიერ ძნელია ბარძაყის მხრიდან, საზარდულის მხრიდან კი—ეს კეთდება ად-ვილათ. 2) თვით თიაქრის პარკის დამუშავება შესაძლებელია გაცილებით უფ-რო ადვილად და უკეთესათ, მისი ძალალი გამოყოფა და ძაბრის მოსპობა ტა-კვის ზეგით აწევით და კუნთებთან მიმარტებით არავითარ სიძნელეს არ წარ-მოადგენს. 3) ბარძაყის არხის დახურვა ხდება საზარდულის გზით გაცილებით უფრო უკეთ და სანდოთ, ვიძრე ბარძაყის გზით, რომლის დროს შიგნითა რგო-ლის დახურვა პუპარტის და Cooper'-ის იოგის ერთი მეორესთან მიკერებით ტეხნიკის მხრივ შედარებით ბეგრათ რთულია და ზოგიერთ შემთხვევაში შეუ-ძლებელიც. 4) შემთხვევითი ხასიათის უპირატესობას წარმოადგენს ერთდა-



იმავე მხრის საზარდულის თიაქრის არსებობა — ასეთ შემთხვევაში ამ მეთოდით თიაქარი ერთბაშად ისპობა.

Ruggi—Reich'-ის მეთოდის შესაფასებლად ჰოსპიდალურ ქირურგიულ კლინიკაში 1927 წლის მეორე ნახევრიდან 1928 წლის ნახევრამდე გაკეთებული იყო ბარძაყის თიაქარებითა ამ წესით 14-ჯერ\*).

მასალა ეკუთვნის 10 დედაკაცს და ოთხ მამაკაცს. ასაკი მათი იფარგლებოდა 42—55 წლით. ამ 14 შემთხვევიდან—4 იყო ჩაჭედილი, დანარჩენი 10—თავისუფალი. შედევი 12 უტამპონოთ გატარებული შემთხვევის—*Prima intentio* და განკურნება. დანარჩენ 2 შემთხვევიდან—1-ში ადგილი ქონდა პოსტოპერაციულ ხანაში შარდის ბუშტიდან სისხლდენას, რისთვისაც საჭირო გახდა შარდის ბუშტის დათვალიერების მიზნით ოპერაციის დღესვე ჭრილობის გახსნა და თუმცა შარდის ბუშტი მთელი აღმოჩნდა—შემთხვევა გატარებული იყო ტამპონით და შეხორცდა მეორადათ (შემთხვევა აწერილია ექ. ვეოხვაძის მიერ). მეორე შემთხვევა ეკუთვნოდა 46 წლის მამაკაცს და წარმოადგენდა ჩაჭედილ მარცხენა ბარძაყის თიაქარს, რომლის ჩაჭედა მოხდა 6 საათის წინ. ოპერაციის შემდეგ განვითარდა დიფუზური პერიტონიდი და სეპსისი, რამაც მესამე დღეს იმსხვერპლა ავადმყოფი.

ამნაირად, 14 შემთხვევიდან— ერთ შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ ტამპონის ხმარების გამო—მეორადი შეხორცებს, რაც უშუალოდ მეთოდის თავისებურობისაგან არ იყო გამოწეული. მეორე შემთხვევაში კი—*exitus'*—ჩაჭედილი თიაქრის შემდევ. ეს უკანასკენელი შემთხვევაც, ჩვენის აზრით, უნდა დაბრალდეს არა თვით მეთოდს, არამედ ტეხნიკის ამ შემთხვევაში არაწესიერად გატარებას. საქა იმაშია, რომ თვით Reich'-ის აზრით ჩაჭედილი თიაქრის დროსაც საზარდულის მეთოდს უპირატესობა აქვს ბარძაყის გზით მეთოდი წინაშე, ოლონდს საჭიროა სიფრთხილის დაცვა: ახალ ჩაჭედების შემთხვევებში კანის განაკვეთი უნდა გადაწეული იქნას ქვემოთ და თიაქრის პარკის გამოყოფა და დამუშავება უნდა მოხდეს ბარძაყის მხრიდან და მხოლოდ ასეპტოკის აღდგენის შემდეგ როგორც შიგთავსი, ისე თიაქრის პარკის ტაკვი გატანილი საზარდულის ჭრილობაში. აშკარად დაგვიანებულ შემთხვევებში—როდესაც ადგილი აქვს ნაშლავის ნეკროზის ნიშნებს და თიაქრის პარკის ინფექციას—უნდა გაკეთდეს საზარდულის მხრივ ლერნიო—ლაპარატემია, რტბზეც სუფთა ფარგლებში ნეკროტიული მარყუშებისა, და დახურვა პერიტონეუმის ლრუსი და მხოლოდ ამის შემდეგ—გაკვეთა პუპარჩის ოგის და თიაქრის პარკის გაუხსნელად მისი მთლიანი მოლება შიგთავსთან ერთად. ასე თუ ისე, ცხადია, რომ საგვეო შემთხვევაში როგორც საბოლოო დათვალიერება, ისე მუცულის ლრუს გასუფთავება და ტამპონადა გაცილებით უფრო მიზანშეწონილია და ადგილი ფართოდ გახსნილ საზარდულის არებან, ვიდრე ბარძაყის ვიწრო არხიდან. ჩვენ შემთხვევაში, რადგან ჩაჭედა იყო მხოლოდ 6 საათის და რამე გართულების ნიშნები ჯერ კიდევ არ აღინიშნებოდა, ჩვენ გავაკეთეთ თიაქარებითა ტიპიურად: საზარდულის არხის გახსნის შემდეგ გავაგანიერეთ შიგნიდან რგოლი და გავიტანეთ თიაქრის პარკი საზარდულის ჭრილობაში. გატანის დროს თიაქრის

\* ) დღეს ასეთ ავადმყოფების რიცხვი უფრო მეტია,

წყალი გადავიდა მუცლის ღრუში და თუმც ჩაჭედილი მარყუშის დათვალიერებამ არ აღმოაჩინა ღრმა ცვლილებები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თიაქრის წყალი იყო უკვე სეპტიური და სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია დიფუზური პერიტონიტი. ჩვენ რომ მეტის სიფრთხილით მოვქცეულიყავით და ვიდრე ჩამჭედავ რგოს გაეხსნიდით — გაგვეხსნა ბარძაყის მხრიდან თიაქრის პარკი, დაგვეცალა ის თიაქრის წყლიდან, ფიზიოლოგიურ ხსნარით გაგვეწმინდა ნაწლავის მარყუში და ისე ჩაგვეშვა მუცლის ღრუში — შესაძლებელია, დიფუზურ პერიტონიტს ადგილი აღიარ პქოტოდა. ამნარიდ არც ერთი გართულება ჩვენ მიერ მიღებული ჩვენის აზრით არ შეიძლება დაბრალდეს მეთოდის თავისებურებას.

მიუხედავად ამისა ჩვენ გვიხდა მაინც აღნიშნოთ სუსტი მხარეები, რომელიც ჩვენი მასალის შესწავლით, ჩვენის აზრით, უმნევა მეთოდს: 1) მეთოდი რაც გინდა იყოს მაინც როთულია და მოითხოვს ოპერატორისაგან მეტ დახელოვნებას და გამოცდილებას, ვიდრე „მარტივი მეთოდი“. 2) ქსოველების ოპერატოული ტრაუმა უნდა იყოს მინიმალური, ჰემოსტაზი — სრული და ასეპტიკული ზედმიწევნითი, რადგან მართულების დროს დაჩირქება ხდება დიდ სილიმეში, დაჩირქების შედეგათ კი — ნაცვლად არსებულ ერთ ბარძაყის თიაქრისა — შეიძლება წარმოიშვას ორი — ბარძაყის და საზარდულის თიაქარი. 3) მოხუცებულ ასაკში, როდესაც ავადმყოფი უკვე აღარ ეწევა მძიმე ფიზიკურ მუშაობას — ნაკლებ ტრავმიან მაკრაციას (მაგ. „მარტივ მეთოდს“) უნდა მიეცეს უპირატესობა. აქ მაგრად დახურვა არხისა უნდა ჩაითვალოს ზედმეტათ. 4) ჩაჭედილ თიაქრების დროს — ასეპტიკის აღდგენა უნდა იყოს უაღრესი.

არსებითად ე. ი., თუ ჩვენ შევქელით ცველა ეს პირობითი ხასიათის სისუსტის გადაღახვა — მეთოდი სათანადო შემთხვევებში სავსებით დამაკმაყოფილებელია და, თანახმად Reich'-ის აზრისა, ჩვენც ვსოდეთ Ruggi—Revch'-ის მეთოდს ბარძაყის თიაქარკვეთის მეთოდებ შორის — არჩევან მეთოდათ.

**Д-р. М. И. Чхакая.**

Старший Ассист. Клиники.

Операция Ruggi-Reich-a при бедренных грыжах, как метод выбора. Из госпитальныи хирурги. клиники Г. М. Тиф. Гос. Ун. Директор-Проф. Г. М. Мухадзе.

Автор на основании литературных данных и собственного наблюдения (14 случаев) считает операцию Ruggi-Reich-a хотя по более сложной, чем простые методы применяемые большинством хирургов, но за то более обоснованной ~~анатомически~~.

Dr. M. I. Zchakaja.

1-ter Assistant der Klinik.

Die Operation nach Ruggi-Reiche bei Hernia femoralis als Ausroahlmehode.

Aus der chirurgischen Hospitalklinik der Staatsuniversität Tiflis; Direktor Prof. G. M. Muchadse.

Der Verfasser kommt auf Grund der entsprechenden Literatur und der eigenen Beobachtungen (14 Fälle) zu den Schluss, dass die Operation nach Ruggi-Reich wohl komplizierter ist als die genannten von den meisten Chirurgen auger wundten Mesothaden, daturaber anatomisch besser begründet.

## ს. ჩახუნაშვილი

კლინიკის ორდინატორი.

(პროპედევტიული ქირურგიული კლინიკიდან დრ. გამგე პროფ. ალ. მაჭავარიანი).

## გარეშე სეული საეულები პერიტონეულის ღრუში \*

გარეშე სხეული შეიძლება მოხვდეს პერიტონეულის ღრუში კუჭ ნაწლავის არხით, ტრავმული გზით ან ამ ღრუში ოპერაციის დროს. სტატისტიკურ ცნობების მიხედვით (Newgebauer-ი, Woltler-ი, Lublain-ი, ალბიცკი) პიოველი აღვილი ამ უკანასკნელ ჯგუფს უკავია. Newgebauer-მა (1908 წ.) შეაგროვა ცნობები ლიტერატურიდან მუცლის ღრუში დატოვებულ გარეშე სხეულების 242 შემთხვევის შესახებ. ალბიცკი-ს კი თავის საღისერტაციო შრომაში მოყავს ნაკრები სტატისტიკური ცნობები 315 შემთხვევის შესახებ. მრავალი ასეთი შემთხვევა რჩება გამოუქვეყნებელი და ლიტერატურული არ არის აღწერილი. საერთოდ Ruprecht-ის ცნობების მიხედვით მუცლის ღრუში გარეშე სხეულების დატოვების სიხშირე უდრის  $1\frac{1}{10} - 1\frac{1}{5}$ -ს ყველა ლაპარატომიებისას და პირდაპირ პროპორციონალურია ოპერაციის სირთულესთან. ვინაიდან დედაკაცთა შორის ხშირია მცირე მენჯის ღრუში მოთავსებული დიდი სიმსიცნეები, საჭიროებები რთულ ოპერაციის გაკეთებას; ამიტომ გარეშე სხეულებიც სქესის მიხედვით დედაკაცთა შორის უფრო ხშირი შემთხვევაა. სტატისტიკური ცნობების მიხედვით სხვადასხვა გარეშე სხეულთა დატოვების სიხშირე მუცლის ღრუში შემდეგნაირად არის განაწილებული: 50% უწევს დოლბანდს, 30% ღრუბელს და 15—20% — სისხლის ძარღვის დამჭერ იარაღებს. აღწერილია შემთხვევები, როდესაც მუცლის ღრუში აღმოუჩენიათ ისეთი საგნები (სათვალე, ბეჭდები), რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ საოპერაციო იარაღებთან. ტრავმული გზით ხვდება პერიტონიულის ღრუში: ტყვია, ყუმბარის ნატეხი და სხვ. პ. ი. ტოხვემა ერთ ავადმყოფს ამოულო მცირე მენჯის ღრუდან გადატეხილი ფიწალი, რომლის სიგრძე 37 სანტ. უდრიდა და სისხო კი 9 სანტ. ანალოგიური შემთხვევები ლიტერატურული მრავალია აღწერილი (Барсук-ის Поленов-ის გაუერ-ის მიერ).

კუჭ-ნაწლავის ტრაქტით გარეშე სხეული მუცლის ღრუში იშვიათად ხვდება. თვით კუჭ-ნაწლავის ტრაქტში გარეშე სხეულები ხვდებიან უმთავრესად გადაყლაპვის საშუალებით. (სხვა გზაა — ჭრილობა), რომელსაც შეიძლება ან სრულიად შემთხვევითი ხასიათი ქონდეს (მაგ. კამის, თამაშობის დროს), ან განზრას იყოს გადაყლაპული (მაგ. მუშები ოქროს ფულის მჭრელი).


\* ) მოხსენებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის დასტაჟართა კონფერენციაზედ.

ხშირი არის სხვადასხვა საგნების ჩაყლაპვა ფსიქიურად. დაავადებულების მიერ. საილიუსტრაციოთ მოვიყვანთ რამდენიმე შემთხვევას. ფრიკერ-ს ოდესაში ერთ ფსიქიურ ავადმყოფისათვის ამოუღია კუჭის გაკვეთის წესით 37 ცალი სხვადასხვა გარეშე სხეული, რომელთა შორის აღსანიშნავია ერთი ჩანგალი, ორი სუფრის კოვზი, რამდენიმე ნემსი და სხვ. Otto - ს - 395 ცალი ნემსი, რომელიც ავადმყოფს გადაუყლ პავს სხვადასხვა ღროს (ამოუღია კუჭის გაკვეთის გზით) ლარინ-მა ერთ ავადმყოფს ორჯერ გაუკეთა კუჭის ოპერაცია, რომელსაც ორჯერ ჩაეყლაპა 400,0—400,0-დე ლურსმანი. კუჭში მყოფ გარეშე სხულებს შეეძლია მისი პერფორაცია; მაგრამ, ვინაიდან კუჭი შედარებით უფრო გაძლევა და ამტანია, უფრო ხშირად ხდება ნაწლავის პერფორაცია და ამ გზით გარეშე სხეულები ხვდება პერიტონეუმის ღრუში. ხშირად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის საშუალებით ისინი სტოვებენ მუცლის ღრუს. ასეთი შემთხვევები ლიტერატურაში მრავალია აწერილი (Разумовски - Wolfier Lieblain - ის — სხვ.). და რამდენიმე შემთხვევა ჩვენ კლინიკასაც აქვს. თუ რა გართულება შეიძლება მოყვეს გარეშე სხეულის ნაწლავში მოხვედრისას, ამ მხრით აღსანიშნავია პროფ. Разумовски-ს შემთხვევა. ერთ ავადმყოფს ბოთლიანი წამალი შეეგვანა ხელით უკანა ტანში: ბოთლი უკანა ტანიდან ვეღარ გაძოელო და მოთავსებული იყო კლინიკაში შინაგანი გაჭედვის მოვლენებით. პრ. Разумовский განცვითებული აპერაციის დროს, როდესაც მან მუცლის ღრუში ნახა განვალით სავსე ბოთლი, რომელსაც გახევრიტა ნაწლავის კედელი და გამოსულიყო მუცლის ღრუში. აგრეთვე საინტერესოა ექ. Пеоненеко - ს შემთხვევა, რომელშიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის საშუალებით მოხვედრილმა თევზის ძვალმა გახვრიტა ნაწლავის კედელი, პერიტონეუმი და მუცლის წინა კედელში ცრუ სიმსივნე გამოიწვია.

გადავდივართ ჩვენი კლინიკის ორ შემთხვევაზე: ავადმყოფი X 1923 წ. აგვისტოში მოვიდა ქირ. კ-ში თავისი ფეხით, გაჭედილ თიაქრით, ნაშუადუვის 3 საათზე. გასინჯვისას აღმოჩნდა მარჯვენა სახარდულის არეში ქათმის კვერცხის ოდენა სიმსივნე, შეზღუდული მოძრაობით. სიმსივნე მტკიფენებულია, კანი მასტედ მოძრავი და ფერუცელებია. ავადმყოფი დადის, მხოლოდ სიარულის დროს სახარდულის არეში გრძნობს ტკივილს. მაჯა ზომიერათ აჩქარებულია. ავადმყოფს გადაუტანია მუცლის ტიფი და 6 დღეა, რაც გაწერილა საავადმყოფოდან. სახლში მისვლის დღეს საღამოს კარგად უვაჭმია (ერთი ახალი ქათამი შეუჭამა) და მეორე დღეს მუცლის ტკივილი უგრძებია, რომლის ლოკალიზაცია თანდათან მეტი ინტენსივობით გამოსახულა მარჯვენა სახარდულის არეში, სადაც იმავე დროს შეუმჩნევია ამ მიდამოს ამობურცვაც. ეს ტკივილი, რაც დრო გადიოდა უფრო მატულობდა. განვალზე გასვლა უჭირდა. მას მოუმართავს საავადმყოფოსათვის. დასმულია დიაგნოზი გაჭედილი თავების. სასწრავო ოპერაცია თიაქარ-კვეთა (პრივ. დოკ. ერისთავის მიერ). თიაქრის სიმსივნე მცერივი და მოძრაობა შეზღუდის. პარკის გაკვეთის შემდეგ იქიდან გამოიდა მეტად მყრალი, დაახლოებით ორი სუფრის კოვზი იხტოობული სითხე. პირველი შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ნაწლავი გაიკვეთა, მაგრამ თითოები გასინჯვით გამოირკვა, რომ ამ არეში წამოჩილია 3—4 სანტ. სიგრძის მაგარი სხეული, რომლის თითოები გასინჯვისას, როგორც ეს სხეული ისე ის ქსოვილიც, რომელშიაც ის იყო მოთავსებული, მოსცილდა სახარდულის არხის შიგნითა გრგოლს და შეცურდა მუცლის ღრუში. ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ გაჭედილი და პერფორაციაქმნილი ნაწლავი განთავისუფლდა და ჩაბრუნდა მუცლის ღრუში. მუცლის ღრუს ინფეციის საშიროების გამო, გაიკვეთა შეგნითა გრგოლი, დაჭერილ იწნა ახლო მდგრადე წვრილი ნაწლავის მარყუში, რომელშიდაც მოსჩანდა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ქათმის ძვალი, რადგან დაზიანების გამოიწვია მოხვედრის დროს და მუცლის გადაუტანია მარჯვენა სახარდულის არეში. კლინიკაში მოვიდა ქირ. კ-ში თავისი ფეხით, გაჭედილ თიაქრით, ნაშუადუვის 3 საათზე. გასინჯვისას აღმოჩნდა მარჯვენა სახარდულის არეში ქათმის კვერცხის ოდენა სიმსივნე, შეზღუდული მოძრაობით. სიმსივნე მტკიფენებულია, კანი მასტედ მოძრავი და ფერუცელებია. ავადმყოფი დადის, მხოლოდ სიარულის დროს სახარდულის არეში გრძნობს ტკივილს. მაჯა ზომიერათ აჩქარებულია. ავადმყოფს გადაუტანია მუცლის ტიფი და 6 დღეა, რაც გაწერილა საავადმყოფოდან. სახლში მისვლის დღეს საღამოს კარგად უვაჭმია (ერთი ახალი ქათამი შეუჭამა) და მეორე დღეს მუცლის ტკივილი უგრძებია, რომლის ლოკალიზაცია თანდათან მეტი ინტენსივობით გამოსახულა მარჯვენა სახარდულის არეში, სადაც იმავე დროს შეუმჩნევია ამ მიდამოს ამობურცვაც. ეს ტკივილი, რაც დრო გადიოდა უფრო მატულობდა. განვალზე გასვლა უჭირდა. მას მოუმართავს საავადმყოფოსათვის. დასმულია დიაგნოზი გაჭედილი თავების. სასწრავო ოპერაცია თიაქარ-კვეთა (პრივ. დოკ. ერისთავის მიერ). თიაქრის სიმსივნე მცერივი და მოძრაობა შეზღუდის. პარკის გაკვეთის შემდეგ იქიდან გამოიდა მეტად მყრალი, დაახლოებით ორი სუფრის კოვზი იხტოობული სითხე. პირველი შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ნაწლავი გაიკვეთა, მაგრამ თითოები გასინჯვით გამოირკვა, რომ ამ არეში წამოჩილია 3—4 სანტ. სიგრძის მაგარი სხეული, რომლის თითოები გასინჯვისას, როგორც ეს სხეული ისე ის ქსოვილიც, რომელშიაც ის იყო მოთავსებული, მოსცილდა სახარდულის არხის შიგნითა გრგოლს და შეცურდა მუცლის ღრუში. ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ გაჭედილი და პერფორაციაქმნილი ნაწლავი განთავისუფლდა და ჩაბრუნდა მუცლის ღრუში. მუცლის ღრუს ინფეციის საშიროების გამო, გაიკვეთა შეგნითა გრგოლი, დაჭერილ იწნა ახლო მდგრადე წვრილი ნაწლავის მარყუში, რომელშიდაც მოსჩანდა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ქათმის ძვალი, რადგან დაზიანების გამოიწვია მოხვედრის დროს და მუცლის გადაუტანია მარჯვენა სახარდულის არეში.

ბული ნაწლავის მარყუში დაზიანების ირგვლივ ანთებად ცვლილებებს განიცდიდა, შექმრა შეუძლებლად ვცანით და დაახლოვებით 8—10 სანტ. სიგრძეზე მოვახდინეთ რეზექცია, ნაწლავი შეიკერა გვერდითი ანასტომუზით (Side-to-side).

სურათი



ფას. წერილი

ჭრილობა შევიწროებდა და ჩაიღო ტამბონი. ამოკვეთილ ნაწლავის მარყუშის გავეთტების მართვის მასში იმუნფება ქაომის კინკიბა მთლიანად, რომლის სიგრძე 3 ნახევარ სანია უდირის და ტატა შეუ მანძილი — 2 სანტ. ერთი ტატი კინკიბისა სხეულით მოთავსებულრ ნაწლავის შიგნით, ხილო მეორე ტოტს და კინკიბას თავს მოუხდენია ნაწლავის კედლის პეთ. ფორაცია და გამოსულა ნაწლავის სანათურიდან. ალბათ ძალი ნაწლავებში წასულა ტოტებით და, როგორც სხანს ცალი ტოტი და თავი მოხვედრია ნაწილიაბრივ გაჭედილ წერილი ნაწლავის არეში, სადაც მოუხდენა ნაწლავის პერფორაცია და გამოსულა თიაქრის პარტში. სხვა პირობებში შეიძლება ნაწილიაბრივათ თიაქრის გაჭედილ ნაწლავის მარყუში თავისითავად გასწორებულიყო, მაგრამ ნაწლავის პერფორაციის შემდევ ირგვლივ რეაქციულ ანთების გამო მოხდა მისი ფიქსაცია. ავადმყოფი გაურთულებლად განიკურნა და გაიწერა 3 კვირის განმავლობაში.

მ ე ო რ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა. ავადმყოფი მ. ნ. (4 წლის ბავშვი) ლოგინიდან ჩამოსვლისას ჩარჭობია ნემსი ილეო-ცეკალურ მიდამოში. ნემსი არ ისინჯება. გადადაბულია სურათი რენტგენით. ნემსი აღმოჩნდა ილეო-ცეკალურ მიდამოში დაახლოვებით lin. spina umbilicalis შეუ საზღვარზე, გაუკეთდა ოპერაცია ეთერის ნარკოზის ქვეშ. (პრ. დოც. ერისთავის მიერ). ირიბი განაკვეთი ნაჩხვლეტის არეში. ცნომ-კუნთოვან ქსოვლში ნემსი არ აღმოჩნდა, მხოლოდ შემჩნეულ იქმნა ნაჩხვლეტის შთაბეჭდოლების დაზიანება გარე ირიბი კუნთის ქრთ ადგილას, რამაც დაგვიძადა ეჭვი მუცლის ღრუში ნემსის მოთავსების შესაძლებლობაზე. გაიკვეთა პერიტონეუმი. მუცლის ღრუს დათვალიერების დროს აღმოჩნდა დაახლოვებით ბაგშვის მუტრის აღენა დახვეულა დიდი ბაზე-ქრიზი, რომლის გასინჯვის დროს გამოირგვა, რომ ნემსი მთლიანად გახვეულია მასში. ამოღებულ იქმნა ნემსი და წერილობა დაიხურა. კან-ქვეშა ცხიმოვან ქსოვილში აიდო ტამბონი. ავადმყოფი გაურთულებლათ განიკურნა და გაეწერა მეათე დღეს 24 იგნისს 1926 წელს.

ეხლა უნებურად იბადება საკითხი, – რა ემართება გარეშე სხეულს, როცა  
 ის ამა თუ იმ გზის საშუალებით ხვდება პერიტონეუმის ღრუში. ეს საკითხი სა-  
 ქმაოდ გაშუქებული და შესწავლილია, მთელი რიგი საინტერესო ექსპერიმენ-  
 ტალური შრომებით Heger, Heger Gilbert, Sabagwer, შერმან,  
 დოც. წულუკიძე და ცეცხლაძე, რომელებიც მიგვითითებენ თავიანთ ექსპერი-  
 მენტალურ შრომებში იმ დამცველობითი ფუნქციის შესახებ, რომელსაც იჩენს  
 დიდ ბადე-ქონი გარეშე სხეულების პერიტონეუმის ღრუში მოხვედრის დროს.  
 Heger-მა და Heger Gilbert-მა 1909 წ. ძალებს, ბაჭიებს და ზღვის  
 გოჭებს შეუშაბუხეს პერიტონეუმის ღრუში ფიზიოლოგიური ხსნარი, რომელ-  
 შიაც გახსნილი იყო ცხოველური ნახშირი. 2—3 დღის შემდეგ ცხოველები  
 გაკვეთეს და ნახეს, რომ დიდ ბადე-ქონს შეგვროვებინა პერიტონეუმის ღრუში  
 შეყვანილი ნახშირი იგივე აფტორები აღნიშნავენ, რომ 7 გრ. წონის ტყვია  
 შეყვანილი მუცელის ღრუში ჩაპარებულ იქნა ბადე-ქონის მიერ. დოც. წუ-  
 ლუკიძემ იძის გამოსარკვევად ოუ, როგორ მოქმედობს შეყვანილ მიკრო-  
 ორგანიზმებზე დიდი ბადექონი, ამ მიზნით მას შეყვანა შინაურ კურდღლის  
 მუცელის ღრუში სუბლეტალური დოზები bac. pyocyanus-ის 24 საათის კულ-  
 ტურისა. 24 საათის შემდეგ დიდი ბადექონის ნაჭერში მრავალჯერ აღმოჩენილ  
 იქნა შეყვანილი bac. pyocyanus-ი. ამრიგათ ძირი-ორგანიზმის ფიქსაცია  
 ხდებოდა დიდ ბადექონში. შერმან-მა 1900 წელს მოახდინა ცხოველებზე  
 მრავალი ცდა დიდი ბადექონის მიერ გარეშე სხეულების დაჭერის და ფიქსა-  
 ციის შესხებ. საცდელ ცხოველების პერიტონეუმის ღრუში მან მოათავსა:  
 დოლაბანდი, აბრეშუმი, ბამბა, რეზინა და ლითონები. ცდების შემდეგ შერ-  
 მან-ი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სტერილური გარეშე სხეული, რომელიც  
 მუცელის ღრუში არის მოთავსებული იწვევს ერთგვარ ადგილობრივ რეაქციას,  
 როგორც ბადექონის, ისე მუცელის სეროზული აპკის მხრივ. ქსოვილების რე-  
 აქცია ერთის მხრივ ქმნის გარეშე სხეულის შეწოვებას და მეორე მხრივ მის  
 ინკაფსულაციას. ყველა შემთხვევაში აღნიშნული იყო შეხორცება დიდ ბადე-  
 ქონთან და ამ ნივთიერებების იზოლიაცია. ასეთივე შედევი მიიღო პრ. დოც.  
 ცეცხლაძემ, რომელმაც საცდელ ცხოველის პერიტონეუმის ღრუში ჩადგა  
 ნიგვზის-ოდენა დაკუმშული სტერილური დოლაბანდი და მოხარშული (სტერი-  
 ლური) თხილის ოდენა ხის ბურთულა. Salagwjertet Moclare-მ გვიჩვენა, რომ  
 დოლაბანდის კომპრესი ჩადებული ძალის მუცელის ღრუში 3 თვის შემდეგ  
 წარმოადგენდა მკვრივ ბურთს, რომელიც გახვეული იყო დიდ ბადექონში და  
 მასთან მძლავრათ იყო შეხორცებული. ჩვენი მეორე შემთხვევაც აღბად დიდი  
 ბადექონის დამცველობითი ფუნქციის უნდამიერწოდა.

რაც შეეხება გარეშე სხეულების ბედ-ილბალს, როცა ისინი ხვდებიან  
 მუცელის ღრუში კლინიკა სახესებით ადასტურებს ზემოხსენებულ ექსპერიმენტებს.  
 ზოგიერთ შემთხვევაში სტერილური გარეშე სხეული პირველ ხანებში არ იწვევს  
 არავითარ გართულებას, მაგრამ ორგანიზმი აღრე თუ გვიან მაინც ცდილობს  
 გარეშე სხეულისაგან განთავისუფლებას. ზოგჯერ შეიძლება მას თან დაერთოს  
 ახალი ინფექცია, ან და შესაძლებელია მან მოახდინოს მექანიკური ზეწოლა  
 ახლო მდებარე ორგანოებზე (შარდის ბუშტი, ნაწლავი და სხვ.), რომელსაც

შედეგათ მოყვება მათი კედლების დაწყლულება და გარეშე სხეულების მოხვედრა გათ ღრუში. ერლიქმანის მიერ მოყვანილ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით (71 შემთხვევა) მუცლის ღრუში დატოვებულ გარეშე სხეულებიდან 15 შემთხვევაში (21%-ი) გარეშე სხეულები გამოყიდა გარეთ სწორი ნაწლავის, მუცლის კედლის, შარდის ბუშტის და საშოს გზით. 37-ს (52%) გაუკეთდა ოპერაცია და 19 კაცი (27%) კი დაიღუპა. საძწუხაროთ, როგორც ერლიქმანიც აღნიშნავს, ავტორებს არ მოყავთ ზესტი ცნობები იმის შესახებ თუ რამდენი დაიღუპა ოპერაციის შემდეგ და რადენი უოპერაციოთ. ერლიქმანის შემთხვევაში სისხლის ძარღვის დამჭერმა პინცეტმა, რომელმაც 2 ნახვარი წელიწადი დაკყო მუცლის ღრუში, მოახდინა წვრილი ნაწლავის პერფორაცია ორ ადგილს, ერთ ადგილს მსხვილი ნაწლავის და ამრიგათ ხელი შეუწყო ადგილობრივ ანთებითი პროცესს. Mac-Laren-ის შემთხვევაში სისხლის ძარღვის დამჭერმა პინცეტმა მოახდინა ბრმა ნაწლავის პერფორაცია და ნაწილობრივად ჭავყელა ნაწლავში მოთავსდა. ამვე უნდა აღვინიშნოთ პრ. კოსინსკის შემთხვევა, როდესაც მუცლის ღრუში შემთხვევით დატოვებულმა სისხლის ძარღვის დამჭერმა პინცეტმა გამოიწვია სასიკვდილო სისხლის დენა. ამრიგად ზემოხსენებულიდან ნათლად სჩანს, რომ, გარეშე სხეულები, რომლებიც ხვდებიან პერიტონეუმის ღრუში ამა თუ იმ გზის საშუალებით, ერთგვარ საბედის-წერო საფრთხეს წარმოადგენენ თრგანიზმისათვის, ვინაიდან ყოველ უამს მოსალოდნელია მას თან დაერთოს რაიმე მნიშვნელოვანი გართულება. რა თქმა უნდა ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოველ შემთხვევაში, რომ დროზე მიღებული იქნეს საკირო ზომები.

ლიტერატურულ წყაროების და კლინიკის მასალის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დაკვნები: 1) გარეშე სხეულები, რომლებიც ხვდება პერიტონეუმის ღრუში ამა თუ იმ გზის საშუალებით ერთგვარ საბედის-წერო საფრთხეს წარმოადგენენ თრგანიზმისათვის, ვინაიდან მოსალოდნელია მას თან დაერთოს სხვადასხვა გართულება (პერფორაცია ileus-ი შინაგანი სისხლის დენა და სხვა).

2) თუ დასმულია დიაგნოზი პერიტონეუმის ღრუში გარეშე სხეულის—უნდა გაკეთდეს ოპერაცია.

დასასრულ გულწრფელი მადლობა პატივცემულ პრ. ღოც. კ. დ. ერისთავს თემის მოცემისა და ხელმძღვანელობისათვის.

#### ლიტერატურა.

1. ა. წულუკიძე. დიდი ბადექონის დამცველობითი თვისებების საკითხისათვის მუცლის ღრუშს ზოგიერთი პაროცესების დროს (დისერტაცია) 1925 წ. ცეცხლაძე ვლ. რამოდენიმე ცდა ცხოველების დიდ ბადექონზე. თანამედროვე მედიცინა, № 6-7 1926 წ.
2. ცეცხლაძე ვლ. ადამიანის დიდი ბადექონის მორფოლოგიური თავისებურებანი და მათი მნიშვნელობა ამ თრგანოს ფუნქციების გასაშუქრებლად (დისერტაცია) 1927 წ., 4. თიხიოვ. частная хирургия 1916 год. 5. ერლიქმან. К вопросу об инородных телах, забытых в брюшной полости во время операции. Новая хирургия, том IV 1927 г.
6. Тимофеева Л. Казуистика инородных тел в отростке слепой кишки. Врачеб-

ная газета № 2 1917 г. 7. Леоненко, к вопросу о ложных опухолях передней брюшной стенки, вызванные инородными телами. „Рыбья кость. Новый хирургический архив т. ХУП кн. З 1929 г. 8. А. В. Глебович. К вопросу об инородных телах брюшной полости. Вестн. хирург. и погран. областей за 1929 г. кн. 48-49.

**С. Ю. Чахуашвили**

**«Инородные тела в перитонеальной полости».**

Автор, после краткого литературного обзора инородных тел брюшной полости, описывает два собственных случая. В первом случае речь идет о больном, проглотившем куриную кость (дужку). Кость перфорировала стенку тонкой кишки, вышла из ее просвета и попала в частично ущемленную грыжу. Резекция кишки. Выздоровление.

Во втором случае инородное тело (игла) через переднюю стенку живота (илоцекальную область) попала в брюшную полость. При операции игла найдена в клубочке из большого сальника величиной в детский кулак. Выздоровление.

В заключении автор интерпретирует защитительную роль большого сальника и делает следующие выводы:

1) Инородные тела, которые тем или иным путем попадают в перитонеальную полость, представляют большую опасность для организма, в виду возможности осложнений (Перфорация, илеус, внутреннее кровотечение).

2) Если поставлен диагноз инородного тела в полости перitoneума необходимо произвести операцию.

S. TSCHACHUNASCHWILI.

**Ueber Tremdkörper in der Peritonealhöhle.**

Verfasser beschreibt zwei in der Klinik vorgekommene Fälle von in die Peritonealhöhle eingedrungenen Tremdkörpern.

Im ersten Falle perforierte ein verschluckter Knochen vom Huhu (knönenbernen Bogen) die Dündarmwand, gelang in die Peritonealhöhle und keilte sich in einer teilweise eingeschlossenen Bruch ein. Resektion des Darmteiles brachte Genesung.

Im zweiten Falle drang, bei einem Kinde eine Nähnadel in die Ileocoecalgegend ein. Die Nadel durchbohrte die Bauchdecken und das Peritoneum und gelangt in die Bauchhöhle. Beider Operation fand man die Nadel im grossen Netz, welches sich zu einem Konglomerat von der grössen einer kindlichen Faust zusammenballte,—Genesung.

Verfasser befürwortet die Schutzfunktion des grossen Netzes und beweist dies durch entsprechende in der Literatur erschienenen experimentellen art.

Aus Grund seiner eigenen und aus der Literatur angesührten Fälle kommt Verfasser zu folgenden Schlüssen.

1. Tremdkörper in der Peritonealhöhle stellen immer eine Gefahr für den Organismus vor der schweren Komplikationen wegen (Perforation, Ileus, innere Blutung und s. w.).

2. Der Diagnose eines Tremdkörpers ihrer Bauchhöhle muss eine operation folgen.



# სახოგადო ეპრიზი მედიცინა

პროფ. ი. აბაკელია

## ტუბერკულოზი ქ. ტფილისის მოწაფეთა შორის

იმის შესასწავლად, თუ ტუბერკულოზის ინფექცია რამდენად ძლიერაა გავრცელებული მოსახლეობათა შორის, უპირველეს ყოვლისა ჩვენი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ბავშთა ორგანიზმისაკენ. ადამიანის ორგანიზმი, რაც უფრო ნორჩია, მით უფრო ადვილია მასში პირვანდელი ალლერგიის კლინიკური ფორმების აღნიშვნა, ფთიზიოგენის გასაგებად კი ბავშვის ასაკი უფრო მეტ მასალას და დასაყრდენს იძლევა. ამჟამად წომ არავის შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ ყოველი ჩვენთაგანი ბავშობილანვე ტუბერკულოზის ინფექციითაა შეპყრობილი. ცხადია ეს ასაკი ყველა ფთიზიატრისათვის უნდა იყოს გამოკრევითი შესწავლის საგანი, რათა შემდეგში შესაძლებლობა ქონდეს, თვალყური ადევნოს იმას, თუ ორგანიზმში მყოფ ინფექციას რამდენად შეუძლია მოგვცეს დროგამოშვებით ანთებითი კერტი არგანიზმის სხვადასხვა თრგანოება.

ამ მიმართულებით საქართველოში ძლიერ ცოტაა გაკეთებული, ანუ, სწორედ რომ ვსთქვათ, არაფერი გაკეთებულა. არ არის გამოკვლეული და არ არის შესწავლილი არაძც თუ ბავშის ასაკი, არამედ ხნიერი მოსახლეობაც, მაშინ როდესაც ასეთ შესწავლას შეეძლო ბევრი ახალი, რად მოეცა. როგორც ტუბერკულოზის კლინიკურ ფორმების, ისე ფთიზიოგენების გამორკვევაში, რადგან ვიცით, ტუბერკულოზს ყოველ ქვეყანაში და ყოველ ხალხში აქვს თავისებური მიმდინრეობა იმ სოციალურ, ადგილობრივ, პროფესიონალურ, კლიმატურ და სხვა პირობების დამოკიდებულებით, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებობენ.

ჩეევში, საქართველოში ტუბერკულოზი ძლიერ გავრცელებულია; გავრცელებულ სოციალურ სნეულებათა შორის, ტუბერკულოზს საქართველოში, მაღარიის შემდეგ, უჭირავს პირველი ადგილი; ჯირკვლების ტუბერკულოზი იმდენად მძლავრადაა მოდებული, რომ ჩეენი რესპუბლიკის ცალკე კუთხებმა ამ დავადებას თავისი საკუთარი სახელი უწოდა: იმერეთში მას ეძახიან „საყმაწვილოს“, - გურია-სამეგრელოში „ქატა-ჯვარას“, ქართლ-კახეთში „თიადორას“ და სვანეთში „ლოროთელს“.

ზემოაღნიშნულმა გარემოებამ ჩვენ მიგვიყვანა იქამდე, რომ განვიზრახეთ გამოგვიკვლია და შეგვესწავლა ქ. ტფილისის მოწაფეები იმდენად, რამდენადაც ამის საშვალებას გვაძლევდა ის მდგომარეობა, რომელშიც ვიყავით ჩაყენებული დისპანსერის ყველა მომუშავენი. დიდი შრომა დაგვჭირდა, რომ მშობლების ზოგიერთი ჯგუფების ჯიუტობა და წინაღმდეგობა დაგვეძლია, რადგან ისინი ნე-

ბას არ გვაძლევდენ მათი ბავშებისათვის პირქეტიზაცია გაგვერჩარებინა; მაგრამ იმ ბაასებმა, რომელსაც ვმართავდით მათთან სკოლის ექიმების დახმარებით, იქონიეს გავლენა და შეძლევში ჩვენ მათში არაც თუ თანაგრძნობას, არამედ დახმარებასაც კი ვპოვებთით.

ადგილობრივი პირობების მიხედვით ჩვენ გავშინჯეთ და შევისწავლეთ  
 6—18 წლამდე 2696 მოწაფე, რომელთა შორის ვაჟი იყო 1522, ქალი 10—  
 —1174. 2696 მოწაფისაგა 503 აღმოჩნდა საცხებით ჯანსაღი, რომელთა ორგა-  
 ნიჭმში ჭრების ჩხირის არსებობა არ დადასტურდა, იმის და მიუხედვად, რომ  
 მათ განმეორებითი პირქეტიზაცია გაუკეთდა.

	ს უ ლ	ვ ა ჟ ი	ქ ა ლ ი
ჯანსაღი . . . . .	503 18.6%	296 19.6%	207 17.6%
status Allergicus . .	1793 66.6%	975 64%	822 70%
I . . . . .	225 8%	145 6.8%	80 6.8%
II . . . . .	171 6.8%	106 9.6%	65 5.6%
ს უ ლ . . . .	2696	1522	1174

მოწაფეთა შორის ტუბერკულოზის გამოსაცნობად და შესატასებლად ჩვენ ვსარგებლობდით როგორც კლინიკური, ისე ანტროპომეტრიული შეთოვებით და აგრეთვე რედგენოსკოპით და Pirquet-ს რეაქციის გაკეთებით. გამოკვლევის დროს ლიმფური სისტემის მდგომარეობას, როგორც ზერელეს, ისე ლრმად მდებარეს, დიდ ყურადღებას ვაქცევდით.

დასწულებულ და გადიდებულ ლიმფურ ჯირკვლების დიაგნოსტიკისათვის ჩვენ გვაჭვს საქმაოდ საფუძვლიანი დასაყრდენი პუნქტები, რომელთა საშვალებით ასე თუ ისე შეგვიძლია დავადასტუროდ ამა თუ იმ გულმკერდში ლრმად მდებარე ლიმფურ ჯირკვლების გადიდება. ძაგრამ, სამწუხაროდ, მათი დაავადების ხასიათის გამოსარკვევად დიდ დაბრკოლებას ვპოვებო. ყოველ შემთხვევაში ამა თუ იმ ლიმფური ჯირკვლის ყოველგვარ გადიდებას ტუბერკულოზურ დაავადებად არ ვსოვლით. ჯირკვლები შეიძლება გადიდებული იქნება მწვავე ინფექციურ ავადმყოფობის დროს, ბრონქიტების ტროს, ლეიკემიისა და პსევდოლეიკემიის დროს, ავთვისებიანი სისიგნების, ათაშანგის და, რაც ხშირად ხდება, კარიოზულ ქბილების გამო. საჭიროა ყოველთვის ყველა ეს დაავადებანი გამოვრიცხოთ, რომ ასეთი გამორკვევის შემდეგ ჯირკვლების ტუბერკულოზით დაავადეთ ათა ბუნებაზე შეჩერდეთ. ძაგრამ ზემო წამოყენებულ სნეულებანიც რომ გამოვრიცხოთ, ჩვენ მაშინაც ჯირკვლების მარტო გადიდებით მათი ტუბერკუ-

ლოზურ დაგადების ხასიათს ვერ გამოვარკვევთ, თუ არ აღმოვაჩინო ორგანიზმის ფუნქციონალურ ცვლილებებს, რომლებიც საშვალებას მოგვცემენ მასზე საბოლოო დასკვნა ვიქონიოთ.

იქამდე გადიდებული ჯირკვლები, პირქეს დადებითი ოქაქაიოთურთ, ორგანიზმის ფუნქციონალური ცვლილებების გამოურკვევლად, ჩვენ იმას გვიჩვენებენ, რომ ჯირკვლებში მხოლოდ და მხოლოდ ტუბერკულოზის ინფექციაა და არა ჯირკვლების დაავადება ტუბერკულოზით.

ასეთი ჯგუფი და ამასთანავე საკმაოდ დიდი ჩვენს მოწაფეთა შორის (1797 მოწაფე) ჩვენს მიერ status Allergicus ჯგუფისადმია მიკუთვნებული.

ყველა ბავშვები შესწავლილ იქმნენ ჩვენ მიერ კლინიკურად, გატარდნენ რედგენში, გაუკეთდათ პირქეტიზაცია და გამოკვლეულ იქმნენ ატროპინულრიული მეთოდით; შევისწავლეთ ძათი ცხოვრების ადგილობრივი და სოციალური პირობები, მათი ბრნა, კვება, ალკოჰოლის ხსრება და სხვა და სხვა.

კლინიკური გამოკვლევა: მოწაფეები, გამოკითხვის შემდეგ, გარეგნულად დახედვისა და ზერელედ მდებარე ლიმფური სისტემის მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ, კერკუსის და აუსკულტაციის საშვალებით იყვნენ გასინჯულნი.

გარეგნულ დახედვის დროს ყურადღება ქონდა მიქცეული striae venosae Kuty-ს, რომლებიც გადიდებულ ბრონქურ ჯირკვლების უკანა შუასაყრის სისხლის მიღებზე ზეწოლის შედეგია, პერკუსია და აუსკულტაციის დროს კი ყურადღება ექცეოდა Kremper-ის არეს მოყრუებას, Koranyi-ს (პერსტრონული ხმის დაყრუება ზევიდან ქვევით 4—5—6 გულმქერდის ხერხემლის მაღების წვეტიანი მორჩების არეში, ასაყის მიხედვით—ბიფურკაციის ჯირკვლების მდებარეობის არეში.) და D'espine-ს სიმპტომებს—(ხმის მოსმენა ზურგიდან და არა სუნთქვისა).

გამოკითხვის დროს ჩვენი ყურადღება უმთავრესად მიქცეული იყო ხველაზე და ამ ხველის წარმოშობის დროზე, თუ რა მიზეზის გამო იღვიძებენ ბავშები ხშირად ღამ-ღამბით. ჩვენი მოწაფეების შშობლები ამ მოვლენაზე ძლიერ შეშინებულნი მიგვითოთ და ადასტურებდნენ, რომ მათი ბავშები სასტიკი ხველის შემდეგ იძულებული იყვნენ გაეღვიძათ.

ეს სიმპტომი ლიტერატურაში არა ერთხელ იყო აღნიშნული, როგორც ნიშანი, რომელიც დასტურებს ბრონქური ჯირკვლების გადიდებას, სახელდობრ ბიფურკაციის ჯირკვლებისას. პროფ. ლ. ა. შტეინბერგი ამ მოვლენას შემდეგნაირად გახმარტავს. „როგორც ცნობილია, ლორწოანი გარსი ბიფურკაციის ჯირკვლების არეში ხველის წარმოშობის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს. ბიფურკაციის ჯირკვლები გიპერპლაზიის დროს ამ არეს აწვებიან და მით ძლიერ ხველის იწვევენ. ამ ჯირკვლების მიერ გამოწვეულ ხველის სტეციფიური სპაზმატიური ხასიათი აქვს. რისთვისაა, რომ ასეთი ხველი განსაკუთრებით ხდება? რისთვისაა, რომ დღის განმავლობაში ის სულ არ არის და მხოლოდ განსაკუთრებულ სათებში ჩნდება? როთ ავხსნათ ეს საოცარი მოვლენა? ღამე, სახოგადოდ მიღები განიერდებიან და ორგანოების სივრცე ღამე დიდდება. ჩვენ ვიცით, რომ მთელი ორგანიზმი, ყველა მისი ფუნქციები, აგ-

რეოვე სისხლ-მიმომქცევი სისტემა სიმპატიურ და პარასიმპატიურ ნერვულ სისტემის—სიმპატიურის და ვაგუსის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ღამეობით ჩვენ ყველანი ვაგუსის მფლობელობის ქვეშ ვართ. დაძინება წააგავს ავტომობილს, რომელიც ერთი სისტროფიდან გადადის მეორეზე: სიმპატიურის დანართის ვაგუსზე. ცოლმილი ნერვის გაღიზიანების (ჭინვის) დროს სისხლის ძარღვების ტონუსი ეცემა, ორგანოები სისხლით ივსებიან და მათი სივრცე დიდდება. ყველამ იცის, რომ საყელო, რომელიც დღით თავისუფლადაა, ღამობით აწუხებს და კისერს ჯჭვრს. ჯირკვლებიც ასეთივე მდგრადარეობაში ცვივიან; ამიტომაა, რომ ღამე ყველა ჯირკვლები, რომლებიც დღის განძალობაში საქმაოდ გადიდდენ, სისხლით ივსებიან და დიდდებიან იმდენად, რომ მის გარშემო მდებარე არეს აღიზიანებენ და სპაზმატიურ ხელია იწვევინ. ჯირკვლების სიმსინე სხვადასხვა პიროვნებას, სხვადასხვა დროს სულ სხვადასხვანაირი აქვს, მხოლოდ მაქსიმალური გასივება განსაზღრულ საათებში ხდება. აიტომ ჩვენ გხვდებით ისეთ საოცარ ფენომენებს, რომლებიც ღამიდან ღამეში ერთსა და იმავე საათებში სპაზმატიურ ხელია იწვევენ".

ჩვენს მიერ გასინჯულ მოწაფეთა შორის აღნიშნული სიმპტომი თუმცა ისე მძლავრად გამოხატული არ იყო, მაგრამ ზოგიერთებში მაინც იმდენად ძლიერი იყო, რომ ბავშვები ღამე იღვიძებდნენ; დღისით კი სულ არ ახველებდნენ.

ამ სიმპტომს, ე. ი ღამით ხელას, როგორც ასტმატიურ მოვლენას, პროფ. შტეინბერგ-ის გარდა ყურადღებას აქცევენ მთელი რიგი სხვა ავტორებისაც, როგორც მაგალითად ბორშტეინ-ი, Libermeister-ი და სხვა, რომლებიც ასტმის ღროს ხველის წარმომშობ მიზეზად ბრონქურ ჯირკვლების გადიდებას სთვლიან. არ შევდივართ რა ბრონქურ ასტმის დროს ამ სიმპტომის შეფასებაში, ჩვენ გვინდა გსთქვათ, რომ ამ სიმპტომს, ე. ი. ხელას, თუ გინდ სულ უმნიშვნელოსაც კი, მაგრამ რომელიც ღამით განსაკუთრებულ საათებში თავს იჩენს ხოლმე და ამასთანავე სისტემატიურად, ბრონქურ, სახელდობრ ბიფურკაციის ჯირკვლების გადიდების დიაგნოსტიკისათვის სხვაზედ არა ნაკლები როლი შეუძლია ითამაშოს. ეს სიმპტომი ჩვენს მიერ გასინჯულ მოწაფეთა შორის აღმოჩენილ იყო; მათ ასეთი ხელა მხოლოდ ღამეობით ემჩნეოდათ; ხელა მშრალი, განუწყვეტლივი, ზოგიერთ მათგანს ეს ხელა ისეთი მძლავრი ქონდა, რომ იღვიძებდნენ. სხვა სიმპტომთა და ძოვლებათა შორის—ჩვენს მოწაფებს ვამჩნევდით ბრონქურ ჯირკვლების გადიდების თითქმის ყველა შემთხვევაში stryae venosae Kuty. Koranji-სა და D'Espine-ს სიმპტომებისაგან მეტ ღირებულებას უკანასკნელი წარმადგენდა.

რენდენოლოგური გამოკვლევა: რენდენოსკოპიამ დიდი როლი ითამაშა ფილტვის ტუბერკულოზის ამა თუ იმ ფორმის დიაგნოზის დროს; სამწუხაროდ ბრონქურ ჯირკვლების ტუბერკულოზის დროს ჩვენ არ შეგვიძლია მიეკინით იგი გაძოკვლევის იდეალურ მეთოდათ. განსაკუთრებით ნაკლებად გამოსადევია იგი დიაგნოზის დასმის დროს იმ ჯგუფის ბრონქურ ჯირკვლებისა, როგორიცაა ტრაქეიბრონქური და ბიფურკაციის ჯირკვლები და რომლებიც კლინიკას ყველაზე უფრო აინტერესებს. Most'-ის, Beitzke-ს ცუკენიკოვ-ის და ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ შრომების მიუხედავად აღამიანის ლიმფოიური სისტემის შესა-

ხებ, ბევრი კლინიცისტი დღესაც ვერ გარკვეულა თუ რას უწოდებნ ბრონქურ ჯირკვლებს. ასე მაგალითად, ისეთი გამოჩენილი კლინიცისტი, როგორიცაა პროფ W. Neumann-ი, სწერს: „რომ გადიდებული და გასივებული ბრონქური ჯირკვლები შუასაყრის ჩრდილში იყოფებიან და ამიტომ არ შეიძლება შემჩნეული იქმნან გაშუქების დროს ვენტროდორზალური და დორზოვენტრალური მიძართულებით... ის, რაც ჩვეულებრივ აღნიშნულია, როგორც გაძლიერებული Hilus-ის სურათი, გადიდებულ ბრონქოპულ მონალური ჯირკვლები ფილტვის ძირის არეში ლაქისებურ დაბნელებას იძლევიან. სშირად მათი გადიდება ხდება ერთსა და იმავე დროს ბრონქურ ჯირკვლების ტუბერკულოზით დაავადებასთან (კურსივი ჩვენია), მაგრამ ასეთი შეთანხმება სავალდებულო არ არის და ამიტომ ასეთი ჩრდილების მიხედვით ბრონქურ ჯირკვლების (კურსივი ჩვენია) ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმი არ შეიძლება“. აქედან ცხადია, რომ ისეთ ცნობილ კლინიცისტისათვის, როგორიცაა პროფ. Neumann-ი ბრონქოპულმონალური და ბრონქური ჯირკვლები უკანა შუასაყრის ლიმფური სისტემის სრულებით სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენენ, მაშინ როგორც ბრონქოპულმონალური ჯირკვლები ერთი იმ მრავალიცხვან ჯირკვალთა ჯგუფისაა, რომლებიც ბრონქურ ჯირკვალთა სისტემაში შედიან. როგორც ვიცით ბრონქური ჯირკვლები ეწოდება ჯირკვლებს, რომლებიც სასუნთქ ორგანოებთან მდებარეობენ, სახელდობრ: სასულეს ორივე მხარეს მარჯვნივ და მარცხნივ—Lmg. paratracheales dextrae et sinistrae; ორივე ტრახეობრონქურ კუთხეებში—2)Lmg. trasheo-bronchiales dextra et sintstra; სასულეს გაორკაპების ქვეშ—3) Lmg. bifurcationes ან როგორც მას ექიმი სუკენიკოვ-ი უწოდებს—ძველი სასულე ბრონქური; კუთხეებში, სადაც დიდი და პატარა ბრონქები იყოფებიან—4) Lmg. broncho-pulmonales; ფილტვის ქსოვილში—5) Lmg. pulmonales და იქმდე, პლევრის ქვეშ მდებარე—6) Lmg. subpleurales. ყველა ამ ჯგუფებს ეწოდება ბრონქური ჯირკვლები და, როგორც კლინიცისტი ბრონქურ ჯირკვლების ტუბერკულოზე მოგვითხრობს, მას უნდა მხედველობაში ქანდეს ან ყველა ზემოაღნიშნული ჯგუფები, ან, თუ ყურადღებას აპყრობს ბიფურქაციის და სასულე ბრონქურ ჯირკვლების დაავადებას, ამ უკანასკნელთ გარკვევით აღნაშნავდეს და მათ თავიანთ სახელს უწოდებდეს. შეუძლებელია ისეთი საჯელობა, თითქოს ბრონქოპულმონალური ჯირკვლების დაავადება ბრონქურ ჯირკვლების ავადმყოფება არ იყოს, რადგანაც ბრონქოპულმონალური ჯირკვლები აგრეთვე შედინ ბრონქურ ლიმფურ სისტემაში, როგორც ტრახეობრონქური, ბიფურქაციისა და სხვა. საჭიროა ისიც ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ინფექცია პულმონალურ და ბრონქოპულმონალურ ჯირკვლებში უფრო აღრეთვე მოხვდება და შემდეგ კი უკვე ტრახეობრონქურ და ბიფურქაციის ჯირკვლებში გადავთ. არ შეგვიძლია არ დავეთნაშოთ პროფ. Neumann-ს ერთში, სახელდობრ იმაში, რომ ტრახეობრონქური და ბიფურქაციის ჯირკვლები გაშუქების დროს მართლაც შეუმჩნეველი არიან. უნდა ვიცით ამ ჯირკვლების ტრახეობრაფო-ანატომიური მდებარეობა, რომ აძა ი დაკრწმუნდეთ. მარჯვენა ტრახეობრონქური ჯირკვლები ჯგუფ-ჯგუფად ტრახეობრონქურ კუთხეში antero-lateral-ურ მდგომარეობაში მდებარეობენ; მათ

უკან მდებარეობენ სასულე და მთავარი მარჯვენა ბრონქი, წინ—ზემო ღრუ ვენა და მარცხნივ—აორტის ასწვრივი ნაწილი, ქვევით—სასულეს ბიფურქაციის მარჯვენა მხარე და ფილტვის არტერიის მარჯვენა ტოტი.

მარცხენა ტრახეობრონქური ჯირკვლები ჯგუფ-ჯგუფად *angulus tracheobronchiales sinistrae*-ს წინა ლატერალურ ნაწილში მდებარეობენ. გვერდით და უკან ამათგან მიღის ციომილი ნერვი, ზევით—შებრუნებული ნერვი. უკან მდებარეობს საყლაპავი და აორტის დასწვრივი ნაწილი, წინ—ფილტვის არტერია და აორტის ასწვრივი ნაწილი.

ბიფურქაციის ჯირკვლები ჯგუფ-ჯგუფად სასულეს ბიფურქაციის კუთხეში მდებარეობენ და უმთავრესად მარჯვენა ბრონქს ეკვრიან; წინ მათ პერიკარდიუმი ფარავს, უკან—საყლაპავი, მარჯვენი—ხერხემალი.

აქედან ცადია, თუ ტრახეობრონქური და ბიფურქაციის ჯირკვლები გაშუქების დროს შეუძნეველნი რისოვის არიან და მხოლოდ მათი გიპერპლაზიის დროს Hilus'-ის ჩრდილის წარმოშობაში იმათ შეუძლიათ ცოტაოდენი მონაწილეობა მიიღონ. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობენ ბრონქუპულმონალური ჯირკვლები, რომელიც ტუბერკულოზით დაავადების დროს ინფექციის უფრო ადრე ღებულობენ, ვიდრე ტრახეობრონქური და ბიფურქაციის ჯირკვლები.

ისმის საკითხი—Hilus-თან ჩრდილს რა ქმნის?

ამ ჩრდილისა და აგრეთვე „ზონარების“ შესახებ, რომლებიც Hilus'-იდან ზევით და ქვევით მიიმართებიან, სხვადასხვა აზრი არსებობს; ასე მაგალითად Assman'-ი ეყრდნობა რა სუსტ პულსაციას, რომელიც გაშუქების დროს სჩანს Hilus'-თან, ამ ჩრდილის წარმოშობას ფილტვის არტერიას მიაწერს და ლიმფურ ძარღვებს, ჯირკვლებს (განსაკუთრებით ბრონკოპულმონალურს), ვენებს და იგრეთვე შემართებელ ქსოვილს ამ ჩრდილის წარმოშობაში ნაკლებ ყურადღებას აქცევს. რაც შეეხება Hilus'-იდან მიმავალ „ზონარების“, ამათ განსამარტავად იმდენი ახსნა-განმარტება არსებობს, რომ ისინი ამ მხრივ თვით „ზონარების“ რიცხვს სჭარბობენ. მათ წარმოშობას ზოგნი სასულეს გაშროებას მიაწერენ, ზოგნიც სისხლის ძარღვებს და სხვადასხვა. ეს რომ ასე იყოს—მაშინ ჩენ ჯანმრთელი ადამიანის რენდგენოსკოპიის დროსაც კი დავინახავდით მათ, რადგანაც ბრონქური ჯირკვლების ტუბერკულოზის დროსაც, როდესაც ფილტვის მხრივ არავთარი დაავადებითი ხასიათის ცვლილებებს ადგილი არა აქვს, არ შეიძლება ბრონქური შტო და სისხლის ძარღვების სისტემა ისე შეიცვალოს, რომ ზემოაღნიშნული „ზონარების“ სურათი მოგვცენ. ესევე ითქმის ფილტვის სისხლის ძარღვების გიპერემიის შესახებაც, რომელიც ზოგიერთ ავტორების აზრით ამ „ზონარების“ წარმოშობაში პირველ როლს თამაშობენ. რა თქმა უნდა, ჩენ სავსებით უარს არ ეყოფთ სისხლის ძარღვების მონაწილეობაზე ამ „ზონარების“ წარმოშობაში, მაგრამ ჩენ არ შეგვიძლია მათ დიდი მნიშვნელობა მივაჟოთ, რადგანაც გულმკერდის ლიმფური სისტემის შესწავლა ჩენ უფრო მეტ დასაყრდენ პუნქტებს გვაძლევს, და აბის მიხედვით შეგვიძლია ყურადღება მასზე შევაჩეროთ და ვცნოთ, რომ ამ „ზონარების“ წარმოშობაში მთავარ როლს სწორედ პათოლოგიურად შეცვლილი ლიმფური ძარღვები თამაშობენ, მით

უფრო რომ ანატომიური და ტოპოგრაფიული მათი მდებარეობა ამ „ზონარების“ მიმართულებას შეეფერება. ლიმფური ძარღვები საკმაოდ ბევრია, რაღაც ყოველ ჯირკალს თავისი მომტანი და გაჟტანი მილები აქვს, Hilus'-თან კი, როგორც ვიცით, ბევრი ჯირკვლები არის. მომტან და გამტან ლიმფურ ძილებს საკმაოდ სხვადასხვა მიმართულება აქვთ, იძასთან დამოკიდებით, თუ რომ მელი ჯირკვლების ჯგუფია ფუნქციონალურად დაკავშირებული მეორე ჯგუფთან; ასე მაგალითად, ბრონქოპულმონალურ ჯირკვლებს აქვთ მომტანი მილები პულმონალურ ჯირკვლებიდან და თავის მხრივ გამტან მილებს ტრახეობრონქურ და ბიფურჯაციის ჯირკვლებს აძლევენ, იძასთან დამოკიდებით, თუ ისინი ფილტვის ბაზილიდან მიღიან. ამ მილების მიმართულება ისეთია, რომ მათი ნაწილი ბრონქის დაშტოების ზევით მიდის, ნაწილი—პარალელურად. თავის მხრივ სასულე—ბრონქული ჯირკვლები გამტან მილებს ზევით პარატრახეალურ ჯირკვლებს აძლევენ, ამ უკანასკნელიდან კი მილები მიღიან ზევით ductus eymphaeticus dexter-ში მარჯვნივ და ducstus thoracicus'-ში მარცხნივ. ბიფურჯაციის ჯირკვლებიდან კი მილები სასულეს შეა ხაზით ორი მიმართულებით მიღიან: პირველი გზა—მარჯვენა ტრახეობრონქურ ჯირკვლებში შიდის, მეორე კი—აცდება რა ამ ჯირკვლებს უშუალოდ მარჯვნივ სასულეს გვერდით ზევით მიღის.

როგორც ზემონათქვამილან სჩანს, ყველა ეს ლიმფური მილები Hilus'-იდან ფილტვის მწვერვალოსაკენ მიმავალი სხვადასხვა მიმართულებით საქმაოდ ბევრია. ამ მილების ანთებითი დაავადებას და ჯირკვლების ტუბერკულოზის დროს მათ გადავიტრებას გაშუქებისას შეუძლია ძოგვცეს საქმაოდ ნათელი სურათი „ზონარების“, რომელიც ფილტვის ფესვიდან ამა თუ იმ ფილტვის ქსოვილამ დე მიღიან. მხოლოდ Hilus'-იდან ისინი ძირს არ მიღიან, პირიქით ფილტვის შეუძლიან და ქვედა ნაწილის პულმონალურ და ბრონქოპულმონალურ ჯირკვლებიდან მილებს ქვევილან ზევით ბიფურჯაციისაკენ აქვთ მიმართულება. მართალია Hilus'-თან ეს მილები უფრო მყაფიოდ ჩანან, მაგრამ ეს იმით აისხება, რომ გამტანი ლიმფური მილების ყალიბი ჯირკვლებიდან გამოსვლის დროს უფრო ვიწროა, ვიდრე შესვლისას.

ამრიგად, გავაშუქეთ რა ყველა მოწაფეები რენდგენით, გამოვიყენეთ და ვისარგებლეთ ზემოაღნიშნული დებულებები.

რენდგენისკონით მილებულმა შედეგებმა და კლინიკურმა გამოკვლევებმა ჩვენ მოგვცეს ის დასაყრდენი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შევსძლით დაგვესვა ბრონქურ ჯირკვლების დიაგნოზი, რომლებიც არიან, რა თქმა უნდა, არა მარტო ტრახეობრონქური და ბიფურჯაციის ჯირკვლები, არამედ ბრონქოპულმონალური და სხვებიც, რაც Ghon'-ის აზრით დაავადების დროს ხშირად პირვენდელ ბუდეთ ხდებიან.

ტრახეობრონქური და განსაკუთრებით ბიფურჯაციის ჯირკვლები წარმოადგენენ კოლლექტორს, რომელიც კრეფს ლიფმას და მაშასადამე ინფექციასაც, რომელიც ფილტვის ყველა ნაწილის ლიმფურ სისტემაში მოხვდება. ბრონქოპულმონალურ ჯირკვლებიდან ინფექცია უეჭველად უნდა მოხვდეს ტრახეობრონქურსა და ბიფურჯაციის ჯირკვლებში; ამიტომ მივიღებთ რა მხედველობრონქურს, რომ აღმოჩენა ამ უკანასკნელებისა გაშუქების დროს ძნელია, ბრონქიაზი,

პულმონალურ ჯირკვლებს, რომელიც კარგად სჩანან, განსაკუთრებით მათი განკურპლაზიის დროს, ტრახეობრონქურ და ბიფურკაციის ჯირკვლების ტუბერკულოზის დიაგნოზისათვის შეუძლიან დიდი როლი, ითამაშონ.

ჩვენ აღმოვაჩინეთ ჯირკვლების გადიდება, ცერცვიდან დაწყებული ბერძნულ ოხილის ოდენობამდე 2696 მოწაფიდმნ 2481 მოწაფეში, ესე იგი 92%, 215 ანუ 8%-ს გიპერპლაზიის ნიშანიც კი არ ქონდა, როგორც ზერელედ, ისე ღრმად მდებარე ჯირკვლებისა.

კასრის ჯირკვლა. ზ.	იღლის ჯირკვლ. ზ.	კასრის და იღლის ჯირკვლები ზ.	ბრონქული ჯირკვლ. ზ.	კასრის ბრონქ. ჯირ.	კასრის, იღ- ლის ბრონქ. უ და ჯირკვლ. ზ.	არ კასრის გაღილებული გაღ
377	200	502	281	235	886	215

უმეტეს შემთხვევებში გადიდებული აღმოჩნდა კისრის ჯირკვლები, როგორც უშუალოდ, ისე დამოკიდებით სხვა ჯირკვლებთან, მერე—ბრონქური.

Pirquet-ს რეაქციის მოხდენის დროს—ჩვენ ხელვმძლვანელობდით საკავშირო მეორე ტუბერკულოზის ყრილობაზე მიღებულ ინსტრუქციით და მეთოდით. კანის სკარიფიკაციას გახდენდით Pirquet-ს ნემსით და შედეგს 24-48 საათის შემდეგ ვარკვევდით. პაპულებს თ. თ. გაზომის დროს, ყურადღება ქონდა მიქცეული, როგორც ინფილტრატის, ისე კანის გიპერემიის სიღიდეს. ვხმარობდით, როგორც ინსტრუქციაშია ნაჩვენები, 3%, 10%, 30% და 100%-ნი Koch'-ის Alttuberculin'-ის სხნარს კონტროლთან. უარყოფითი შედეგების მიღემის შემდეგ ჩვენ პირქეტიზაციას ორი კვირის შემდეგ ვიმეორებდით. შედეგი შემდეგია:

დადებითი Pirquet	უარყოფითი Pirquet	დადებითი Pirquet ქალ- თა შორის	უარყოფითი Pirquet ქალ- თა შორის	დადებითი Pirquet ვაჟებ- თა შორის	უარყოფითი Pirquet ვაჟთა შორის
2193	503	967	207	1226	296
81.3%	18.7%	82%	18%	80.5%	19.5%

Pirquet-b ຮູ່ເຈັບໂດຍ ອະນຸມີສາ ດາວັນສິນ ມານຈຸດ

ສ ອ ຊ ດ ອ				ຈ ອ ດ ດ ອ		
ໜັງກວານດໍາ	ດາແງດີຕົກ	ໜ້າຮັບຜູ້ອິດ	ສ ໂດ	ດາແງດີຕົກ	ໜ້າຮັບຜູ້ອິດ	ສ ໂດ
5—8	72 72%	28 28%	100	71 70.3%	30 29.7%	101
8—10	164 70.7%	68 29.3%	232	134 75.7%	43 24.3%	177
10—13	359 81.1%	70 18.9%	429	286 87.7%	40 12.3%	326
13—15	298 81%	70 19%	368	147 83.6%	30 16.4%	177
15—20	333 84.7%	60 15.3%	393	329 83.7%	64 16.3%	393
ສ ໂດ . .	1226	296	1522	967	207	1174

Pirquet-b ຮູ່ເຈັບໂດຍ ດາວັນສິນ ອົບ ດົກ

+	+	+	+	+	-	ສ ໂດ
414	444	627	708	503		2696

Pirquet-ს რეაქცია და მისი ინტესივობა ასაკის მიხედვით

	ინტესივობა ასაკის მიხედვით					სულ და- დებითი	სულ უარ- ყოფითი	ს უ ლ
წლოვანობა	+	++	+++	++++	+	-		
5—7	43 30.8%	20 14.2%	21 14.5%	12 8.5%	96 68%	46 32%		142
8—9	93 24.5%	70 18.5%	60 15.2%	61 15.8%	284 74%	99 26%		383
10—11	148 28.8%	131 15.6%	62 12%	80 15.6%	421 82%	91 18%		512
12—13	161 24%	196 29%	96 14.2%	112 16.8%	565 84.5%	103 15.5%		688
14—15	128 27.2%	94 20.3%	91 19%	74 15.7%	384 82.2%	83 17.8%		470
16—17	100 25.4%	80 20.8%	89 23.3%	58 15%	327 84.5%	60 15.5%		387
18—19	26 25.2%	24 22.8%	22 20%	15 14%	87 83%	19 17%		106
20—21	9 32.2%	12 42.8%	3 10%	2 7%	26 93%	2 7%		28
ს უ ლ .	708	627	444	414	2193	503		2696

Pirquet-ს რეაქცია და მისი ინტესივობა მოწაფეთა დაბა-  
ლების აღგილთან დაკავშირებით.

Pirquet-ს რეაქცია და მისი ინტენ- სივობა	დაბალების და საცხოვრებელი ადგილი									
	კონც.	იმუნ.	კუ	ჭ	სამზა- ლო	გახვი	ახლა- ლაქ მას. (ჯვანები)	გორჩ- ლოს მას.	ახლა- ლაქ მას. (ნის)	ტფი- ლის
+	161 31.8%	123 27.5%	32 26.8%	48 33.8%	13 23.8%	29 17.0%	3	2	2	295 24 %
++	89 17.5%	112 24.5%	29 24.2%	12 8.8%	14 25.5%	46 26.2%	1	1	3	320 26%
+++	80 15.8%	74 16.2%	17 14.2%	22 15.8%	12 21.5%	4 23.5%	—	—	—	198 16%
++++	70 13.5%	72 16.0%	19 16.0%	32 22.5%	6 11%	25 14.8%	2	—	1	187 15%
-	110 21.5%	70 15.8%	22 18.8%	28 19.2%	10 18.2%	30 17.2%	2	2	3	227 19%
ს უ ლ	510	451	119	142	55	171	7	5	9	1227

როგორც სჩანს პირქეტიზაცია გაუკეთდა ყველა მოწაფეებს (2696 მოწ.), რომელ რიცხვიდანაც 2193 მოწ. ე. ი. 81.3%-მა მოგვცა დაღებითი რეაქცია და 503 მოწ. ე. ი. 18.7%-მა უარყოფითი.

Pirquet-ს დადებითი რეაქცია, გაკეთებული ცალკე კლინიკური და რენ-დგენოლოგური შეღევების გამოურკვევლივ, არ შეიძლება იყოს მაჩვენებელი იმის, არის თუ არა ორგანიზმში ტუბერკულოზის კერები. „დადებითი ტუბერკულინის რეაქცია“ — ამბობს პროფ. A. Calmette „არ შეიძლება იყოს როგორც ინფექციის კრიტერიუმი. ის უფრო შეიძლება იყოს, როგორც რეასან პირუტყვა, ისე ადამიანთა შორის იმმუნიტეტის კრიტერიათ... ის გვიჩვენებს ბაცილის სიმბიოზის არსებობას, ვირულებულობას, ან არავირულნებულობას, რომელიმე ლიმფურ უჯრედთან, მაკროფაგთან ან გიგანტურ უჯრედთან“. Pirquet-ის დადებითი რეაქცია გვიჩვენებს, რომ ორგანიზმში სადაც ბუდობს ტუბერკულოზის ჩხირი და ორგანიზმის რომელიმე ორგანოსი დაავადებას სრულდებით არ აღნიშნავს. პირიქით „ორგანიზმი არმოდენიმე მცირერიცხვან და ნაკლებათ ვირულენტურ ბაცილების არსებობა“, როგორც ამას აღნიშნავს პროფ. A. Csimette, აქტიურ ტუბერკულოზის წინააღმდეგ საუკეთესო საფარავს წარმოადგენს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ, არა გვაქვს რაღიკალური საშუალებანი აღამიანის დაცვისა ტუბერკულოზის ჩხირების შექმისაგან, უნდა ვაღიაროთ, რომ ბაცილების მცირე რიცხვის და ნაკლებად ვირულენტის მოხვედრა აღამიანის ორგანიზმში, სასურველია?

ამ შეხედებულებაზედაა სწორედ აგებული ჩვენს დროში ცნობილი ბავშვთა ვაქცინაცია BCG ბაცილებით. „ტუბერკულოზის საწინააღმდეგო იმმუნიტეტეტი“—ამბობს პროფ. A. Calmette „მართლაც დაკავშირებულია მყოფ რამოდენიმე მცირერიცხვან და ნაკლებად ვირულებულ ბაცილებთან. სანად ორგანიზმი შეპყრობილია ასეთი პარაზიტებით და ამასთანავე ეს პარაზიტი ზმი ანატომიურ ან ფუნქციონალურ დაშლას არ იწვევს, ბანამდე რეინფექციებს, ოლონდაც კი ისინი არ იყოს ხშირი და მრავალი, შეუძლიათ ექმნეთ შედეგათ ორგანიზმისათვის მისი შერძნიბიერობის გაძლიერება მიკრობების მიმართ, იქნება ისინი ცოცხალი, თუ მკვდარი ბაცილები, და აგრეთვე ტუბერკულინის მიმართ“.

ჩვენ მიერ შემოწებულ მოწაფეთა რიცხვიდან, რომლებიც იყვნენ მხოლოდ შეპყრობილი ტუბერკულოზის ჩხირებით, ე. ი. იყვნენ status Allergicus-ს მდგომარეობაში, და რომელთაც არ ქონიათ არავითარი სერიოზული გართულებანი, როგორც ანატომიური, ისე ფუნქციონალური, იყო 1797, ე. ი. ნახევარზედ მეტი.

ეს მოწაფენი Pirquet-ს დადებითი რეაქციით, ძაგრამ კომპენსაციის დაურღვევლად, როგორც იმმუნიტეტის მქონენი, დაზღვეული უნდა იყვნენ ფილტვის ტუბერკულოზის დაავადებისაგან, ან უკეთ რომ ვსთვათ, ფილტვის ტუბერკულოზის მწვავე ფორმის დაავადებისაგან. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩინა, მომავალში ჩვენი ძოწაფეები ვამაგროთ (ჰაერი, მზე, კვება, ტანთვარჯიშობა და სხვა), და არა ვკურნოთ, როგორც ამას გვირჩევს ასეთ შემთხვევებში პროფ. Neumannი და ისიც ვუაქიმოდ სპეციფიური თერაპიით—ტუბერკულინით. რა საჭიროა წაძლობა, როდესაც არის ინფექცია და არა ავადმყოფობა! ჩვენ ისინი აღრიცხვახედ უნდა ავიყვანოთ და დროგამოშვებით კვლავ ვიკვლიოთ, თუ კი ჩვენი ამოცანა იქნება აღნიშნული სასაკის დროს ტუბერკულოზის არა მარტო კლინიკურ ფორმების შესწავლა, არამედ შესწავლა მისი ყოველგვარი შესაძლებლობისა, თუ ორგანიზმი ძყოფ ინფექციას რამდენად შეუძლია დროგამოშვებით ანთებითი კერები მოგვცეს ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოებში.

---

ანტროპომეტრიული გამოკვლევა: ჩვენი ბავშების ანტროპომეტრიულ გამოკვლევამ ფრიად საინტერესო სურათი მოგვცა შედარებით იმ გასალასთან, რომელიც მიიღეს მოდელ-მა და ციდელიკოვ-მა მდინარე მოსკოვის იქით მდებარე დადგილების (ვამოსკვორეჩე) ბიგშების გამოკვლევის დროს, აგრეთვე იმ გასალასთან, რომელიც მოყვანილი აქვთ მათ გერმანულ და ინგლისურ ბავშთა შესახებ.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ მოწაფეების წონის შედარება იმ  
გერმანელ, მღინარე მოსკოვის იქით მდებარე აღგილების  
ბავშების (Замоскворецких) და საერთოდ რუსების ბავშე-  
ბის წონასთან, რომელიც მიიღეს თავიანთ გამოკვლევის  
დროს მოდელ-მა და სიდელინიკოვა, პროფ. Schleisinger'-მა  
და შტეფი-მა.

